რა არის “პოლიტიკური ისლამი”?

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, გრანტის ნომერი: SP-2-21-019

ავტორები:
მ. არეშიძე, დ. კობერიძე

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), grant number: SP-2-21-019

Authors:
M. ARESHIDZE, D. KOBERIDZE

რა არის “პოლიტიკური ისლამი”?

სამსახურეობრივი გამოყენებისათვის

თბილისი, 2022

წიგნში მითითებული ყველა ფაილი გადატანილია
CD დისკზე, რომელიც ახლავს წიგნს

ISBN 978-9941-8-2665-8

შესავალი

საქართველოს მოსახლეობის 15% ისლამის მიმდევარია. ზოგადი წარმოდგენა, რომ ისლამი ერთ-ერთი რელიგიაა და მისი მიმდევრების საქმიანობა მხოლოდ ლოცვას, მარხვას და სხვა რიტუალების შესრულებას უკავშირდება, არასწორია.

ისლამს სხვა რელიგიებისგან ერთი სპეციფიკური მახასიათებელიც გამოარჩევს. ესაა განსაკუთრებული დაინტერესება პოლიტიკით. ისლამის რელიგიური ასპექტი მის მიმდევართა ინტერესის სფეროა, ხოლო პოლიტიკური ასპექტის გაუთვალისწინებლობამ და არასათანადოდ შეფასებამ მრავალ ქვეყანას შეუქმნა პრობლემები არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც.

ისლამი თვლის, რომ ხელისუფლება და მმართველობა უნდა ემყარებოდეს ერთადერთ წყაროს, რომელიც ალაჰმა უბოძა ადამიანებს. ეს არის ყურანი და ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს სხვა პრინციპებით, უსამართლოა. ეს შეფასება ეკუთვნის როგორც „ტრადიციულ“ ისლამურ ქვეყნებს, ასევე დასავლურ სამყაროსაც. მუსლიმებს სხვადასხვა საშუალებით მუდმივად უმეორებენ, რომ „მუსლიმი, რომელიც მუშაობს დასავლეთში, იმყოფება ცოდვილი ბოროტების პირობებში“ („ფათვისა და კვლევების ევროპული საბჭოს“ კვლევა - „მორალური პრინციპები, რომელიც არეგულირებს ისლამის პოლიტიკურ მუშაობას ევროპაში“)*1.

ეს ნაშრომი მიმოიხილავს ისლამის პოლიტიკურ ასპექტებს, მის საფუძვლებს, ასევე გაგაცნობთ თანამედროვე „პოლიტიკური ისლამის“ ძირითად მიმდევრებს და იმ საფრთხეს, რაც მათგან მომდინარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ისლამური მიმდინარეობებიდან პოლიტიკით ყველაზე ნაკლებად ინტერესდება „სუფიური ისლამი“. სხვა ქვეყნების მსგავსად, ეს მიმდინარეობა საქართვე-

---

*1 https://www.e-cfr.org/blog/2020/11/18/%d8%a7%d9%84%d9%85%d8%a8%d8%a7%d8%af%d8%a6-%d8%a7%d9%84%d8%a3%d8%ae%d9%84%d8%a7%d9%82%d9%8a%d8%a9-%d8%a7%d9%84%d8%b6%d8%a7%d8%a8%-d8%b7%d8%a9-%d9%84%d9%84%d8%b9%d9%85%d9%84-%d8%a7%d9%84%d8%b3%d9%8a/
იხილეთ: CD დისკი, ფაილი - Ethical principles governing Islamic political action in Europe European Council for Fatwa and Research

ლოშიც დიდ წნეხს განიცდის და უმოქმედობის შემთხვევაში გაქრობაც კი ემუქრება. იმავდროულად, ძალას იკრებენ ე.წ. პოლიტიკური ისლამის მიმდევრები. მათ ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქუჩის აქციებსა და სხვა ღონისძიებებში არასასურველი და სახიფათო გაგრძელება ექნება, ხელისუფლების მხრიდან არასათანადო პრევენციული ზომების მიღების გარეშე. სათანადო ღონისძიებების დაგვიანებამ ევროპის არაერთი ქვეყანა დააყენა დიდი პრობლემების წინაშე. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს ავღანეთში განვითარებული მოვლენების გამო კიდევ უფრო აქტუალურია საფრთხეების გამოვლენა და შესწავლა, რადგან საქართველოს მეზობელ რეგიონში შეიარაღებული გზით დამყარდა ისლამური მმართველობა - შეიქმნა ისლამური საამირო. (ოპერაციის დამაგვირგვინებელი ფაზა - ქალაქ ქაბულის აღება შედარებით ნაკლები მსხვერპლის ფასად, სხვა გარემოებებთან ერთად, ნათელყოფს იმასაც, რომ მუსლიმური უმრავლესობით დასახლებულ ქვეყანაში ისლამური მმართველობის დამყარებას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდება მოქალაქეების მხრიდან, რაც თავისთავად წარმატებული პრეცედენტია მეზობელი ქვეყნებისთვის და, ზოგადად, მუსლიმი თემისთვის შორეულ ქვეყნებშიც კი. მოსაზრება - „ტალიბანი“ პუშტუნების ნაციონალისტური, ლოკალური მოძრაობაა და ის მიზნად არ ისახავს გავლენის (ისლამის) გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საფუძველშივე მცდარია და შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ არაპროფესიონალს, რომელმაც არ იცის, რომ ისლამი არ ცნობს ნაციონალიზმის იდეას და ნებისმიერი მუსლიმის, მუსლიმური დაჯგუფების და ორგანიზაციის უპირველესი ვალდებულება ისლამის გავრცელებაა.

მრავლისმეტყველია „ტალიბანის“ სპიკერის განცხადება: „ჩვენ გვჯერა, რომ ერთ დღეს მუჯაჰიდები გაიმარჯვებენ და ისლამური კანონები გავრცელდება არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩვენ არ გვეჩქარება... სანამ ჯიჰადი ბოლომდე არ დასრულდება“ (იმავე მუჰამად ნაიმმა ბრიტანული Asharq Al-awsat-ის შეკითხვაზე, გააგრძელებს თუ არა „ტალიბანი“ სისასტიკეს, უპასუხა, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ სისასტიკეს უწოდებთ, გაწერილია ყურანსა და სუნაში, და სავალდებულოა შესასრუ-

ლებლად). იქიდან გამომდინარე, რომ „ტალიბანს“ და ისლამური სახელმწიფოს ადგილობრივ ფილიალს, „ხორასანის ვილაიათს“ შორის უახლოეს მომავალში, დიდი ალბათობით, კვლავ გაგრძელდება მასშტაბური შეიარაღებული დაპირისპირება, რაც გამოწვეულია როგორც, ზოგადად, ჯიჰადისტური მოძრაობის ლიდერობისათვის, ასევე ძირითადად მუსლიმებით დასახლებულ რეგიონში გავლენების გასაძლიერებლად, არაერთი ქვეყნიდან გაგრძელდება ჯიჰადისტების გადინება და მათი ავღანეთში კონცენტრაცია (ეს პროცესი საქართველოსაც შეეხება.).

„ისლამური სახელმწიფო“ ერთადერთი მსხვილი ჯიჰადისტური ორგანიზაციაა, რომელმაც კმაყოფილება არ გამოხატა „ტალიბანის“ მიერ ავღანეთში პოზიციების გაძლიერების შემდეგ. გამორიცხული არ არის, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ კვლავ ისარგებლოს იმ მხარდაჭერით, რითაც სარგებლობდა ზოგიერთი გავლენიანი სახელმწიფოს მხრიდან ერაყსა და სირიაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტაბილურობა ავღანეთში არ წარმოადგენს ყველა დიდი და გავლენიანი სახელმწიფოს მიზანს. ასევე, „ტალიბანის“ ან სხვა ისლამური ორგანიზაციის გააქტიურების შემდეგ, საექსპერტო წრეებში იწყება განხილვა, თუ რომელ მიმდინარეობას, სკოლას ეკუთვნის ის. „ტალიბანის“ შემთხვევაში „აღმოჩნდა“, რომ მან აკრძალა მუსიკა, სპორტი, ქალთა სამოქალაქო უფლებები და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ ამ აკრძალვებიდან არცერთი არ არის „ტალიბანის“ ინიციატივა და ყოველივე ისლამური სწავლების იმ მეთოდს უკავშირდება, რომელსაც სალაფიას უწოდებენ. და ის სხვა არაფერია, თუ არა - ყურანისა და პირველი თაობების მუსლიმთა მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროსთვის დადგენილი და განსახორციელებელი ვალდებულებები, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

ისლამის წარმოშობა, ყურანის აგებულება და ზოგიერთი თავისებურება

ისლამი არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მორჩილებას“. მუსლიმთა სულიერი ლიდერები მუდმივად ცდილობენ, რომ ისლამის ეტიმოლოგია „მშვიდობას“ დაუკავშირონ. ერთი შეხედვით, ეს ლოგიკურია, რადგან „მშვიდობა“ არაბულად ჟღერს, როგორც „სალამი“. ორივე სიტყვას - „ისლამ“ და „სალამ“ - საერთო ძირი (სლმ) აქვს, მაგრამ განასხვავებს „გახმოვანება“, რასაც არაბულში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უნდა ითქვას, რომ „ისლამის“ წარმოჩენა „მშვიდობად“ მხოლოდ იმ საზოგადოებისთვისაა გათვლილი, რომლისთვისაც უცხოა არაბული ენა. არაბისთვის ისლამი ნიშნავს „მორჩილებას“.

როდესაც მუსლიმები ცდილობენ ისლამი მიაღებინონ არაბული ენის არმცოდნეს, სწორედ ამ ხერხს იყენებენ და უხსნიან, რომ ისლამი ეტიმოლოგიურადაც კი მშვიდობას ნიშნავს, რაც, თავისთავად, ყოველი ადამიანისა და საზოგადოებისათვის სასურველი და მისაღებია. ისლამის მიღების უმარტივესი პროცედურის შემდეგ (მოწმეების თანდასწრებით ის ამბობს: „არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამადი მისი მოციქულია“), ახალგამუსლიმებულს განუმარტავენ, რომ ისლამის მიღების სიმარტივემ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს, რადგან ისლამის უარყოფა (ისლამიდან გასვლა), პრაქტიკულად, შეუძლებელია - ეს ქმედება ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. ყურანის შემდეგ ისლამის მეორე ყველაზე ავტორიტეტულ წყაროში, ჰადისებში, აღნიშნულია: „მუსლიმი, რომელმაც აღიარა, რომ „არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამადი მისი მოციქულია“, არ იმსახურებს სიცოცხლის წართმევას არც ერთ შემთხვევაში, გარდა სამისა: სასჯელი მკვლელობისთვის, ცოლქმრული ღალატისთვის ან რწმენის უარყოფისთვის“ (ალ-ბუხარი 9,83,17). (ჰადისები ისლამის დამაარსებლის, მუჰამედის გამონათქვამების კრებულია. მრავალი კრებული არსებობს და მათგან მუსლიმები (სუნიტები) მხოლოდ ექვსს აღიარე-

ბენ უპირობოდ სარწმუნოდ, მათ შორის გამორჩეულად ითვლება „საჰიჰ ალ-ბუხარი“, რომელიც ალ-ბუხარიმ (ანუ წარმოშობით ბუ-ხარელმა. გარდ. 870 წ.) შეადგინა.).

ისლამის წარმოშობა რეალურ პიროვნებას, მუჰამად იბნ აბ-დალას (570-632) უკავშირდება, რომელიც საქმიანობიდან გა-მომდინარე (ვაჭრობა, ქარავნების თანხლება/გაცილება) ხშირად მოგზაურობდა და გარკვეულ ცოდნას ფლობდა იუდაიზმისა და ქრისტიანობის შესახებ. გარდა ამისა, ქალაქ მექაში, სადაც მან ქადაგება დაიწყო, იუდეველებიც სახლობდნენ და ქრისტიანებიც. მისივე სიტყვებით, ისლამისა და მუსლიმთა მთავარი სახელმძღ-ვანელოს, ყურანის (არაბულად - საკითხავი) შინაარსს მას წლე-ბის განმავლობაში უცნობი არსება გადასცემდა, რომელიც, მოგ-ვიანებით, მუსლიმებმა მთავარანგელოზ გაბრიელთან გააიგივეს. მუჰამადი იმახსოვრებდა გადმოცემას და პერიოდულად უამბობდა სხვადასხვა პიროვნებას. ისინი, თავის მხრივ, იწერდნენ მონათხ-რობს, რადგან მუჰამადისვე აღიარებით და ისლამური ტრადიცი-ით, მან წერა-კითხვა არ იცოდა. ამის შესახებ ისლამურ სამყაროში არ დავობენ. (იმ სახით, როგორითაც მოაღწია, ყურანის გადმო-ცემები შეაგროვეს და მხოლოდ მუჰამადის სიკვდილის (632 წ) შემდეგ, მუჰამადის მესამე შემცვლელის, მოადგილის, ანუ ხალი-ფა უსმანის (644-656 წწ) მმართველობისას სისტემაში მოიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური ტრადიცია არ აღიარებს ყუ-რანის ვარიაციებს და ტექსტში მცირე ცვლილებებსაც კი, ცნობი-ლია, რომ ხალიფა უსმანის დროს განადგურდა ყურანის არაერთი ვერსია, ტექსტიდან გაქრა და შეიცვალა არაერთი მონაკვეთი (ეს დასტურდება ჰადისებით.).

ყურანი 114 თავისგან (არაბულად - სურა) შედგება და, თა-ვის მხრივ, ყოველი მათგანი სხვადასხვა რაოდენობის ლექსს (არაბულად - აია) შეიცავს. სურების რიგითობა დამოკიდებულია აიების რაოდენობაზე. პირველის გამოკლებით, მეორე სურა ყვე-ლაზე ვრცელია და თითქმის ბოლომდე ასე მცირდება მათში აიების რაოდენობა. შესაბამისად, ბოლო აიები მოკლეა. სურების ამ პრინ-ციპით დალაგებამ მათ შორის შინაარსობრივი თანმიმდევრობის არარსებობა გამოიწვია. ის მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო და

ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებას შეიცავს, რისთვისაც მუსლიმებს მოუწიათ სპეციალური თეორიის შექმნა. მას „გაუქმებული და გამაუქმებელი აიების“ პრინციპი ეწოდება. ყურანში მრავალჯერ არის აღნიშნული, რომ ალაჰის სიტყვა უცვლელია (ყურანი 6:34, 1:15, 10:64 და ა.შ.), მაგრამ იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ აიების შეცვლა და გაუქმება შესაძლებელია (ყურანი 16:101, 2:106). კიდევ ერთი პრინციპი, რაც ისლამის გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია: ქალაქ მექაში ქადაგებისას, სადაც მუჰამადმა მხოლოდ 150-მდე მიმდევარი მიიმხრო, მის მიერ იქ გადაცემული ყურანის ნაწილს, პირობითად, „მექას აიებს“ უწოდებენ და ისინი გამოირჩევა შედარებით შემწყნარებლობით და არააგრესიულობით. მიზეზთა გამო მუჰამადი მექადან განდევნეს და მომხრეებთან ერთად მან ქალაქ მადინაში გადაინაცვლა (ეს მოხდა 622 წელს და აქედან იწყება მუსლიმური წელთაღრიცხვის - ჰიჯრას ათვლა.). ქალაქ მადინაში მუჰამადმა, მისმა მიმდევრებმა და ყურანმა სრული ტრანსფორმაცია განიცადეს და მექაში გადაცემული არაერთი აია მოგვიანებით გაუქმებულად გამოცხადდა, ხოლო მათი შემცვლელი - გამაუქმებლად. ამასთან, გაუქმებული აიები ყურანში მაინც დარჩა გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად - ისლამის მშვიდობიანი, შემწყნარებლური ბუნების სადემონსტრაციოდ. ამის თვალსაჩინო მაგალითი: მექაში ისლამი აცხადებდა - „არავითარი ძალდატანება რელიგიაში“ (ყურანი 2:256). ეს აია გაუქმებულად ითვლება, ხოლო გამაუქმებელი აია ასე ჟღერს: „იბრძოლეთ მათთან, ვისაც არ სჯერა ალაჰის და უკანასკნელი დღის, არ აიკრძალეს ის, რაც ალაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს და არ დაემორჩილნენ ჭეშმარიტ რელიგიას - მათგან, ვისაც ებოძა წმინდა წერილი, სანამ არ გადაიხდიან საკუთარი ხელით ჯიზიას, დამცირებულები“ (ყურანი 9:29). ამ აიას არაერთხელ მოვიხსენიებთ, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაში. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისლამში.

აი, კიდევ ერთი „გაუქმებული“ აია: „ხოლო ისინი, რომელთაც ირწმუნეს და იყვნენ იუდეველნი, ნაზარეველნი, ვისაც სწამდა ალაჰი, დღე უკანასკნელი და იქმდა სიკეთეს - მათი საზღაური მათ უფალთანაა, შიში არ ექნეთ, არ ინაღვლონ“ (ყურანი 2:62).

გამაუქმებელი: „ხოლო ის, ვინც ისლამის გარდა ისურვებს სხვა სჯულს, არ შეიწყნარება ეს მისგან და ზესთასოფელში წაგებულებთან ერთად იქნება“ (ყურანი 3:85). აიები 6:104, 106, 107, 108, 112, 135, 137, 159, 10:108, 11:121, 15:3, 17:15, 19:84, 20:130, 135, 23:54, 25:63, 28:55, 34:25, სადაც საუბარია შეწყნარებაზე, გაუქმდა 9:5-ით: „შეებრძოლეთ წარმართებს, სადაც წააწყდებით, შეიპყარით, ალყა შემოარტყით და ჩაუსაფრდით“. ასევე გაუქმებულია 29:46, რომელშიც ნათქვამია: „და ნუ შეეკამათებით წიგნის მქონეთ (იუდეველები და ქრისტიანები), თუ არა იმით, რაც საუკეთესოა, და ისიც მხოლოდ იმათ, ვინც მათგან უსამართლოდ მოიქცევა, და უთხარით: ვირწმუნეთ იმისა, რაც ჩვენზე გარდმოევლინა და რაც თქვენზე გარდმოვლენილა. თქვენი ღმერთი და ჩვენი ღმერთი ერთი ღმერთია და ჩვენ მისადმი მორჩილნი ვართ“. ეს აია გაუქმდა ზემოთ ნახსენები (9:29) აიათი. გაუქმებულია (109:6): „ურწმუნონო, თქვენ თქვენი სჯული გაქვთ, მე ჩემი სჯული“.

მექაში მუჰამადი მქადაგებელი იყო, ხოლო მადინაში იგი იქცა პოლიტიკოსად და მეომრად. ცნობილია არაერთი ბრძოლა, რომელშიც მუჰამადი მონაწილეობდა, როგორც მეომარი. მუჰამადის და ყურანის ორბუნებოვნება ისლამს ანიჭებს მოქნილობას და შემგუებლობას, ყველაფერი დამოკიდებულია მუსლიმების პოზიციებზე, ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანაში.

სუნიტური და შიიტური მიმდინარეობები ისლამში

წარმოშობა, განსხვავებები, ურთიერთპრეტენზიები

უნდა აღინიშნოს სუნიტების და შიიტების დაპირისპირების თაობაზეც. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ (632 წ) დღის წესრიგში დადგა მისი შემცვლელის საკითხი. მუსლიმთა ერთ ნაწილს იმედი ჰქონდა, რომ ერთადერთი ღირსეული კანდიდატი იყო მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე - ალი იბნ აბუ ტალიბი, მაგრამ შემცვლელად, ანუ ხალიფად, აირჩიეს მუჰამადის უახლოესი თანამებრძოლი აბუ ბაქარი (632-634). ალი მაინც გახდა ხალიფა (656-661) უმარისა და უსმანის შემდეგ, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ჯერ ის მოკლეს, ხოლო შემდეგ მისი შვილები ჰასანი და ჰუსაინი - მუჰამადის შვილიშვილები.

ალის მიმდევრებს და მომხრეებს შიიტები ეწოდათ (ში, ალი), ალის პარტია, ხოლო ჰუსაინის მკვლელობის დღეს ყოველწლიურად გლოვით აღნიშნავენ შიიტები (შაჰსეი-ვაჰსეი). შიიტებისთვის ხალიფა ალია, ხოლო სუნიტებისთვის მუჰამადის პირველი ოთხი მოადგილე - ხალიფა (აბუ ბაქარი, უმარი, უსმანი და ალი) მართლმორწმუნეს სახელს ატარებს. სუნიტებისთვის, რომლებიც მუსლიმთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, წმინდა წიგნები, ყურანთან ერთად, იმ გადმოცემათა კრებულებია, რომლებიც მუჰამადის გამონათქვამებს შეიცავს (სუნნა - სასურველი საქმიანობა).

უნდა აღინიშნოს, რომ სუნიზმისა და შიიზმის დაპირისპირებამ უკიდურესი ხასიათი მიიღო. იმდენად ღრმაა დაპირისპირების „თეოლოგიური“ საფუძვლები, რომ ხშირად ტექსტებსა და ქადაგებებში მათი მიმდევრები ერთმანეთს მუსლიმებადაც კი არ აღიარებენ. ზოგიერთი მუსლიმი ლიდერის მცდელობა ამ ორი მიმდინარეობის გასაერთიანებლად ყოველთვის განწირული აღმოჩნდა წარუმატებლობისათვის და ასე იქნება ყოველთვის, სანამ რომელიმე მხარე უარს არ იტყვის მისთვის პრინციპულ არაერთ საკითხზე. ეს საკითხები დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ და თანამედროვე კონფლიქტებთან, განსხვავებულ

რიტუალებთან და ორივე მხარისათვის არაერთ პრინციპულ მოსაზრებასთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეთნიკური ფაქტორი: მუდმივი დაპირისპირება არაბებს (ძირითადად სუნიტები) და სპარსელებს (შიიტები) შორის ყოველთვის რეალური იყო. არაბისთვის ირანელთა საქმიანობა ასოცირდება მისი შექმნილი ისლამიდან ყველაფერი საუკეთესოს მოპარვის მცდელობად. ამიტომ, არაბულ ქვეყნებში ირანული წარმოშობის ადგილობრივ მოქალაქეებსაც კი დიდი უნდობლობით უყურებენ, სდევნიან მათ შეიარაღებული ძალებიდან და სპეცსამსახურებიდან (გაერთიანებული არაბული საამიროები, საუდის არაბეთი), შიიტების წინააღმდეგ მიმართავენ რეპრესიებს (საუდის არაბეთი), ხოლო იქ, სადაც შიიტები უმრავლესობას წარმოადგენენ, უზღუდავენ თანამდებობრივ წინსვლას (ერაყი). თავის მხრივ, ასეთივე უნდობლობით სარგებლობენ სუნიტი არაბები ირანში, სადაც ხელისუფლების მიერ მათდამი გამოთქმული პრეტენზიები სეპარატიზმთან დაკავშირებით უსაფუძვლო სულაც არ არის.

წინააღმდეგობა იმდენად დიდია ორ მიმდინარეობას შორის, რომ აზანის (ხმამაღალი მოწოდება მეჩეთიდან, სავალდებულო ლოცვის დაწყების მოახლოების შესახებ) შინაარსით შეიძლება გარკვევა - მეჩეთი სუნიტებს ეკუთვნით თუ შიიტებს. არსებობს განსხვავება რიტუალებს შორისაც. ასევე სუნიტური ისლამი არ ცნობს რელიგიურ იერარქიას, ხოლო შიიზმში მკაცრად დადგენილი და რთული იერარქიული წყობაა.

შიიტების პრეტენზიები სუნიტების მიმართ ფუნდამენტურ საკითხებს უკავშირდება. მათ შორისაა მუჰამედის მემკვიდრის საკითხი (შიიტები არ ცნობენ პირველ სამ ხალიფას), ალისა და მისი შვილების მკვლელობა და ა.შ. თანამედროვე შიიტების პრეტენზიები: სალაფია - ვაჰაბიას არსებობა, ისლამური სახელმწიფო და სუნიტური ტერორიზმი, სუნიზმი უსამართლობის წყაროა ისლამის სამყაროში, აშშ-სთვის სუნიტები იარაღია ირანის წინააღმდეგ, ისინი მეტ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე ებრაელები.

სუნიტებს შიიტების მიმართ 65 სხვადასხვა მნიშვნელობის პრეტენზია აქვთ. მათ შორის: შიიტები თვლიან, რომ პირველი სამი ხალიფას ადგილი ჯოჯოხეთის ყველაზე ქვედა ფენაა; აიშა, მუ-

ჰამადის უკანასკნელი ცოლი (რომელსაც სუნიტები მუსლიმთა დედას უწოდებენ), ურწმუნო იყო; ალი აღემატება მუჰამადს და, საერთოდ, მთავარანგელოზ გაბრიელს შეეშალა და ალის მაგივრად მუჰამადს აუწყა, რომ ალაჰის მოციქული იყო; ალის შეეძლო მიცვალებულთა გაცოცხლება (განსხვავებით მუჰამადისგან, რომლის სასწაულქმედება არსად არ არის აღწერილი); შიიტი შეიხების ქადაგებების მიხედვით, უკანასკნელი, მეთორმეტე, იმამი მაჰდი, რომელსაც შიიტთა უმრავლესობა ელოდება, მოსვლისთანავე დაანგრევს ორ მთავარ მეჩეთს მექასა და მადინაში; შიიტებს მიაჩნიათ, რომ სუნიტები მაიმუნებისა და ღორების მსგავსნი არიან და ა.შ. და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ და სხვა პრეტენზიების დასადასტურებლად შიიტები ეყრდნობიან თავიანთ სულიერ ლიდერთა თხზულებებს და კონკრეტულ ქადაგებებს.

ისლამის უმთავრესი მიზანი

გავრცელების მეთოდოლოგია, ჯიჰადის ძირითადი მახასიათებლები

მუჰამადის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა დაიწყეს ბრძოლა ისლამის გასავრცელებლად. პირველ მსხვერპლად იქცნენ უახლოესი მეზობლები, შემდეგ - შორეული ქვეყნები და მიწები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე, მესოპოტამია, სპარსეთი, ინდოეთი, ჩრდილოეთი აფრიკა, კავკასია, ესპანეთი. ეს ყოველივე უკავშირდებოდა ჯიჰადს, რაც მუსლიმისთვის ყველაზე სასურველი და აუცილებელი საქმიანობაა. მუსლიმთა ლიდერების უდიდესი ნაწილი აცხადებდა და აცხადებს, რომ ჯიჰადი არის ბრძოლა, რომელსაც ისინი ეწევიან თავდაცვის მიზნით, თუმცა ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მუსლიმებს თავს არავინ დასხმია. თვით ჯიჰადმა რამდენიმე ეტაპი გაიარა:

- როდესაც პირველი მუსლიმები, მადინაში გაქცევამდე, მექაში ცხოვრობდნენ, ალაჰი უკრძალავდა მათ ბრძოლას;
- შემდეგ მუსლიმებს ნება დართეს ებრძოლათ თავიანთ მჩაგვრელებთან;
- მერე ალაჰმა უბრძანა მათ, ეომათ იმათთან, ვინც ებრძოდა;
- შემდეგ კი ალაჰმა უბრძანა მათ, ეომათ წარმართებთან და წიგნის ხალხთან (იუდეველები და ქრისტიანები).

ყოველი მომდევნო ეტაპი აუქმებდა წინას. მეოთხე ეტაპი საბოლოოა და მოქმედებს ისლამის სრულ დამყარებამდე მთელ მსოფლიოში. აი, მოწოდება ყურანიდან: „და შეებრძოლეთ მათ, ვიდრე აღარ დარჩება ცდუნება და იქნება სარწმუნოება მთლიანად ალაჰისა“ (8:40). მუსლიმის აუცილებელი ვალდებულება, ებრძოლოს „ურწმუნოებს“, ყურანიდან მომდინარეობს: „და ნუ მიიჩნევენ ურწმუნონი, რომ წინ წავიდნენ. ჩვენ ისინი ვერსად წაგვივლენ. მოამზადეთ მათ წინააღმდეგ ყველაფერი, რასაც შეძლებთ“ (ყურანი 8:61,62).

ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ სულიერი ლიდერი - საიდ კუტ-

ბი (1906-1966) ასე მიმართავდა მათ, ვინც ისლამსა და ჯიჰადში თავდაცვით ფუნქციას ხედავდა: „მათ არ იციან ისლამის ხასიათი და მისი ფუნქციები, რომ ისლამს უფლება აქვს დაიცვას ადამიანის თავისუფლება. სადაც უნდა არსებობდეს ისლამური საზოგადოება, რომელიც ღვთიურად წინასწარ განსაზღვრული ცხოვრების წესია, ისლამს ალაჰის მიერ მინიჭებული უფლება აქვს გამოვიდეს და გააკონტროლოს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა დედამიწაზე ალაჰის სისტემის დასამკვიდრებლად“.

ისლამს სხვა რელიგიებისგან განსხვავებით აქვს მტკიცე პროგრამა. ისლამი თვლის, რომ მას გააჩნია ღვთიური მანდატი, რათა ისლამური გზავნილი გაავრცელოს ყველგან და ყველასთვის. მისი საბოლოო მიზანი ალაჰის ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიაზე მთელი კაცობრიობის მოქცევაა. ამ პროგრამის შესასრულებლად ყოველთვის მუშაობდა ორი ჯგუფი - იმის მიხედვით, თუ რა ძალას ფლობდა ისლამი კონკრეტულ ქვეყანაში. ისლამი დღესაც იგივე მეთოდებით მოქმედებს. პირველი ჯგუფი - ეს არის რადიკალური მქადაგებლები და ე.წ. ჯიჰადისტი მებრძოლები. მეორე ჯგუფი კი ისლამური ორგანიზაცია ან მუსლიმია, რომელიც ცხოვრობს და მოქმედებს არამუსლიმურ ქვეყანაში. ორივე ჯგუფის საერთო მიზანია - რაც შეიძლება მეტი არამუსლიმი აქციოს მუსლიმად, რათა კონკრეტულ ქვეყანაში გაიზარდოს ისლამური საზოგადოება, დამყარდეს ისლამური კანონმდებლობა (შარიათი), საბოლოო ჯამში კი ისლამი იქცეს ქვეყნის მმართველ სულიერ და პოლიტიკურ ძალად. თუ პირველი ჯგუფი მიზნის მისაღწევად აქტიურად იბრძვის და ქადაგებს, მეორე ფარულად და მშვიდობიანად მოქმედებს, ტკბილი და მშვიდობისმოყვარე ტექსტებით საუბრობს მეჩეთებსა და ისლამურ კონფერენციებზე. არსებობს მუსლიმთა მესამე ჯგუფიც (დიდი უმრავლესობა). მათ გულწრფელად მიაჩნიათ, რომ ღმრთის მოშიშები არიან და სიკეთეს უნდა ემსახურონ. სამწუხაროდ, ამ ჯგუფის წევრთა ნაწილის „გადაყვანას“ პირველ და მეორე ჯგუფებში ადვილად ახერხებენ შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი და მომზადებული ორგანიზაციები და პირები.

ძირითადი მიზნის (მსოფლიოში გავრცელების) განსახორციელებლად ისლამს აქვს იარაღი, რომელსაც სხვა რელიგიებში

ანალოგი არ გააჩნია, მას ჯიჰადი ეწოდება. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა „ძალისხმევის დახარჯვას“ ნიშნავს და მუსლიმების ნაწილი აღნიშნავს, რომ ჯიჰადი არის ძალისხმევა და ბრძოლა საკუთარ თავთან - რწმენის განმტკიცების მიზნით. ისლამში აღიარებული „დიდი ჯიჰადი“ მართლაც ასეთი შინაარსის არის, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებისათვის უფრო მეტად ცნობილია ჯიჰადის სხვა ფორმა, რომელსაც თავად მუსლიმები „მცირე ჯიჰადს“ უწოდებენ. ისინი ჯიჰადის ამ ფორმასაც საკუთარი ქვეყნების და რელიგიის დასაცავად გამართულ იძულებით ბრძოლად მოიხსენიებენ, იმ იმედით, რომ არამუსლიმთაგან არავინ დაინტერესდება ჯიჰადის თეორიული საფუძვლებით და მიზნებით. დავიწყოთ „დიდი ჯიჰადით“. მისი ძირითადი მიზნებია:

- აიძულოს ადამიანები, დაემორჩილონ ალაჰს, ანუ აღიარონ ისლამი და გამოიყვანოს ისინი ადამიანთა მორჩილებიდან. „ებრძოლეთ მათ, ვიდრე აღმოიფხვრებოდეს საცდური და დარჩებოდეს რწმენა ალაჰისა“ (ყურანი 2:193);
- მუსლიმთა მტრების აგრესიის მოგერიება;
- განხეთქილების აღკვეთა ისლამში (იგულისხმება ალაჰის გარდა რაიმეს ან ვინმეს მიმართ რწმენა, ისლამისთვის მიუღებელი საქმიანობა, ალკოჰოლი და ა.შ.);
- ისლამური სახელმწიფოს დაცვა ურწმუნოთა სიავისგან;
- ურწმუნოების დაშინება და დამცირება. „შეებრძოლეთ მათ! ალაჰი დასჯის და დაამცირებს თქვენი ხელით“ (ყურანი 9:14);
- თვალთმაქცების გამოაშკარავება;
- მორწმუნეთა განწმენდა ცოდვებისგან;
- ალაფის შოვნა;
- წამებულების (შაჰიდების) ზეობა - ალაჰისთვის დაღუპულნი ითვლებიან ალაჰთან ყველაზე მიახლოებულებად. „ალაჰმა იყიდა მორწმუნეთაგან მათი სულები და ქონება იმით, რომ მათ ექნებათ სამოთხე. ვინც იბრძვის ალაჰის გზაზე, კლავენ და იკვლიან“ (ყურანი 9:111). აი, რატომ არ ითვლება ისლამში „შაჰიდობა“ თავის მოკვლად;

- დარღვეული მშვიდობის გამოსწორება - („ალაჰი რომ არ აკავებდეს ურწმუნოებს მუსლიმების ძალით, ისინი დედამიწას დაიკავებდნენ, დახოცავდნენ მუსლიმებს და გაანადგურებდნენ მეჩეთებს“ (სალაფიას მთავარი იდეოლოგი, შეიხუ ლ-ისლამ იბნ თაიმია „ალ-ჯავაბ ას-საჰიჰ“, 2/216).

ნებისმიერ ქვეყანაში ჯიჰადის გამოცხადების შემთხვევაში, მთელი მუსლიმური თემი, ყველა ქვეყნიდან, ვალდებულია მიავლინოს მებრძოლები ამ ქვეყანაში საომრად. ამიტომ იბრძოდა ასზე მეტი ქვეყნის ჯიჰადისტი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები, ერაყსა და სირიაში. ასე ხდებოდა და ხდება ავღანეთში, რუსეთში (ჩეჩნეთი), ბოსნიაში, ლიბიაში, იემენში. ჯიჰადი მუსლიმის წმინდა მოვალეობაა და მუსლიმი, რომელიც უარყოფს ჯიჰადს, აღარ არის მუსლიმი. ამიტომ, წარმოდგენა - ჯიჰადისტი ეს არის რადიკალი, „ცუდი“ მუსლიმი, პრინციპულად მცდარია.

„წერილ არს თქვენთვის ბრძოლა. მაშინაც, როცა გძაგთ თქვენ იგი“ (ყურანი 2:216).

ჯიჰადს დიდი ადგილი ეთმობა ჰადისებშიც. „ალაჰი აუცილებლად დაუშვებს მუჯაჰიდს სამოთხეში, თუ მას მოკლავენ ან სახლში ჯილდოთი და ნადავლით დაბრუნდება“ („საჰიჰ ალ-ბუხარი“ 52/46).

„ჩვენი ბავშვები ჯიჰადისა და მუჯაჰიდების სიყვარულით უნდა იზრდებოდნენ. ჯიჰადი უდიდესი საქმეა - ალაჰის რწმენის მოპოვების შემდეგ. ყოველი ისლამური ჯგუფი, რომელიც არ იბრძვის ჯიჰადისათვის, სულ მცირე, არასრულფასოვანია. დოკუმენტურად დადასტურებულია 19 ბრძოლა, რომელშიც ალაჰის მოციქული (მუჰამედი) მონაწილეობდა და 55 სამხედრო ექსპედიცია, რომელიც მან მოაწყო“. (შეიხი ანვარ ალ-ავლაკი, „44 მეთოდი ჯიჰადის მხარდასაჭერად“).

ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში (მათ შორის საქართველოში) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შაფიიდური მაზჰაბის (სუნიტური ისლამის იურიდიული სკოლა) მიხედვით: „მიწა ალაჰისაა, სახელმწიფო ალაჰისაა და ხელისუფლება ალაჰის გარდა არავის ეკუთვნის. ვინც ნებით დაემორჩილება ალაჰის მმართველობას, ალაჰის კმაყოფილებას დაიმსახურებს და ბედნიერი იქ-

ნება. ვინც ნებით არ მიიღებს ამას, ძალით მიაღებინებენ ჯიჰადის საშუალებით“ („იმამ აშ-შაფის მაზჰაბის მეთოდოლოგიური იურისპრუდენცია“, ტ. 8, გვ. 120-121).

ჰადისებიდან ცნობილია, რომ სირიაში ლაშქრობის შემდეგ მუსლიმებმა, რომლებსაც ნანახი არ ჰქონდათ ნაყოფიერი მიწები და წყლის სიუხვე, მიწაზე დაიწყეს მუშაობა და ელოდნენ მოსავალს. ხალიფა ომარი (634-644) დაელოდა მოსავლის აღების სეზონს და ბრძანა, გადაეწვათ მიწები. შემდეგ შეკრიბა ხალხი და უბრძანა, რომ მიწის სამუშაოები წიგნის ხალხის საქმეა, მათ კი უნდა ებრძოლათ ალაჰის გზაზე. მიწაზე მიბმა ჯიჰადზე უარის თქმას ნიშნავდა - მუსლიმებს სარჩო ხმლით უნდა მოეპოვებინათ. ისლამის დამოკიდებულება არამუსლიმებთან, ქვეყნების კლასიფიკაცია ისლამურად და არაისლამურად 14 საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა. ჯიჰადისთვის მიმავალს სჯეროდა, რომ: „არ იქნებიან შენით კმაყოფილნი არც იუდეველნი და არც ნაზარეველნი, ვიდრე იმათ სჯულს არ შეუდგები“ (ყურანი 2:120).

მუსლიმთა ნაწილს დღესაც, ისევე როგორც საუკუნეთა განმავლობაში, სწამს, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ებრძვის მუსლიმებს ან მონაწილეობს მუსლიმთა მიწის დაპყრობაში, წარმოადგენს „საომარ ტერიტორიას“ (ეს ისლამის ტერმინია: „დარუ ლ-ჰარბ“). ამიტომ, ყველა ქვეყანა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ავღანეთის, ერაყის ან სხვა მუსლიმური ქვეყნის ოკუპაციაში, „საომარ ტერიტორიად“ ითვლება. აქედან გამომდინარე, „საომარ ტერიტორიაზე“ მუსლიმებისთვის ურწმუნოთა ნებისმიერი ქონების დაუფლება კანონიერია (ალაფი). თანამედროვე შეიხები იმასაც აცხადებენ, რომ: „საომარ ტერიტორიაზე“ მუსლიმებს უფლება აქვთ წაართვან ურწმუნოებს ქონება და სიცოცხლე - ეს მათთვის ნებადართულია და ურწმუნოებს არაფერი იცავს, იმიტომ რომ ისინი ასევე გვექცევიან“ (შეიხ ანვარ ალ-ავლაკის (1971-2011) ფათვა „ურწმუნოთა ქონების მიტაცება „საომარ ტერიტორიაზე“).

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული მრავალრიცხოვანი ტერაქტები ამგვარ ფათვებს (ავტორიტეტული შეიხის მიერ გამოცემული აუცილებლად შესასრულებელი რეკომენდაცია) ეფუძნება

და სრულიად არ სჭირდება კონკრეტული დავალება რომელიმე ორგანიზაციიდან. როდესაც ტერორისტი თავს იფეთქებს ხალხმრავალ ადგილას, ცივი იარაღით კლავს მშვიდობიან მოქალაქეს ან მანქანით შევარდება ხალხის მასაში, არ არის აუცილებელი, რომ ის თანამშრომლობდეს „ალ-კაიდასთან“, ისლამურ სახელმწიფოსთან და ა.შ. მას მოსმენილი ან წაკითხული აქვს ფათვა შესაბამისი მოწოდებით, რაც საკმარისია სამოქმედოდ.

ისლამური ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ძირითადი პრინციპი

ისლამური მმართველობა განსხვავდება მმართველობის ყველა სხვა ფორმისგან. ეს განსხვავება ეფუძვნება იმ იდეებსა და კრიტერიუმებს, რითაც ისლამში რეგულირდება ადამიანთა საქმიანობა.

ის არ არის სამეფო მმართველობა, რადგან ისლამი არ ცნობს მონარქიულ სისტემას, როცა ხელისუფლება გადადის მემკვიდრეობით და თემს ეს არანაირად არ ეხება. მონარქისგან განსხვავებით, რომელიც უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე რიგითი მოქალაქე და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეუხებელია კანონითაც, ისლამური სახელმწიფოს მეთაურის - ხალიფას ერთგულებაზე ფიცს დებენ მუსლიმები და ის მმართველობას ახორციელებს მხოლოდ შარიათის (ისლამური სამართალი) პრინციპებით და შეზღუდულია მხოლოდ შარიათის კანონებით (ისეთ გამორჩეულად ტოლერანტულ ქვეყანაშიც კი, როგორიც იყო ომამდელი სირიის არაბთა რესპუბლიკა, ზოგიერთი სამოქალაქო დავა შარიათის პრინციპებით განიხილებოდა).

ის არ არის საიმპერატორო მმართველობა. ისლამი კრძალავს ნაციონალიზმს. რეგიონები და ადმინისტრაციული ერთეულები იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ცენტრი. სისტემა და კანონმდებლობა საერთოა.

ის არ არის ფედერაციული ან რესპუბლიკური მმართველობა. ისლამური მმართველობის სისტემა გულისხმობს მხოლოდ ალაჰის და არა ხალხის მმართველობას. ხალხისთვის სახელისუფლებო ბერკეტების რაიმე ფორმით გადაცემა დიდ დანაშაულად ითვლება. ისლამისთვის მიუღებელია დემოკრატიის პრინციპები, როცა ხელისუფლების წყარო ხალხი და არჩეული საკანონმდებლო ორგანოა. ისლამისთვის დემოკრატია ურწმუნოების სისტემაა, რადგან დემოკრატიულ სისტემაში კანონმდებელი ადამიანია და არა - ალაჰი - „გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ალაჰი“

(ყურანი 6:57). ისლამისთვის მიუღებელია პიროვნების თავისუფლების დემოკრატიული პრინციპები, მათ შორის აღმსარებლობის თავისუფლება, აღმსარებლობიდან (ისლამიდან) გასვლა და ა.შ. ისლამი რელიგიაა და სახელმწიფო მისი განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფო - ეს შარიათის ისეთივე კანონებია, როგორიც, მაგალითად, ლოცვის კანონები. სახელმწიფო ისლამის კანონების განხორციელების და მისი გავრცელების ინსტიტუციაა. ახლო აღმოსავლეთში ისლამურ კანონმდებლობას - შარიათს - განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რაც სხვადასხვა ხარისხით ვლინდება ქვეყნების მიხედვით (მაგ., ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია: „იქმნება ისლამურ სამართლიანობაზე დამყარებული სასამართლო სისტემა“; იქვე მე-11 მუხლში („ისლამის არმია“) გაცხადებულია: „არმია და ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსი იქმნება არა მხოლოდ საზღვრების დასაცავად, არამედ ისლამური მისიისთვისაც, ანუ ჯიჰადისათვის ალაჰის სახელით“. ეგვიპტის კონსტიტუციის სტატია #2: „შარიათის პრინციპი კანონმდებლობის ძირითადი წყაროა“. სირიის კანონმდებლობით, სამოქალაქო დავების დიდი ნაწილი ასევე შარიათით რეგულირდება. ერაყის კონსტიტუცია, სტატია[*2] „ისლამი - სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიაა და კანონმდებლობის ძირითადი წყარო“, სტატია 2 „არცერთი კანონი არ მიიღება, თუ ის ეწინააღმდეგება ისლამის ნორმებს“.). მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის

[*2] სუნიტურ ისლამში 4 მთავარი იურიდიული სკოლაა (მაზჰაბი) აღიარებული: ჰანბალიდური, მალიქიდური, შაფიიდური და ჰანაფიდური. ეს მაზჰაბები დამაარსებლების სახელებს ატარებენ. ითვლება, რომ ისლამში არსებობს ფიქსირებული დადგენილებები, რომლებიც არ იცვლება, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც ისლამმა გავრცელება დაიწყო, საჭირო გახდა გარკვეული საკანონმდებლო ნორმების განმარტება, რადგან ყურანში და ჰადისებში ცხოვრების და საქმიანობის ყველა საკითხი არ იყო განმარტებული. ამ ოთხმა პიროვნებამ - იმამებმა, ანუ წინამძღოლებმა - ითავა განმარტებების ჩამოყალიბება. ცალკე აღებულ ქვეყანაში შესაძლოა რამდენიმე მაზჰაბი იყოს გავრცელებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მიმდევრები ზოგიერთ რიტუალსაც კი განსხვავებული წესით ასრულებენ, მაგ., ლოცვას. შაფიიდური მაზჰაბი კრძალავს ამფიბიების საკვებად გამოყენებას, ჰანბალიდური არ კრძალავს. ჰანაფიდური და ჰანბალიდური მოითხოვენ მექას და მადინას მონახულებას იმდენჯერ, რამდენჯერაც შეძლებს მუსლიმი, შაფიიდური ამას კატეგორიულად არ ითხოვს. ისლამი მიიჩნევს, რომ განსხვავებები მაზჰაბებს შორის არ არის ძალზე მნიშვნელოვანი და ოთხივე სკოლა ჭეშმარიტებას ქადაგებს, რადგან ოთხივე ემყარება, ძირითადად, ყურანსა და ჰადისებს. რომელიმე მაზჰაბისთვის უპირატესობის მინიჭება და გამორჩევა მიუღებელია.

ყურის ქვეყნებში და განსაკუთრებით, საუდის არაბეთში, გამორჩეულად „იგრძნობა“ ისლამი და კანონმდებლობის უმთავრესი წყარო შარიათია, ეს ქვეყნები სამიზნეს წარმოადგენენ ისეთი ისლამური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც რადიკალურად არიან აღიარებულნი (მაგ., ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები“ ტერორისტულად ითვლება გაერთიანებულ არაბულ საამიროებში და საუდის არაბეთში, ასევე ეგვიპტეში.). „რადიკალური“ ისლამის პრეტენზიები ამ ქვეყნების მმართველთა მიმართ უკავშირდება ყველაფერს, რაც მიუღებელია ისლამისთვის: მონარქიული დინასტიები, დასავლური ტიპის საბანკო სისტემა, რომელიც პროცენტულ სარგებელზეა დაფუძნებული, მჭიდრო თანამშრომლობა დასავლურ სამყაროსთან, არამუსლიმური ქვეყნების საჯარისო ნაწილებისთვის ბაზების დათმობა და ა.შ. ახლო აღმოსავლეთის, განსაკუთრებით - სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის მრავალწლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, რადიკალურ ორგანიზაციებთან ეს დაპირისპირება არ გამქრალა, რადგან ძალაშია ჯიჰადის თანამედროვე მოთხოვნა - ბრძოლა ახლოს მყოფ მტერთან, ანუ ისეთ რეჟიმებთან, რომლებიც სრულად არ იცავენ შარიათის პრინციპებს.

ისლამის სწავლების მიხედვით, ისლამური კანონი სრულყოფილი, უნივერსალური და მუდმივია, ხოლო ნებისმიერი სხვა კანონი - დროებითია, შეზღუდული და ექვემდებარება გაქრობას, რადგან შექმნილია ადამიანის მიერ. შარიათი წმინდაა და გამომდინარეობს ალაჰისგან. შარიათი ეფუძნება ყურანს და სხვა ისლამურ რელიგიურ ტექსტებს და არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულ კანონმდებლობასთან. შარიათი არ ითვალისწინებს: აღმსარებლობის, აზრის გამოხატვის ან შემოქმედებით თავისუფლებას, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, ადამიანთა შორის თანასწორობას - არამუსლიმი, ქაფირი, არასოდეს არ უთანაბრდება მუსლიმს. მართლმსაჯულება განასხვავებს მუსლიმისა და არამუსლიმის უფლებებს, (ისლამის 4 მთავარი იურიდიული სკოლიდან, ანუ მაზჰაბიდან 1(1) ერთ-ერთის, შაფიიდურის მიხედვით, რომელიც თითქმის მთელ აღმოსავლეთშია გავრცელებული (მათ შორის საქართველოში), სასამართლო მიიღებს მხოლოდ მუსლიმი მოწმის ჩვენებას. ასევე განსხვავებულია

სასჯელი მუსლიმის და არამუსლიმის მკვლელობისთვის.

ამას განმარტავს შაფიიდური სამართლის კრებული, რომელიც მრავალჯერ გამოიცა და ისწავლება სირიის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებში, ქალთა უფლებები განსხვავებულია, ქალების (მსუბუქად) ცემა დაშვებულია (ყურანი 4:34), არამუსლიმმა არ უნდა ატაროს იარაღი, უარი უნდა თქვას დემოკრატიაზე, რადგან დემოკრატია გულისხმობს არამუსლიმისა და მუსლიმის თანასწორობას. სხვა ნებისმიერი კანონმდებლობისგან განსხვავებით, შარიათში ცვლილება დაუშვებელია. ამასთან, არამუსლიმურ ქვეყანაში, როდესაც სახელისუფლებო დონეზე იღებენ გადაწყვეტილებას, ან დაუშვებენ რაიმე სახის რეგულაციას, რომელიც უფლებას აძლევს მუსლიმებს, დააწესონ შეზღუდვები მამაკაცთა და ქალთა ერთად მგზავრობასა და მიმოსვლაზე, ალკოჰოლის გაყიდვაზე და მოხმარებაზე, იქ, სადაც მუსლიმები იმყოფებიან, სავაჭრო და სხვა სახის ობიექტებზე იყოს წარწერა „ჰალალი“,[*3] დაწესებულებებში გამოიყოს ფართობი მუსლიმური სამლოცველოებისთვის, გამოიყოს ცალკე სასაფლაოები მუსლიმთათვის და ა.შ. და ა.შ. ეს ხდება საქართველოში, რაც ნიშნავს შარიათის ნორმების დანერგვას.

ყოველგვარი მცდელობა მუსლიმურ ქვეყანაში რაიმე სახით დემოკრატიის პრინციპების თავს მოხვევის ან დემოკრატიის ხარისხის „გაზრდის“ მოტივით, ცვლილებების ხელოვნური და განსაკუთრებით ძალისმიერი გზით განხორციელება, მძიმე შედეგების მომტანია, რასაც ადასტურებს ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში დღესაც მიმდინარე კონფლიქტები, სადაც მრავალი ფაქტორის გამო საომარი მოქმედებები შესაძლოა ათწლეულების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს და გლობალურ პრობლემად იქცეს (ავღანეთი, ერაყი, ლიბია, სირია).

[*3] ჰალალი - ისლამური პროდუქტები (ძირითადად საკვები), რომელიც მზადდება სპეციალური ისლამური პროცედურის შესაბამისად და დასაშვებია მუსლიმებისთვის, განსხვავებით „ჰარამ-ისგან“, რისი გამოყენებაც ექსტრაორდინალური შემთხვევების გარდა, კატეგორიულად აკრძალულია.

საქართველოში ისლამის გავრცელების პირველი მცდელობები

ისლამის გავრცელების და ქრისტიანებთან ურთიერთობის უცვლელი პრინციპები; თბილისის არაბული საამირო

მუსლიმები საქართველოში პირველივე ხალიფების დროს გამოჩნდნენ - მეშვიდე საუკუნის 40-იან წლებში - წარმატებას კი მხოლოდ 654-655 წლებში, ირანისა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ მიაღწიეს. ამავე წლებს უკავშირდება ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ნახსენებია არაერთ არაბულენოვან საისტორიო წყაროში. ეს არის არაბთა მხედართმთავრის, ჰაბიბ იბნ მასლამასა და ქართლის ერისმთავარ სტეფანოზს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელსაც „დაცვის სიგელი“ ეწოდება. სიგელში ჩამოთვლილ არაერთ პირობას, რომელიც უნდა დაეცვათ ქართველებს და არაბებს, მოსდევს წინადადება: „იბრძოლეთ მათთან, ვისაც არ სჯერა ალაჰის და უკანასკნელი დღის, არ აიკრძალა ის, რაც ალაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს და არ დაემორჩილნენ ჭეშმარიტ რელიგიას - სანამ არ გადაიხდიან საკუთარი ხელით ჯიზიას, მათგან, ვისაც ებოძა წმინდა წერილი, იქნებიან დამცირებულები“. სიგელში არ არის მითითებული ამ ციტატის წყარო, მაგრამ ნათელია, რომ ეს არის ყურანის მეცხრე სურას ოცდამეცხრე აია (9:29). ისლამი არ ცნობს კომპრომისებს წარმართების მიმართ - ისინი უნდა განადგურდნენ, ხოლო რაც შეეხება იუდეველებს და ქრისტიანებს, ანუ მათ, ვისაც წიგნები, წმინდა წერილები ებოძათ, აქვთ არჩევანი: ისლამის მიღება და მშვიდობა, უარი ისლამის მიღებაზე ან ომი მუსლიმებთან, ან საკუთარი რწმენის შენარჩუნება გარკვეული პირობებით. კერძოდ, სპეციალური გადასახადის, ჯიზიას გადახდა, რაც დაამცირებდა მათ (მუსლიმებს არ უყვართ იმის შეხსენება, რომ ჯიზია - ადამიანების დამცირება, ყურანის მოთხოვნაა, ამიტომ აღნიშნავენ, რომ ჯიზიას გადახდის სანაცვლოდ, ადგილობრივ მოსახლეობას მტრისგან იცავდნენ.

თავისებური ლოგიკაა - უნდა გადაუხადო მტერს, რომ მტრისგან იყო დაცული).

ანალოგიური „დაცვის სიგელები“ გაიცემოდა ქრისტიანებისა და იუდეველებისათვის იმ ქვეყნებში, რომლებსაც არაბები იპყრობდნენ. უცვლელი იყო „ჯიზიას“ პრინციპი - „წიგნის ხალხი“ დამცირებული უნდა ყოფილიყო. 14 საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა ეს წესი. შემონახულია შეთანხმების ტექსტი, რომელიც გაფორმდა მუსლიმთა მეორე ხალიფა ომარსა (634-644) და სირიის ქრისტიან მოსახლეობას შორის. დაპყრობილ სირიელ ქრისტიანებს ეკრძალებოდათ: ეკლესიების მშენებლობა, არსებულის შეკეთება და აღდგენა, ქრისტიანობის ქადაგება, მუსლიმთა მსგავსი ვარცხნილობის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ტარება, მათ ენაზე საუბარი, ცხენებზე ამხედრება, მახვილის ტარება, ალკოჰოლის მიღება, ეკლესიებზე ჯვრების აღმართვა, რელიგიური წიგნების ისეთ ადგილებზე დატოვება, სადაც მათ მუსლიმები ნახავდნენ, ეკლესიების ზარების რეკვა ხმამაღლა, რელიგიური სიმბოლოების თვალსაჩინოდ ტარება და წიგნების ხმამაღალი კითხვა, მიცვალებულთა ხმამაღალი დატირება, დამკრძალავი პროცესიის გავლა იმ გზებზე, რომლებითაც მუსლიმები სარგებლობენ. საინტერესოა, რომ ანალოგიურ შეთანხმებას, პირობების ზუსტი ჩამონათვალით, 2014 წლიდან უფორმებდა „ისლამური სახელმწიფო“ ერაყისა და სირიის ქრისტიანთა იმ ნაწილს, რომელმაც გაქცევა ვერ მოასწრო.



(2014 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გაცემული საბუთი ჯიზიას გადახდის შესახებ. შეთანხმების ტექსტი, რა თქმა უნდა, შეიცავს აიას ყურანიდან (9:29)

„წიგნის ხალხის“ წარმომადგენლებს (იუდეველები და ქრისტიანები), რომლებიც ცხოვრობენ მუსლიმურ ქვეყანაში, შარიათის პირობებში და იხდიან „ჯიზიას“, ეწოდებათ „ზიმმი“. მათ იცავს ისლამური სახელმწიფო, მაგრამ უფლებრივი მდგომარეობით, მუსლიმებთან შედარებით, დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.

არაბთა არაერთი ლაშქრობის შედეგად, მე-8 საუკუნის ოცდაათიან წლებში თბილისის საამირო დაარსდა, რომელმაც თითქმის 4 საუკუნე იარსება. საამირო ეს არის ისლამური სახელმწიფოს, სახალიფოს შემადგენელი ადმინისტრაციული ერთეული. ეს იმას ნიშნავს, რომ მის ტერიტორიაზე ძალაშია ისლამური კანონმდებლობა. დიდი ხნის განმავლობაში საამირო აკონტროლებდა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო მე-11 საუკუნიდან - მხოლოდ თბილისსა და მიმდებარე ტერიტორიებს. დედაქალაქის განთავისუფლება, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მხოლოდ 1122 წელს შეძლო დავით აღმაშენებელმა. ისტორიული წყაროების მიხედვით (მათ შორის არიან არაბი ავტორებიც), დავით მეოთხემ განსაკუთრებული წესები დაამყარა თბილისში: იმ უბნებში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არ გაიყიდებოდა და დაიკვლებოდა ღორი, არავინ მოიხმარდა ალკოჰოლს მუსლიმთა დასანახად და, საერთოდ, დაუშვებელი იყო მათი შევიწროება. ასევე, მუსლიმი მეცნიერები, იმამები და სუფიები ისეთი პატივით სარგებლობდნენ, რაც არ ღირსებიათ საამიროს პირობებში. ამასთან, წყაროებში მოცემული ინფორმაცია, დავით მეოთხისა და მისი ვაჟის, დემეტრე პირველის პარასკეობით მეჩეთში სიარულისა და ქადაგებების მოსმენის შესახებ გადაჭარბებულად მიგვაჩნია. ამ ცნობას ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც: „ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელი მეჩეთში შედიოდა და ზოგჯერ პარასკევის ლოცვასაც ესწრებოდა, მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით არ შეიძლება აიხსნას“[**4]. (1) საინტერესოა,

[**4] სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტი „ისლამის პოლიტიკური ასპექტები საქართველოში“ (2013) გვ. 11

კიდევ რა მოსაზრებას გულისხმობდნენ ავტორები? ისლამისადმი სიმპათიებს? არავითარ შემთხვევაში, რადგან დავით აღმაშენებელი, რომელმაც 1121 წელს მუსლიმური კოალიციის გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა დიდგორზე, ბრძოლის წინ ასე მიმართავდა თავის ჯარს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართ, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“.

ისლამი და არამუსლიმები

რა დამოკიდებულება აქვს ისლამს ქრისტიანობასთან

არამუსლიმებს, ზოგადად, ისლამი ორ ნაწილად ყოფს. პირველ ნაწილს შეადგენენ წარმართები და პოლითეისტები, რომლებიც ურწმუნოებად მიიჩნევიან და მათთვის განკუთვნილია უმკაცრესი სასჯელი. მეორე ნაწილია იუდეველები და ქრისტიანები, ანუ ისინი, ვისაც ებოძათ წმინდა წერილები - თორა და სახარება („წიგნის ხალხი"). უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს იესოს, მარიამს და სახარებას. ყურანში ერთადერთი ქალის სახელია ნახსენები - მარიამი. მისი სახელი ეწოდება მეცხრამეტე სურას. ამასთან, ყურანში გადმოცემული არაერთი ეპიზოდი ძველი და ახალი აღთქმიდან, ბევრ უზუსტობას შეიცავს და ზოგი მათგანი უცოდინარობას, ხოლო უმეტესი - შეგნებულად დამახინჯებას უკავშირდება. ამის მაგალითი უამრავია: დაწყებული მარიამის მამის სახელიდან, რომელსაც ყურანი იმრან-ად მოიხსენიებს, რაც არასწორია, დამთავრებული იესოს ჯვარცმის აღწერით. ქრისტიანებთან საუბრისას და მათი ნდობის მოსაპოვებლად, მუსლიმი აუცილებლად აღნიშნავს, რომ მარიამის, იესოს და სახარების უარყოფა და რაიმე სახით შეურაცხყოფა, ისლამზე უარის თქმის ტოლფასია და ეს მართალია. ყურანი აღწერს და აღიარებს უბიწო ჩასახვას (ალ-ბუხარის „საჰიჰ ალ-ბუხარიში" აღნიშნულია: „არცერთი ბავშვი, იესოს გარდა, არ დაბადებულა სატანის შეხების გარეშე", ტ. 6, გვ. 54), იესო მოხსენიებულია მესიად, ალაჰის სიტყვად და სულად (ყურანი 4:171), მოუწოდებს მუსლიმებს, პატივი სცენ სახარებას (ყურანი 4:136, 2:121, 4:47, 5:47, 10:94 და ა.შ.). ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს შემდეგი: და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუსლიმთათვის ქრისტიანობის შესაფასებლად და ქრისტიანებთან ურთიერთობისთვის. ყურანის პირველივე სურა, რომელსაც „გამხსნელი" ეწოდება, იკითხება ყოველდღიურად ხუთჯერ და ყველა განსაკუთრებული შემთხვევისას (ქორწინება, დაკრძალვა და ა.შ.), მეექვსე - მეშვიდე აიებით ყველა მუსლიმი შესთხოვს ალაჰს: „გვიწინამძღვრე

პირდაპირი გზით: იმათი გზით, რომელთაც მიეცი მოწყალება; არა - შერისხულთა და არცა - გზასაცდენილთა“ (ყურანი 1:6,7). ყურანის ყველა კომენტატორის (ავტორიტეტულის, ნაკლებად ავტორიტეტულის) განმარტებით და კომენტარით, რაც ასევე ისწავლება ნებისმიერ ისლამურ სასწავლებელში, ყველა მუსლიმურ და არამუსლიმურ ქვეყანაში, „შერისხულნი“ იუდეველები არიან, ხოლო „გზასაცდენილები“ - ქრისტიანები.

ისლამი მიიჩნევს, რომ წმინდა წერილები შეგნებულად შეცვალეს და დაამახინჯეს იუდეველებმა და ქრისტიანებმა იმ მიზნით, რომ დაემალათ იქ არსებული ცნობები მუჰამადის მოსვლის შესახებ. იესო ისლამში ერთ-ერთი მოციქულია მუჰამადთან, მოსესთან და სხვებთან ერთად (ყურანი 5:75). ყურანი იესოს ჯვარცმასაც უარყოფს და ჯვარცმის აღწერისას ამბობს, რომ იქ მყოფებს ჯვარზე გაკრული იესო მოეჩვენათ (ყურანი 4:157,158) და სინამდვილეში ჯვარს აცვეს სხვა ადამიანი (ეს მაშინ, როდესაც ჯვარცმა მარიამის თვალწინ მოხდა). მუსლიმები ქრისტიანობის დასახასიათებლად ყურანს იშველიებენ, სადაც ნათქვამია: თვით იესო უარყოფს, რომ არის ძე ღვთისა (ყურანი 5:116), ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ ყურანში არაერთგზის არის ნახსენები სულიწმიდა, იესო მოხსენიებულია, როგორც ღმერთის (ისლამში ალაჰი) სიტყვა და სული, მუსლიმთათვის კატეგორიულად მიუღებელია წმინდა სამება, ხოლო ვინც აღიარებს სამებას, ის პოლითეისტია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (ყურანი 5:72,73). ისლამში უდიდეს ცოდვად აღიქმება ე.წ. შირქი, ანუ ალაჰის თანასწორად ვინმეს ან რაიმეს მოხსენიება. ასეთ ცოდვილს მუშრიქი ეწოდება. ისლამი ამბობს, რომ ყველაფერთან ერთად, ქრისტიანებმა შეცვალეს წმინდა წერილი, და შესაბამისად, ისინი ურწმუნოთა რიგებში არიან. ყურანში არაერთგან არის აღნიშნული, რომ ქრისტიანთა უმეტესობა გარყვნილი და უწესოა (ყურანი 3:110, 5:59). მუსლიმების მტკიცება იმის შესახებ, რომ ქრისტიანებს არ თვლიან ურწმუნოებად (ქაფირებად) და პატივს სცემენ ქრისტიანობას, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ყურანი საწინააღმდეგოზე მეტყველებს: „ურწმუნონი არიან ისინი, რომლებიც ამბობენ: ალაჰია ალ-მასიჰ იბნ მარიამიო“, ანუ მესია, მარიამის ძე (ყურანი 5:17). ასევე: „ის,

ვინც გარდა ისლამისა, ისურვებს სხვა სჯულს, არ შეიწყნარება ეს მისგან და ზესთასოფელში წაგებულებთან ერთად იქნება“ (ყურანი 3:85). ქრისტიანების შესახებ ჰადისები კიდევ უფრო მკაცრია. სუნიტური ისლამის 4 ძირითადი იურიდიული სკოლის (მაზჰაბის) შეხედულებები ქრისტიანობაზე:

- ჰანბალიდები - „ვინც ურწმუნოდ არ თვლის ყველას, ვისაც სწამს ისლამის გარდა სხვა რელიგია - ქრისტიანობა, იუდაიზმი, ან დაეჭვდება მათ ურწმუნოებაში, ის თვითონაც ურწმუნოა“. „ვინც არ აღიარა, რომ ალაჰი არ იღებს ისლამის გარდა სხვა რელიგიას, ის არ არის მუსლიმი და ვინც მუჰამადის გზავნილის შემდეგ არ კრძალავს იუდეველებისა და ქრისტიანების რწმენას, ან არ თვლის მათ ურწმუნოებად და არ ეზიზღება ისინი, არ არის მუსლიმი“ (იბნ თაიმია, ფათვების კრებული, 27/464). (იბნ თაიმია (1263-1328) - ე.წ. სალაფიზმის, ასევე თანამედროვე ჯიჰადისტური მოძრაობისა და ორგანიზაციების უდიდესი ავტორიტეტი. სოცქსელების ქართულენოვანი გვერდები (მაგ., „ისლამის სკოლა“ ფბ-ში) ხშირად ეყრდნობიან ციტატებს მისი „ნაშრომებიდან“).
- ჰანაფიდები - თვლიან, რომ მათ, ვინც იტყვის, რომ ქრისტიანობა უკეთესია იუდაიზმზე, ურწმუნოა, რადგან ამით უპირატესობას მიანიჭებს ურწმუნოთა ერთ-ერთ რელიგიას.
- შაფიიდები - ვისაც ეჭვი ეპარება იუდეველთა და ქრისტიანთა ურწმუნოებაში - თვითონაც ურწმუნოა.
- მალიქიდები - ურწმუნოა ის, ვინც ერთ იუდეველს ან ქრისტიანსაც კი არ ჩათვლის ურწმუნოდ.

ყურანში კონკრეტული მითითებებია მოცემული ურწმუნოებთან ურთიერთობისთვის: აია, რომელიც, რა თქმა უნდა, მექას პერიოდს ეკუთვნის: „ო, ურწმუნონო, ... თქვენ თქვენი სჯული გაქვთ, მე ჩემი სჯული“ (109:1,6). თუ არ ჩავთვლით „ურწმუნონო-ს“, სავსებით ტოლერანტული მიმართვაა, მაგრამ ის გაბათილებულია, გაუქმებულია სხვა მრავალი აიათი:

„დახოცეთ ისინი, სადაც მიეწევით და გამოყარეთ იქიდან, საიდანაც გამოგყარეს“ (2:191);

„ებრძოლეთ მათ, ვიდრე აღმოიფხვრებოდეს საცდური და დარჩებოდეს რწმენა ალაჰისა“ (2:193);

„წერილ არს თქვენთვის ბრძოლა მაშინ, როცა გძაგთ თქვენ იგი“ (2:216);

„იბრძოლეთ ალაჰისთვის“ (2:244);

„ნატრობენ, რომ თქვენც ურწმუნონი იყოთ, ისევე როგორც თვითონ არ ირწმუნეს, რათა თანასწორნი შეიქმნათ. და ნუ აირჩევ მათგან მეგობრებს, ვიდრე სამშობლოდან გადასახლდებოდნენ ალაჰის გულისთვის და თუ უკან მობრუნდნენ, აიღეთ და ხოცეთ ისინი, სადაც წააწყდებით“ (4:89);

„მალე ჩავთესავ მათ გულებში, ვინც იყო ურწმუნო, ძრწოლას; თქვენ კი დაჰკარით მათ კისრის წიბოებზე და ყოველი თითის წვერზე ურტყით“, „ეს იმის გამო, რომ გაემიჯნენ ალაჰსა და მის მოციქულს... ალაჰი სასტიკსაზღაურიანია“, ეგეც თქვენ. და მაშ, გასინჯეთ იგი. ჭეშმარიტად, ურწმუნოებს - სასჯელი გეენისა“ (8:12,13,14);

„თქვენ კი არ ხოცავდით მათ, ალაჰმა დახოცა ისინი“ (8:17);

„და შეებრძოლეთ მათ, ვიდრე აღარ დარჩება ცდუნება და იქნება სარწმუნოება მთლიანად ალაჰისა“ (8:39);

„და მოამზადეთ მათ წინააღმდეგ ყველაფერი, რასაც შეძლებთ. ძალა და დარახტული ბედაურნი, რითაც შეაშინებთ ალაჰის მტრებს და თქვენ მტრებს“ (8:60): ამ აიას დასაწყისი („და მოამზადეთ“ - وأَعِدُّوا გამოსახულია ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ დროშაზე);

„წააქეზე მორწმუნენი ბრძოლისაკენ - თუკი თქვენში ოცი მომთმენი იქნება, დაამარცხებთ ორასს, თუ - ასი, დაამარცხებთ ათას ურწმუნოს. იმის გამო, რომ ისინი ის ხალხია, ვინც ვერ კეთილგანსჯის“ (8:65);

„შეებრძოლეთ წარმართებს, სადაც წააწყდებით, ალყა შემოარტყით და ჩაუსაფრდით ყველა საფარში“, „შეებრძოლეთ მათ! ალაჰი დასჯის და დაამცირებს თქვენი ხელით“ (9:5,14);

„იბრძოლეთ მათთან, ვისაც არ სჯერა ალაჰის და უკანასკნელი დღის, არ აიკრძალა ის, რაც ალაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძა-

ლეს და არ დაემორჩილნენ ჭეშმარიტ რელიგიას - მათგან, ვისაც ებოძა წმინდა წერილი, სანამ არ გადაიხდიან საკუთარი ხელით ჯიზიას, დამცირებულები“ (9:29);

„ო, წინასწარმეტყველო, ებრძოლე ურწმუნოებს და თვალთმაქცებს. შერისხე ისინი. მათი თავშესაფარი - გეენაა“ (9:73);

„და გამოიყვანა ისინი, ვინც ზურგს უმაგრებდნენ წიგნის მქონეთაგან... და ჩათესა მათ გულებში შიში. მათ ნაწილს ხოცავდით, ხოლო ნაწილს ტყვედ იგდებდით, მემკვიდრეობად გიბოძათ მათი მიწა, სამკვიდროები, ქონება და მიწა-წყალი“ (33:26, 27). „და თუ შეხვდები იმათ, ვინც არ ირწმუნა, დასცხეთ (ხმლით) კისერში, ვიდრე სრულად მოსრავდით და გაამაგრეთ მარყუჟნი“, „ნუ დაუძლურდებით და ნუ მოუწოდებთ მშვიდობისაკენ“ (47:4,35).

ისლამის ნაკლებად ცნობილი თავისებურებები:

„ალ-ვალა ვა ლ-ბარა“ და „თაკია“, მათი საფუძველი ყურანში, ჰადისებში

როდესაც რომელიმე სხვა კონფესიის წარმომადგენელი, განსაკუთრებით, ცნობილი პიროვნება, იღებს ისლამს, მუსლიმები ყოველმხრივ ცდილობენ რეკლამირება გაუკეთონ ამ ფაქტს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მუსლიმი იცვლის რწმენას, მას სიკვდილით ემუქრებიან. წარმოვიდგინოთ, რა რეაქცია ექნებოდათ მუსლიმებს, თუ სახარებაზე დაყრდნობით, ეკლესია გააკეთებდა მოწოდებას - განადგურდეს ყველა არაქრისტიანი ან ებრაული თალმუდის თეოლოგიური ინსტიტუტი“, თორაზე დაყრდნობით, მოითხოვდა მათ დევნას, მკვლელობას და ჯვარცმას, ვინც არ არის ებრაელი, ან ბუდისტურ რელიგიურ ლიტერატურაში აღმოჩენილიყო ტექსტები, რომელიც პროვოცირებას მოახდენდა მათი სულების დაკარგვისა, ვინც უარს იტყოდა ბუდიზმის მიღებაზე. რატომ იქცევიან ასე მუსლიმები? ეს ის ერთადერთი საკითხია, როცა ისლამი და მუსლიმები დასაშვებად მიიჩნევენ ორმაგ სტანდარტებს? რით ხსნის ისლამი ამ ყოველივეს? არამუსლიმური ქვეყნების ლიდერები და გადაწყვეტილების მიმღები პირები ან საერთოდ არ იცნობენ ისლამს და შარიათს, ან ძალზე ზედაპირული წარმოდგენა აქვთ მათზე. კონტაქტი ისლამთან, მუსლიმური ქვეყნების და ისლამური ორგანიზაციების ლიდერებთან გამოიხატება პროტოკოლურ ღონისძიებებში მონაწილეობით, სადაც იმყოფებიან სასიამოვნო, გულისხმიერი და ტკბილად მოსაუბრე მუსლიმები. ამიტომ, მიიჩნევენ, რომ ისლამი არის ერთ-ერთი ჩვეულებრივი რელიგია და პრობლემებს ქმნიან მხოლოდ ექსტრემისტები, რომლებმაც თვითონ არ იციან ისლამი ან არასწორი ინტერპრეტაციით ისწავლეს ის.

არამუსლიმურ ქვეყნებში საზოგადოების ძირითადი ნაწილისთვის უცნობია ისლამისთვის დამახასიათებელი ორმაგი სტანდარტების ეთიკა, რაც დიდწილად განსაზღვრავს მუსლიმთა ქცევას

და ურთიერთობას არამუსლიმებთან. არამუსლიმები, რომლებსაც სხვადასხვა სფეროში უწევთ ურთიერთობა მუსლიმებთან, ხშირად აღმოაჩენენ, რომ ისინი „უცნაურად“ იქცევიან. ამის ახსნა შეიძ-ლება და ის უკავშირდება ისლამის კონკრეტულ თეორიებს, რისი გათვალისწინების გარეშეც ძალზე რთულია მუსლიმებთან ურთი-ერთობა და ზოგიერთ შემთხვევაში, საზიანოც კი არის. ისლამის მოთხოვნა უკავშირდება ფუნდამენტურ პრინციპს - „ალ-ვალა ვა ლ-ბარა“ (მეგობრობა და მტრობა, სიყვარული და სიძულვილი, სიმპათია და ანტიპათია). ეს პრინციპი მოითხოვს მუსლიმისგან, რომ მან იმეგობროს მხოლოდ მუსლიმთან და არ იმეგობროს არამუსლიმთან, (მათ შორის „წიგნის ხალხის“ წარმომადგენელ-თან - იუდეველთან და ქრისტიანთან). „იუდეველნი და ქრისტი-ანნი არ იყოლიოთ მეგობრებად. ისინი მხოლოდ ერთმანეთის მეგობრები არიან და ვინც გადაიხრება მათკენ, ის იმათგანია“ (ყურანი 5:51). „ვერ იპოვით ისეთ ადამიანს, ვისაც სწამს ალაჰი და დღე უკანასკნელი, ვისაც უყვარს ალაჰის და მისი მოციქულის უარმყოფელი, თუნდაც ის იყოს მისი მამა, შვილი, ძმა, ან თანატო-მელი“ (ყურანი 58:22). იმისთვის, რომ მუსლიმი იქცეს ურწმუნოდ, არ არის აუცილებელი, რომ ურწმუნოსავით მოიქცეს ან ალაჰის თანაზიარად აღიაროს ვინმე. საკმარისია სიმპათია გამოხატოს ამის ჩამდენის მიმართ (მუსლიმებისთვის ასეთნი არიან იუდევე-ლები და ქრისტიანები, ანუ მუშრიქები). „მორწმუნენო, არ იმეგობ-როთ მამებთან და ძმებთან, თუ მათ ურწმუნოება რწმენაზე მეტად შეიყვარეს და ვინც მათთან იმეგობრებს - უსამართლოა“ (ყურანი 9:23). ე.წ. „ვაჰაბიზმის“ ფუძემდებელი მუჰამად იბნ აბდუ ლ-ვა-ჰაბი: „მუშრიქების არგამოცხადება ურწმუნოებად (თაქფირი) ან დაეჭვება იმაში, რომ ისინი ურწმუნოები (ქაფირები) არიან, ასევე ვარაუდი, რომ სწორ გზაზე დგანან - არის ქუფრი (ურწმუნოება) (მუჰამად იბნ აბდუ ლ-ვაჰაბი „ისლამიდან გამყვანი ქმედებები“ მესამე პუნქტი). ისლამის სწავლების მიხედვით, იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს მუსლიმი, მან უნდა მიიღოს ისლამი მთლიანად და სრულად უნდა შეასრულოს მისი წესები. ის, ვინც იღებს ისლა-მის ერთ ნაწილს და არ იღებს მეორეს, არის ქაფირი, ანუ ურწმუ-ნო (იმის შესახებ, რას იმსახურებენ ურწმუნონი, ზემოთ უკვე ვახსე-ნეთ.). მუსლიმებს სწამთ, რომ მუშრიქი ვერ მოხვდება სამოთხეში:

„ვფიცავ, ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალაჰია მესიჰი[*5], შვილი მარიამისა; და თქვა მესიჰმა: ისრაილის შვილნო, თაყვანი ეცით ალაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია“ (ყურანი 5:72). აი, კიდევ რა მოწოდებას ისმენენ მუსლიმები: „ნატრობენ, რომ თქვენც ურწმუნონი იყოთ, ისევე როგორც თვითონ არ ირწმუნეს, რათა თანასწორნი შეიქმნათ. და ნუ აირჩევ მათგან მეგობრებს, ვიდრე სამშობლოდან გადასახლდებოდნენ ალაჰის გულისთვის და თუ უკან მობრუნდნენ, დახოცეთ ისინი, სადაც წააწყდებით. და ნუ აირჩევთ მათგან მეოხს და ნურც შემწეს“ (ყურანი 4:89). ქვემოთ მოცემულია ჩამონათვალი იმ აკრძალვებისა, რაც სავალდებულოა მუსლიმებისათვის ურწმუნოებთან დაკავშირებით:

- მიბაძვა მათ ჩაცმულობასა და მეტყველებაში;
- მათი სახელების დარქმევა;
- მათი მიწვევა მრჩევლებად;
- მოგზაურობა მათ ქვეყნებში გასართობად;
- ცხოვრება მათ ქვეყნებში და არგადასახლება მუსლიმურ ქვეყანაში;
- რაიმე სახით მათი ისტორიის გაზიარება, განსაკუთრებით, რაც უკავშირდება მათ რიტუალებსა და დღესასწაულებს;
- მონაწილეობა ან დახმარება მათი დღესასწაულების გამართვაში, ასევე მილოცვა;
- შექება მათი და მათი ცივილიზაციის, მორალის და რაიმე სახის ცოდნის და ყურადღების არმიქცევა მათ მცდარ რწმენასა და გარყვნილ რელიგიაზე;
- პატიების თხოვნა და მათი შეწყალება.

„ალ-ვალა ვა ლ-ბარას“ პრინციპის განმარტება ყველაზე ნათლად გადმოცემული აქვს სალაფიას უდიდეს ავტორიტეტს, იბნ თაიმიას: „უნდა გიყვარდეთ მორწმუნე, თუნდაც ის უსამართლო იყოს თქვენ მიმართ და გავიწროებდეთ, და უნდა გძულდეთ ურწ-

[*5] მესიჰი - მესია

მუნო, თუნდაც კეთილად იყოს განწყობილი თქვენ მიმართ“ (იბნ თაიმია, ფათვები 28/209). „მორწმუნე“, რა თქმა უნდა, მუსლიმია, „ურწმუნო“ - ყველა არამუსლიმი. ისლამი თვლის, რომ ქრისტიანებს და იუდეველებს სწამთ ღმერთის, მაგრამ უარყოფენ მუჰამადს და შარიათს და, ამასთან, ღმერთის თანაზიარად აღიარებენ ვინმეს ან რაიმეს. ამის გამო ისინი არ არიან მუსლიმთა თანასწორნი და იმსახურებენ მტრობას, ანუ ალ-ბარა-ს. ალ-ვალა-ს მხოლოდ მუსლიმები იმსახურებენ. კიდევ ერთ პრინციპს, რომელიც მუსლიმთა ქცევასა და ურთიერთობებს განაპირობებს, ეწოდება „თაკია“. მაგალითისთვის: ქრისტიანების თანდასწრებით მუსლიმები და მათი ლიდერები არასოდეს აღნიშნავენ, რომ „ზეციური რელიგიის ზოგიერთმა მიმდევრებმა ალაჰს შვილი დაუდგინეს და მოზიარე გაუჩინეს მას“ ე.ი. ისინი პოლითეისტები, მუშრიქები არიან, რისთვისაც იმ სასჯელს იმსახურებენ, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ქადაგებებში და მუსლიმებთან ურთიერთობისას კი საუბარი გულწრფელია და სათქმელსაც დაუფარავად ამბობენ. დასაფიქრებელია, ქართული საზოგადოების ერთიანობას რით ემუქრება სრულიად საქართველოს ამჟამინდელი მუფტის, ა. შანთაძის თუნდაც ეს ქადაგება, რომელიც მან ბათუმში, ღია ცის ქვეშ ორგანიზებულ ე.წ. ახალ მეჩეთში წარმოთქვა (განსაკუთრებით ყურადსაღებია მონაკვეთი 1:30-დან 2:10-მდე).[*6] არამუსლიმური აუდიტორიის წინაშე გამოსვლებისას მუფტი და მისი უკლებლივ ყველა კოლეგა ტოლერანტობას, სხვა კონფესიებთან თანამშრომლობას და მშვიდობიან თანაცხოვრებას ქადაგებენ და აცხადებენ, რომ ისლამი ნიშნავს მშვიდობას. ეს არის თაკია. მუსლიმებისთვის ეს არასასურველი თემაა სასაუბროდ, რადგან თაკია ნიშნავს რწმენის და განზრახვების დამალვას, დაფარვას. სუნიტები აღნიშნავენ, რომ თაკია მხოლოდ შიიტებისთვისაა დამახასიათებელი, რაც არასწორია და ჩვეულებრივი თვალთმაქცობაა. თაკიას დაშვება მუსლიმებისთვის არაერთხელ არის ნახსენები ყურანში. მაგალითად, „არ იყოლიოთ მორწმუნეებმა ურწმუნონი მეგობრებად, გარდა მორწმუნეთა და ვინც ამას იქმს, ალაჰის წყალობა არ

[*6] https://www.facebook.com/watch/live/?v= HYPERLINK / იხილეთ: CD დისკი, ფაილი ა. შანთაძის ქადაგება ბათუმში

ექნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მათგან რაიმე ხიფათი გემუქ-
რებათ“ (ყურანი 3:28).

ამ პრინციპის რეკომენდაციას აღმოაჩენთ ჰადისებშიც. ალ-ბუ-
ხარის „საჰიჰ ალ-ბუხარი“ მოუწოდებს მუსლიმებს: „ხალხის და-
სანახად გავიღიმებთ და გულში დავწყევლით მათ“ (ურწმუნოებს)
(საჰიჰ ალ-ბუხარი 8/38). თაკია ფარული ჯიჰადის პრაქტიკაა და
მზადება, ძალების მოკრება და ლოდინი ჭეშმარიტი ჯიჰადისათ-
ვის. აი, რას აცხადებენ ყურანის კომენტატორები: „თაკია გამო-
იყენება მაშინ, როდესაც ადამიანი იმყოფება ურწმუნოთა შორის
და უფრთხილდება საკუთარ თავს და ქონებას. ამიტომ, საუბრით
ის არ ამჟღავნებს მტრობას. თაკია სხვებისთვის დასანახად გამო-
იყენება და არა - შინაგანი განწყობის საჩვენებლად“ („არ-რაზის
კომენტარები“ 170/4). იქ, სადაც მუსლიმები უმცირესობაში არიან,
თაკია გამოიყენება შენიღბვის მეთოდად. თაკია დასაშვებად მი-
იჩნევს მოჩვენებითი სიყვარულისა და ერთგულების გამომჟღავ-
ნებას სიტყვით. საყურადღებოა, რომ სუნიტები თაკიას ხედავენ
შიიტების სიტყვებში, საქმიანობაში და მათ ურთიერთობაში არა-
მუსლიმებთან და სუნიტებთან, ხოლო თვითონ სუნიტები თაკიას
დასაშვებად აღიარებენ მხოლოდ გარეგან გამოვლინებებში და
არამუსლიმებთან ურთიერთობისას (სუნიტების ერთ-ერთი ბრალ-
დება შიიტების მიმართ ასე ჟღერს: ალაჰმა თაკია დააწესა ურწ-
მუნოების წინააღმდეგ, ხოლო შიიტები მას იყენებენ მუსლიმების
საწინააღმდეგოდაც კი).

ისლამი და დასავლეთი

რა არის ისლამისთვის დასავლური სამყარო

ისლამისთვის დასავლეთი და დასავლური ცივილიზაცია ქრისტიანობასთან არის გაიგივებული და ქრისტიანობასთან ისლამის დამოკიდებულების შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა. ე.წ. რადიკალური ისლამის უკიდურესად მტრული გეგმები ევროპული დედაქალაქების და განსაკუთრებით, რომის, როგორც ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძვლის მიმართ სწორედ ამ განწყობას უკავშირდება. მუსლიმები დარწმუნებულნი არიან, რომ დასავლეთის მიზანი ისლამის განადგურებაა და როდესაც სადმე გაცხადდება მუსლიმების მხრიდან აგრესიის გამოვლენის ფაქტები, „საპასუხო არგუმენტად" მოაქვთ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ქრისტიანების მიერ ახლო აღმოსავლეთში ჩადენილი სისასტიკე. გარდა ამისა, საკუთარ ჩამორჩენას, არაერთი მიმართულებით, ისლამური სამყარო დასავლეთის მიერ განხორციელებულ კოლონიალურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების მიტაცებას უკავშირებს. ამასთან, მუსლიმებისთვის მუსიკისა და მხატვრობის აკრძალვა ისლამის მოთხოვნაა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლური წარმოშობის მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი, მეცნიერი და პოეტი, ისლამთან ძალზე თავისებური და კრიტიკული დამოკიდებულების გამო, შერისხულნი არიან ოფიციალური მუსლიმი „თეოლოგების" მიერ და მათ მუსლიმებად არც განიხილავენ. ასეთ მოღვაწეთა არასრული ჩამონათვალი ასეთია: იბნ რუშდი (ავეროესი), ალ-ფარაბი, ალ-ქინდი, აბუ ლ-ალა ალ-მაარი, იბნ რავანდი, იბნ სინა (ავიცენა), ომარ ხაიამი, ალ-ხვარაზმი და ა. შ.

თანამედროვე მუსლიმები დასავლეთს განიხილავს არეალად, სადაც ისლამი ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული იმ მასშტაბით, რაც საკმარისი იქნებოდა შარიათის კანონების ასამოქმედებლად. რამდენიმე აღმოსავლური ქვეყანა (საუდის არაბეთი, კატარი, გაერთიანებული არაბული საამიროები, თურქეთი, ირანი) ამ მიზნით ათწლეულების განმავლობაში მილიონობით თანხებს ხარჯავს,

ხელს უწყობს ისლამური კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრების და ე. წ. საქველმოქმედო ორგანიზაციების გახსნას და ფუნქციონირებას (ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისი არ არის). გარდა ამისა, ისლამურ სამყაროს კონკრეტული პრეტენზიები და გეგმები აქვს იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ისტორიულად ისლამური სახელმწიფო მმართველობა ხორციელდებოდა. ერთ-ერთი მაგალითია თანამედროვე ესპანეთი, სადაც 8 საუკუნის განმავლობაში (711-დან 1492 წლამდე) არაბები დიდ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ ისლამური მმართველობის, სახალიფოს საშუალებით. პირინეის ნახევარკუნძულზე ტერიტორიების დაკარგვა ისლამური სამყაროსთვის დღემდე უდიდეს ტრაგედიად ითვლება და მუსლიმები მიიჩნევენ, რომ, ადრე თუ გვიან, იქ უნდა აღდგეს ისლამური მმართველობა - ეს ჯიჰადის, ანუ ისლამის მოთხოვნაა. (ბარსელონაში რავალის რაიონი ევროპელი ჯიჰადისტების ერთ-ერთ ინკუბატორია, ისევე როგორც ბრიუსელში მოლენბეკის რაიონი. ორივე სალაფიას მიმდევართა ცენტრად ითვლება.) საქართველო არც ამ კუთხითაა გამონაკლისი და რადგან მუსლიმები თვლიან, რომ ისლამური მმართველობა უნდა განახლდეს ყველგან, სადაც ის ისტორიულად არსებობდა - ჯაკარტადან ანდალუსიამდე - საქართველო მათ ინტერესებში შედის (თბილისში 4 საუკუნის განმავლობაში საამიროს არსებობა, ოსმალეთისა და სპარსეთის გავლენები და მმართველობა, არაერთ თანამედროვე მუსლიმურ სახელმწიფოს და ისლამურ ორგანიზაციას უჩენს იმის ილუზიას, რომ საქართველოს ტერიტორია უნდა დაიბრუნონ მუსლიმებმა). ბმულზე[*7] მოცემულია ორგანიზაცია „ალ-კაიდას“ „კავკასიის საამიროს“ რუკა, სადაც საქართველო აღნიშნულია, როგორც „ქაფირების (ურწმუნოების) მიერ ოკუპირებული მუსლიმთა მიწა“.

დასავლეთის მიმართ ისლამური განწყობების გამძაფრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი 1928 წელს ეგვიპტეში დაფუძნებულმა ორგანიზაციამ „მუსლიმი ძმები“. დამფუძნებლის, ჰასან ალ-ბანას (1906-1949) მოწოდების შედეგად, ეგვიპტეში დაიწყო

*7 https://0-stranger.livejournal.com/1026975.html / იხილეთ: CD დისკი, ფაილი БОЕВИКИ СЕВЕРНОГО КАВКАЗА ИНТЕГРИРУЮТСЯ В ИСЛАМСКОЕ ГОСУДАРСТВО

თავდასხმები კინოთეატრებზე, რესტორნებზე და ქალებზე, რომელთა ჩაცმულობაც, ორგანიზაციის აზრით, რელიგიურად შეუსაბამო იყო. ანტიდასავლური და ანტიმოდერნისტული დოქტრინა განავითარა „მუსლიმი ძმების“ სულიერმა ლიდერმა საიდ კუტბიმ (1906-1966). მისმა წიგნებმა დიდი გავლენა იქონია აიათოლა ჰომეინის საქმიანობაზე ირანში, ასევე ორგანიზაციებზე - „ჰამასსა“, „ალ-კაიდაზე“, ისლამურ სახელმწიფოზე, თურქულ ისლამზე და თურქეთის მმართველ „სამართლიანობის და განვითარების პარტიაზე“, რომელსაც პრეზიდენტი რ. ტ. ერდოღანი მეთაურობს. ისლამურ სამყაროში მიიჩნევენ, რომ ამ სამყაროს ფრაგმენტაცია და დასუსტება დასავლეთის დამსახურებაა, რადგან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაუქმდა უკანასკნელი სახალიფო და ცალკეული სახელმწიფოების სათავეში მოვიდნენ ჯვაროსნების მიერ ხელდასხმული ტირანები - ჩინეთის საზღვრებიდან ანდალუსიამდე. ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად დასავლეთს მობილიზებული ჰყავს მსოფლიოს საუკეთესო მოაზროვნეები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, ანალიტიკური ცენტრები უსაზღვრო ბიუჯეტით. მათი მიზანია: ისლამის გაწმენდა შარიათისა და ჯიჰადისაგან, მისი უნივერსალური გზავნილის გაუქმება, ისლამურ ორგანიზაციებში შეღწევა მათ ლიდერებზე ზემოქმედების მიზნით, ცალკეული ქვეყნების თავისებურებათა გათვალისწინებით (ისლამის უნივერსალური გზავნილია: მთელ დედამიწას, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად, უნდა მართავდეს ისლამის კანონი, აღქმა, ღირებულებები, ეთიკა და ქცევა.). მეოცე საუკუნიდან ისლამმა გასული საუკუნეებისგან სრულიად განსხვავებული ტაქტიკა აირჩია დასავლეთთან ურთიერთობაში.

– დასავლეთის ქვეყნებში შეიქმნა ე.წ. დახურული გეტოები მუსლიმური თემისთვის, სადაც ისლამური ორგანიზაციები ცდილობენ იზოლირებული საზოგადოებების შექმნას, რაც დასავლეთში პარალელური საზოგადოებების ჩამოყალიბებას ნიშნავს. ამ მრავალრიცხოვანი ისლამური და სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით, მუსლიმური თემი სწავლობს ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხელოვნებას.

– შეიქმნა მრავალი კულტურული ცენტრი და საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელთაც დროთა განმავლობაში აირჩიეს რომელიმე ისლამური ორგანიზაციის იდეოლოგია (ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ეს არის „მუსლიმი ძმები“ და სალაფია) და შეუდგნენ მეჩეთებისა და ისლამური ცენტრების უმრავლესობის კონტროლს. ევროპაში მეჩეთებისა და ცენტრების გზით, შეიქმნა საერთო ქსელი ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად.

– მედიასაშუალებებით მიმდინარეობს იმის მცდელობა, რომ ისლამური ორგანიზაციები იმგვარად წარმოჩნდეს, თითქოს მათ სჯერათ დემოკრატიის და პატივს სცემენ ადამიანთა უფლებებს, ამიტომ ისინი წარმოადგენენ საუკეთესო ალტერნატივას არაბული და ისლამური ქვეყნების მმართველობისთვის. ორგანიზაციათა ევროპული ენების, დასავლეთზე ორიენტირებულ ვებგვერდებზე აქცენტი დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე კეთდება, განსხვავებით არაბულენოვანი ვებგვერდებისა, სადაც წამქეზებლური და ძალადობრივი რიტორიკა ჭარბობს.

– აქტიური მუშაობა მიმდინარეობს დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-თან, სადაც პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დროს ზოგიერთმა ისლამურმა ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწია საკუთარი თავის „ზომიერი ისლამის“ წარმომადგენლად წარმოჩენაში (დიდწილად ამის დამსახურებით მოახერხა ორგანიზაცია „მუსლიმმა ძმებმა“ 2012 წელს ეგვიპტეში ხელისუფლების ხელში ჩაგდება.).

აშშ-ს მაგალითი: ცნობილია ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი ლიდერის, მუჰამად აქრამის მიერ 1991 წელს მომზადებული „განმარტებითი მემორანდუმი: ორგანიზაციის ზოგადი სტრატეგიული მიზანი ჩრდილოეთ ამერიკაში“. დოკუმენტი ითვალისწინებს ისლამის შესაძლებლობების გაფართოებას ჩრდილოეთ ამერიკაში და ისლამს ცივილიზებურ ალტერნატივად წარმოაჩენს. აქ საუბარია ძირითად მიზანზე - ისლამური სამართლის დანერგვა აშშ-ში, რაც ერთ-ერთი ეტაპია გლობალური სახალიფოს შექმნის გზაზე. ზოგადად, გეგმა ასეთია:

- ძიება და იდენტიფიკაცია;
- განვითარება და ორგანიზება;

- მეჩეთებისა და ისლამური ცენტრების შექმნა;
- ისლამური ინსტიტუტების შექმნა;
- ისლამური სკოლების შექმნა; გაცხადებული ისლამური მოძრაობის წარმართვა; ახალი ისლამური ორგანიზაციების გახსნა;
- მემორანდუმში ჩამოთვლილია ჩრდილოეთ ამერიკაში დაფუძნებული 29 ისლამური ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს „მუსლიმ ძმებთან“.

გასულმა ათწლეულებმა ცხადყო, რომ რადიკალური ორგანიზაციები მკაფიო და მიზანმიმართულ სტრატეგიას - „რბილი ძალის“ გამოყენებას მიმართავენ დასავლურ საზოგადოებებში შესაღწევად. საქველმოქმედო, ჰუმანიტარული, კულტურული და მედია საშუალებებით ცდილობენ დაარწმუნონ მუსლიმი თემები, შეუერთდნენ და მიიღონ მათი იდეოლოგია (ბევრმა ევროპულმა ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ ეს ჯგუფები, თავიანთი იდეოლოგიითა და გაუმჭვირვალე საქმიანობით, დიდ საფრთხეს უქმნიან უსაფრთხოებას, სტაბილურობას და ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლებს. ამიტომ, დაიწყეს შეზღუდვების დაწესება, რაც, იმავდროულად, დაიცავს ევროპულ ღირებულებებს და თანაცხოვრების პრინციპებს.). ამასთან, ეს ორგანიზაციები დაუფარავად აცხადებენ, რომ მათი კონსტიტუცია არის ყურანი, რომელიც არეგულირებს მუსლიმთა ყოფა-ცხოვრების, ქცევის, სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობების, განათლების, ქველმოქმედების, ომის, მშვიდობის, ზავის და, ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველ საკითხებს. საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ოფიციალური, დასავლური ტიპის კონსტიტუციის იგნორირება და ყურანის კონსტიტუციად აღიარება, რა თქმა უნდა, შარიათის კანონმდებლობის გათვალისწინებით, ქვეყნების ერთიანობისათვის ადვილად პროგნოზირებადი შედეგების მომტანია. აღსანიშნავია, რომ მრავალრიცხოვან მუსლიმთა მიერ ყურანის აღიარება კონსტიტუციად იმ პირობებში ხდება, როდესაც თვით ყურანის ტექსტი გამოირჩევა ერთგვარი თავისებურებით, გაუქმებული და გამაუქმებელი აიებით, დღემდე დაუდგენელი აბრევიატურებით და ა.შ. ამასთან, ჩვეულებრივი კონსტიტუციისგან განსხვავებით, ყურანის ნებისმიერი სახით რედაქტირება, ისლამის მიხედვით, დაუშვებე-

ლია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ყურანის ტექსტი მუსლიმთა უდიდესი უმრავლესობისთვის სრულიად უცნობია არაბული ენის არცოდნის გამო (ყურანის თარგმნა სხვა ენებზე რელიგიური საჭიროებისათვის დაუშვებელია. ეს აუცილებელი პირობა მრავალ გაუგებრობას და მიზანმიმართულ ქმედებას იწვევს მუსლიმურ თემში, ისლამის თავკაცების ნებსითი თუ უნებლიე ქმედებების გამო.) სოცქსელის ერთ-ერთი ქართულენოვანი გვერდი ასე გამოიყურება: https://www.facebook.com/newbushra (იხილეთ: CD დისკი, ფაილი „ბუშრა“)

ზემოაღნიშნული მხოლოდ სუნიტური ორგანიზაციების დამოკიდებულებაა დასავლეთთან. რაც შეეხება შიიტებს, მათი საქმიანობა და მიზნები დასავლეთში საქართველოში ირანის ნაბიჯების ანალოგიურია და ამ მხრივაც საინტერესოა. ირანის ისლამური რესპუბლიკა ყოველმხრივ ცდილობს, რომ კონკურენცია გაუწიოს სუნიზმისა და სუნიტური ქვეყნების ინტერესებს დასავლეთის ქვეყნებში, რაც გამოიხატება როგორც შიიტური ორგანიზაციების მხარდაჭერაში, ასევე სუნიტურ თემებთან მუშაობაში კონფესიური ცვლილების მიზნით. ირანის ხელისუფლება ფართო ქველმოქმედებას ეწევა განათლებისა და კულტურის სფეროში და ცდილობს ამ გზით მოიპოვოს პოლიტიკური გავლენები სამეზობლოში, ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთის სამყაროში (მაგ., პირველი შიიტები შვედეთში მეოცე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ. ეს იყო 200 ათასი მიგრანტი შეძლებული ოჯახებიდან. მათ მალევე შეუერთდნენ შიიტური ჯგუფები ავღანეთიდან, პაკისტანიდან, ინდოეთიდან, ლიბანიდან, და ამას მოჰყვა რელიგიური გაერთიანებების შექმნა.). შიიტური მეჩეთების, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციონირება ხშირად დაკავშირებულია „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსთან და, ხშირ შემთხვევებში, ლიბანურ „ჰიზბუ ლ-ლაჰ“-თან. ე.წ. რბილი ძალის გამოყენება მნიშვნელოვანი და უხვად დაფინანსებული მეთოდია ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი ნაციონალური მიზნების განსახორციელებლად, რაც ჩამოყალიბებულია „ირანის ოცწლიან სტრატეგიაში“ (2005-2025), რომელიც კონსტიტუციის შემდეგ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. რბი-

ლი ძალის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ირანულ-სპარსული კულტურის პროპაგანდა, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომელიც მომავალ „დიდ ირანად“ მოიაზრება (ჩვენი ქვეყანა, რა თქმა უნდა, მის ფარგლებში იგულისხმება). „ირანის ოცწლიანი სტრატეგიის“ საფუძველზე, ირანის ფარგლებს გარეთ, იქმნება ორგანიზაციები და მუშაობის შედეგად:

- სპარსული ენის შესწავლის ცენტრები;
- ირანული კულტურის ცენტრები;
- ირანული სკოლები;
- ცივილიზაციათა შორის დიალოგის ისლამური ცენტრები.

კიდევ ერთი ინსტრუმენტია ირანული შიიზმი და ე.წ. უმაღლესი მმართველის პრინციპი, რადგან უმაღლესი მმართველი ირანში ერთდროულად მეთაურობს რელიგიურ და პოლიტიკურ ხელისუფლებას. ამიტომ, განსაკუთრებით საყურადღებო და გასათვალისწინებელია ნებისმიერი სახის მიზიდულობა ირანული შიიზმისაკენ, რაც თავისთავად პოლიტიკურ მიზიდულობასაც გულისხმობს (ირანი ცდილობს შიიტური უმცირესობების გაერთიანებას და შიიზმის გავლენების ზრდას, რისთვისაც იყენებს ლოზუნგებს: ისლამური ერთიანობა, ისლამური სოლიდარობა, შემწყნარებლობა და დიალოგი. ამ მიზნით, სუნიტების მონაწილეობითაც კი, რეგულარულად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში - ირანი.). შიიზმის რელიგიურ - პოლიტიკური ინსტრუმენტებია:

- საერთაშორისო საზოგადოება „აჰლუ ლ-ბაით“ - წარმოადგენს და პროპაგანდას უწევს ირანულ შიიზმს და „უმაღლესი მმართველის“ პრინციპს, ავრცელებს ინფორმაციას ირანის შესახებ და ბეჭდავს შიიტურ წიგნებს მრავალ ენაზე, ცდილობს შიიტების გააქტიურებას პოლიტიკური მიზნებისთვის;
- „მიღწევის ისლამური ორგანიზაცია“ - ავრცელებს შიიზმის კულტურას, სპარსულ ლიტერატურას, პროპაგანდას უწევს ისლამურ კულტურას და ირანის რევოლუციას, ამზადებს სასულიერო პირებს;
- „ისლამის მიმდინარეობების დაახლოების საზოგადოება“ - საქ-

მიანობს შიიტური საზოგადოების გარეთ - სუნიტურ გარემოში;

- „უმაღლესი ლიდერის წარმომადგენლობები საზღვარგარეთ“ - იცავს უმაღლესი ლიდერის ინტერესებს, მის ავტორიტეტს, აფინანსებს რელიგიური სასწავლებლების სტუდენტებს და აკონტროლებს ირანულ დაწესებულებებს საზღვარგარეთ;
- რელიგიური სემინარიები საზღვარგარეთ - ავრცელებს შიიზმის სწავლებასა და იურისპრუდენციას, იღებს არაშიიტ მსმენელებს და გაცნობითი ეტაპის შემდეგ აფინანსებს მათ სწავლას ქალაქ ყუმში;
- „იმამ ხომეინის ფონდი“ - ეკონომიკური საქმიანობის წახალისება;
- „ირანის რესპუბლიკის სამაუწყებლო სააგენტოს“ საერთაშორისო სამსახური - ახორციელებს საზღვარგარეთ არსებული საზოგადოებების ინფორმირებას, ირანის ისტორიის, ცივილიზაციის და კულტურის პოპულარიზაციას 30 ენაზე. პროპაგანდას უწევს რეჟიმის ფასეულობებს და ოფიციალურ პოზიციას შიდა და საგარეო საკითხების ირგვლივ.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ირანული საქველმოქმედო, რელიგიური და სასწავლო დაწესებულებების ქსელი, რომელიც გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში. მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

რას ნიშნავს ტერმინი - „პოლიტიკური ისლამი“

რამდენად სწორია ასეთი დახასიათება და არის თუ არა ის მისაღები მუსლიმებისთვის, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროს გაკონტროლებას ცდილობს ისლამი, რა მეთოდებს და დაწესებულებებს იყენებენ ისლამური ორგანიზაციები დასავლეთში ისლამური აზროვნების შესაღწევად და დასამკვიდრებლად. „პოლიტიკური ისლამისა“ და ზოგიერთი ტოტალიტარული იდეოლოგიის საერთო მახასიათებლები, „პოლიტიკური ისლამის“ ძირითადი მიზნები, ორგანიზაციათა ზოგადი კლასიფიკაცია

ისლამი მხოლოდ რელიგია როდია. ის კარგად გათვლილი პოლიტიკური სისტემის, რელიგიური შემადგენლის და კანონმდებლობის - შარიათის ერთობლიობაა. მექაში მუჰამადი რელიგიას ქადაგებდა და 13 წლის განმავლობაში 150-მდე არაბის ნდობა მოიპოვა, ხოლო მადინაში გაქცევის შემდეგ, როდესაც ის პოლიტიკოსად და მხედართმთავრად იქცა, ორი წლის მერე ამ ქალაქში აღარ დარჩა არცერთი ებრაელი. სიცოცხლის უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში მუჰამადი მონაწილეობდა არაერთ ბრძოლაში და მისი სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა - ხალიფებმა ბრძოლის არეალი იმდენად გააფართოვეს, რომ კავკასიას, ცენტრალურ აზიას, ხოლო დასავლეთში - ესპანეთის გავლით - საფრანგეთის საზღვრებს მიაღწიეს. ამ საქმიანობას წარმართავდნენ და გეგმავდნენ სახალიფოს პოლიტიკური ლიდერები - ხალიფები, რომლებიც ითავსებდნენ რელიგიურ ლიდერობასაც.

სახალიფოს ტერიტორიის გაფართოება ჯიჰადის დროშით ხდებოდა. ჯიჰადი პოლიტიკური საქმიანობაა რელიგიური მოტივაციით (ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მუსლიმთა ლიდერი გამოაცხადებს, ჯიჰადში მონაწილეობა არა მხოლოდ სხვადასხვა თემის, არამედ ყოველი მუსლიმის ვალდებულებაა. 100-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობა ავღანეთში, სირიასა და ერაყში მიმდინარე ჯიჰადში, ამის შედეგია). ისლამის პოლიტიკუ-

რი ასპექტი და ყურანის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმებს და იმ მოთხოვნებს კი არ ეძღვნება, თუ როგორი უნდა იყოს მუსლიმი, ანუ მის რელიგიურ შემადგენელს, არამედ - მიმართულია არამუსლიმებზე. მუსლიმები თვლიან, რომ ისლამი ყოვლისმომცველია და არეგულირებს ცხოვრების ყველა ასპექტს: სახელმწიფოს, ერს, ხელისუფლებას, სამართლიანობას, მოწყალებას, კულტურას, კანონებს, მეცნიერებას, სასამართლო ხელისუფლებას, ქონებას, შემოსავალს, ჯიჰადს, ჯარს და ა.შ. ისლამი გამორიცხავს რომელიმე შემადგენლის არაღიარებას. რომელიმეს უარყოფა იწვევს ისლამის გარეთ ყოფნას, ისლამიდან გასვლას. ამიტომ, დაუშვებლად მიიჩნევა ისლამის დაყოფა და დახარისხება ტრადიციულ, ნამდვილ, სულიერ, აღმოსავლურ, დასავლურ, სოციალურ, რადიკალურ, ზომიერ და ა.შ. მიმდინარეობად. ეს არის ერთი მთლიანი პოლიტიკური, მორალური, სოციალური, საოჯახო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სასამართლო, სარეკომენდაციო (ფათვების) სისტემა. მორწმუნე მუსლიმთა უდიდესი ნაწილისთვის ასევე მიუღებელია ტერმინი „პოლიტიკური ისლამი“, რადგან ამ დახასიათებას, ისევ და ისევ, დასავლეთს, დასავლელ პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს მიაწერენ. ტერმინის წარმოშობას მუსლიმები უკავშირებენ 90-იან წლებს და, განსაკუთრებით 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ტერაქტს, რომლის დამგეგმავებსა და შემსრულებლებს პოლიტიკური ისლამის მიმდევრები უწოდეს დასავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ მათ, მანამდე, ფუნდამენტალისტებად მოიხსენიებდნენ.

მუსლიმებისთვის მიუღებელია დასავლელი პოლიტიკოსების მოწოდებები - „პოლიტიკური ისლამი“ გათავისუფლდეს პოლიტიკისგან და მუსლიმებმა მხოლოდ ილოცონ, რადგან ეს შეუძლებელია იმ მიზეზთა გამო, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. მუსლიმებისთვის პოლიტიკაზე, ხელისუფლებაზე უარის თქმა ისლამის უარყოფის ტოლფასია. უფრო მეტიც, ისლამური ორგანიზაციები ცდილობენ დასავლეთში დაამკვიდრონ ისეთი ცნებები, რაც ისლამური სამყაროსთვის ბუნებრივია, მაგალითად, „რელიგიური სახელმწიფო“, „სახალიფო“, „შარიათის მმართველობა“, „მეცნიერებისა და ცოდნის ისლამიზაცია“, „ეკონომიკის ისლამიზაცია“ და ა.შ. ამ

მიმართულებით, პირველი რიგის ამოცანად დასახულია მუსლიმური თემის რიგით წევრებთან მუშაობა ყველა სახის ისლამური დაწესებულების გამოყენებით: მეჩეთები, ისლამური კულტურული ცენტრები, ისლამური სასწავლო დაწესებულებები, ყურანის შემსწავლელი სკოლები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ა.შ. და ა.შ. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მუსლიმთა მეტყველებამაც კი განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია და ტრადიციული „დილა მშვიდობისა“, „საღამო მშვიდობისა“, „რა კარგია“ და მრავალი სხვა გამოთქმის მაგივრად, უმეტესად იყენებენ ისლამური მეტყველების ფორმებს. ეს მიზანმიმართული მუშაობის შედეგია და ჩვენს ქვეყანაშიც ხორციელდება, რაც ყურადღებას მოითხოვს. გარდა იმისა, რომ ამ ტენდენციის წახალისება მიმდინარეობს მეჩეთებსა და მედრესეებში, ისლამიზაციისთვის ინიციატორები იყენებენ სოციალურ ქსელებს. ფეისბუქის ქართულენოვან გვერდს - „მე მიყვარს ისლამი“, აქვს საკუთარი ვებგვერდიც[*8], სადაც ვკითხულობთ: „ნუ იტყვით „კარგი“, თქვით, „ინ შაალ-ლაჰ“ - „ალაჰის ნებით“. ნუ იტყვით „ვაა!“, თქვით, „სუბჰაანალ-ლაჰ“ - „დიდება ალაჰს“. ნუ იტყვით შესანიშნავია/კარგია, თქვით, „მაშაალაჰ“ - „ალაჰი რასაც ისურვებს“. ნუ იტყვით მხოლოდ „კარგად ვარ“, თქვით, „ალჰამდუ ლილ-ლაჰ კარგად ვარ“ – „ქება-დიდება ალაჰს. კარგად ვარ“. ნუ იტყვით „შეხვედრამდე“, თქვით, „ფი ამაანილ-ლაჰ“ - „ალაჰს ებარებოდე“. და ბოლოს, „ნუ იტყვით გამარჯობა, თქვით, „ას-სალამუ, ალაიქუმ ვა რაჰმათულ-ლაჰი ვა ბარაქათუჰ“ – „მშვიდობა, ალაჰის წყალობა და ბარაქა თქვენ“. ისლამის გააქტიურება მეოცე საუკუნეში რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება:

- სახალიფოს გაუქმება თურქეთში 1924 წელს მუსლიმებმა დიდ საფრთხედ აღიქვეს;
- თანამედროვე პოლიტიკური მიმდინარეობების და, განსაკუთრებით, მარქსიზმის გავრცელება, რომელიც ათეიზმს უკავშირდებოდა;
- რელიგიის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო კონფლიქ-

[*8] https://ok.ru/group53046554263677/topic/66511493297533 / იხილეთ: CD დისკი, ფაილი _ეი, თქვენ! რომლებმაც ირწმუნეთ ახსენეთ ალლაჰი ბევრჯერ

ტებში, როდესაც არაერთი სახელმწიფო ებრძოდა არაბულ ნაციონალისტურ მოძრაობებს, სოციალისტური სისტემის გავლენებს ისლამურ სამყაროში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ (აშშ-მ დიდი როლი შეასრულა საუდის არაბეთისა და ეგვიპტის მიერ ორგანიზებულ არაბ მებრძოლთა გადინებაში ავღანეთის ჯიჰადში მონაწილეობისათვის, რასაც მოჰყვა ახალი ჯიჰადისტური ორგანიზაციების შექმნა. მაგ., „ალ-კაიდა“ - ბაზა, საფუძველი, ანუ ქართულად - ყაიდა. ამ ორგანიზაციის სრული სახელია „კაიდათუ ლ-ჯიჰად“, ანუ ჯიჰადის საფუძველი.).

ამგვარი ორგანიზაციების ხელშეწყობა და მათთან ღია თუ ფარული თანამშრომლობა რომ თვით ხელშემწყობი ქვეყნებისთვის წარმოადგენს საფრთხეს, საუდის არაბეთის, ეგვიპტისა და, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, აშშ-ის მაგალითმა ცხადყო. („ალ-კაიდას“ მიერ აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტთა შორის 2001 წლის 11 სექტემბრის იერიში ერთადერთი როდია.). ტერაქტების საპასუხოდ ავღანეთსა და ერაყში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებს 2000-იანების დასაწყისში ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა ჯიჰადისტების მხრიდან - „ალ-კაიდას“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი ორგანიზაციები, ხოლო 2014 წლის ივნისში რეგიონულ „ისლამურ სახელმწიფოს ერაყსა და შამში“ (შამი არ გულისხმობს მხოლოდ სირიას. ისტორიული შამი მოიცავს ასევე, ერაყის ნაწილს, ლიბანის, იორდანიის ტერიტორიებს და სინაის ნ-კ-ის ნაწილს) უკვე სახალიფო - ისლამური სახელმწიფო ეწოდა. აირჩიეს ხალიფა, ჩამოყალიბდა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულები (სახალიფოს პროვინციები იმ ტერიტორიებს მოიცავს, რასაც ოდესღაც არაბები აკონტროლებდნენ და „კავკასიის ვილაიათი“ - პროვინცია, მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიას არ გულისხმობს...). მიუხედავად არაერთი ქვეყნის განცხადებისა ისლამური სახელმწიფოს განადგურების შესახებ, ის აგრძელებს არსებობას, რასაც სირიის ზოგიერთ პროვინციაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციებიც ადასტურებს (ისლამური სამყაროს ნაწილისთვის, რომელიც უმცირესობას არ წარმოადგენს, სახალიფოს იდეა მუდმივი ღირებულებაა, რაც ისლამის განუყოფელ ნაწილად აღიქმება. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ახლო აღმოსავ-

ლეთისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ნაკლებად სავარაუდო ერთობლივი მოქმედების შემთხვევაშიც კი, სახალიფოს აქტივობები სირიიდან და ერაყიდან ავღანეთისა და აფრიკის ქვეყნების მიმართულებით გადაინაცვლებს - ეს დროის საკითხია.).

საყურადღებოა, რომ ისლამის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში აუცილებლად იწვევს ნებისმიერი განსხვავებული იდეოლოგიის, იდეის და მოსაზრების არა მხოლოდ მიუღებლობას, არამედ მათ ავტორებთან და მიმდევრებთან უკიდურეს დაპირისპირებას.

ე.წ. თანამედროვე „პოლიტიკური ისლამის“ ფუძემდებელი ჰასან ალ-ბანა სტატიაში - „სენიორ მუსოლინი განმარტავს ისლამის პრინციპს“, რომელიც ბენიტო მუსოლინის მიუძღვნა, წერდა, რომ მისი ძალისმიერი მიდგომა საკუთარი შეხედულებების თავის მოხვევის მიზნით, ისლამური პრინციპია*[9]. გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზაციებს, დაჯგუფებებს და პარტიებს, რომლებიც მოიაზრებიან „პოლიტიკური ისლამის“ მიმდევრებად, ერთი საერთო მიზანი აქვთ - ისლამის გამყარება ცალკეულ ადამიანში, ოჯახში, საზოგადოებასა და მსოფლიოში. მათ აერთიანებთ ყურანი და სუნა და მიეკუთვნებიან იმ ოთხიდან ერთ-ერთ იურიდიულ სკოლას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნის მიღწევას ისლამური ორგანიზაციები სხვადასხვა გზით ცდილობენ და ამ კუთხით შესაძლებელია მათი პირობითი კლასიფიკაცია:

- ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პოლიტიკურ ქმედებებს ძალაუფლების მოპოვების გზაზე, შემდგომში პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბდნენ. ასეთებია: „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ თურქეთში, იმავე დასახელების პარტია მაროკოში, „თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია“ ეგვიპტეში და ა.შ.

---

*9 https://www.ikhwanwiki.com/index.php?title=%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%86%D9%8A%D9%88%D8%B1_%D9%85%D9%88%D8%B3%D9%88%D9%84%D9%8A%D9%86%D9%89_%D9%8A%D8%B4%D8%B1%D8%AD_%D9%85%D8%A8%D8%AF%D8%A3_%D9%85%D9%86_%D9%85%D8%A8%D8%A7%D8%AF%D9%89%D8%A1_%D8%A7%D9%84%D8%A7%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85 / იხილეთ: CD დისკი, ფაილი Senior Mussolini explains one of the principles of Islam - Ikhwan Wiki. The official historical encyclopedia of the Muslim Brotherhood

- ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები, რომლებიც ღია პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწევიან, არ ქმნიან პარტიულ ინსტიტუტებს და ორიენტირებულნი არიან მისიონერობაზე, რწმენის აღორძინებაზე, მუსლიმური თემის სიმტკიცეზე და სრულად ახორციელებენ ისლამის მორალურ სისტემას (სალაფიური მოძრაობა).
- ე.წ. ჯიჰადისტური მოძრაობა, რომელიც ისლამის არეალის გაფართოებას ცდილობს ძალადობის გზით, ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს „ურწმუნოებს“ და იცავს მუსლიმურ თემს. ეს არის სალაფიას ე.წ. ჯიჰადისტური ფრთა, „მუსლიმი ძმების“ ე.წ. ექსტრემისტული ფრთა, ანუ „კუტბისტები“ (ამ ორგანიზაციის იდეოლოგია საიდ კუტბი 1906-1966) ორგანიზაციები - „ალ-კაიდა“, „ისლამური ჯიჰადი“ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ წევრების ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა დამკვიდრებული პრაქტიკაა - თანამედროვე ჯიჰადისტების უმრავლესობას „მუსლიმი ძმების“ თეორიული ან პრაქტიკული სკოლა აქვს გავლილი.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეეხებოდა სუნიტურ ისლამს. რა დამოკიდებულება აქვს პოლიტიკასთან შიიტურ ისლამს?

შიიტური „პოლიტიკური ისლამი“

რა საერთო აქვს აითოლა ჰომეინის იდეოლოგიას სუნიტურ „მუსლიმ ძმებთან“, ირანული ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში, ირანის ხელისუფლების კავშირები „ალ-კაიდასთან“, „მუსლიმ ძმებთან“, ისლამურ სახელმწიფოსთან, „ტალიბანთან“

რა დამოკიდებულება აქვს პოლიტიკასთან შიიტურ ისლამს? საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ირანის გეოგრაფიული სიახლოვისა და საქართველოში მცხოვრები მრავალრიცხოვანი შიიტების ფაქტორის გათვალისწინებით. ირანის ისლამური რესპუბლიკა გამორჩეულია რეგიონში და, ზოგადად, ისლამურ სამყაროში, რადგან იქ მოდერნიზებული, მაგრამ ისლამური სახელმწიფო ფუნქციონირებს და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დასახელება ორ ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს მოიცავს (ისლამური რესპუბლიკა), საერო და რელიგიური ხელისუფლება გაერთიანებულია და ეკუთვნის უმაღლეს ლიდერს - კანონმდებელს. ქვეყანაში ირჩევენ პრეზიდენტს, პარლამენტს, მაგრამ 1979 წლიდან, ანუ ისლამური რევოლუციის შემდეგ, ქვეყანა იმ ისლამური პრინციპით იმართება, რაც აიათოლა ჰომეინიმ დაამკვიდრა. ირანული შიიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ისლამური რევოლუციის ექსპორტს უკავშირდება, რაც ათწლეულების განმავლობაში ხორციელდება ახლო აღმოსავლეთში შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნის, მხარდაჭერისა და სწავლების გზით. ირანისა და რუსეთის რევოლუციების სხვა მრავალ მსგავსებათა შორის (სასტიკი რეპრესიები ქვეყნის შიგნით და გარეთ, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნა და მკვლელობები საზღვარგარეთ. ირანი იმავეს ახორციელებდა. აღსანიშნავია ყოფილი პრემიერის, შაბურ ბახტიარის მკვლელობა პარიზში 1991 წელს) რევოლუციის ექსპორტის იდეა მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებულად წარმოაჩენს ბოლშევიკურ და შიიტურ იდეოლოგიათა საერთო მახასიათებლებს ტოტალიტარიზმისა და ყოვლისმომცვე-

ლობის თვალსაზრისით.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რაც ირანის სახელმწიფო ერთიანობას უკავშირდება (ირანის აზერბაიჯანი, ქურთები, ადგილობრივი სუნიტები და ა.შ.), ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგარეო პოლიტიკას. გარდა იმ ძალისმიერი, საომარი მეთოდებისა, რასაც ის ახლო აღმოსავლეთში იყენებს, (ლიბანი, ერაყი, სირია, იემენი), ქვეყნის სხვადასხვა უწყების არსენალშია ე.წ. რბილი ძალის მრავალი ინსტრუმენტი. განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისგან, რომელთაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებთ საგარეო ასპარეზზე, ირანს, როგორც ისლამურ სახელმწიფოს, დამატებითი, რელიგიური ინტერესებიც აქვს. ამ მხრივ შიიტური ირანისა და სუნიტური ისლამური სახელმწიფოს მიზნები იდენტურია - ისლამის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. მუსლიმთა ერთიანობა ისლამის მოთხოვნაა, რათა ადვილად დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგეს. ირანის კონსტიტუციის მე-11 სტატიაში ნათქვამია: „ყველა მუსლიმი ერთი ერია. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია თავისი ზოგადი პოლიტიკა დააფუძნოს მუსლიმი ხალხების კავშირზე: მას ევალება მაქსიმალურად განახორციელოს ისლამური სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთობა“. იმავე კონსტიტუციის მე-3 სტატიის მე-16 მუხლი მთავრობას ავალებს: „საგარეო პოლიტიკის შემუშავება ისლამური კრიტერიუმების საფუძველზე“. საგარეო არენაზე რბილი ძალის გამოყენებას ირანი სამი მიმართულებით ცდილობს:

- დიპლომატიური;
- კულტურული;
- ეკონომიკური.

კულტურის მიმართულებით ირანის აქტივობები უკავშირდება განათლებას, კულტურულ ცენტრების დაარსებას, ლიტერატურას და კინოს. ყველგან, სადაც ირანი აპირებს საკუთარი გავლენების გავრცელებას, ის ცდილობს გახსნას სკოლები, კულტურული ცენტრები, ბიბლიოთეკები, მოაწყოს საერთაშორისო კულტურული ფესტივალები, გასცეს სასწავლო გრანტები, სტიპენდიები, დაარიგოს სასწავლო ლიტერატურა, ორგანიზება გაუკეთოს სპარსული

ენის შემსწავლელ კურსებს[*10].

ირანის არაძალადობრივ აქტივობებს ჩვენს ქვეყანაშიც მიმართავს. მათ შორის აღსანიშნავია:

- საცხოვრებლისა და სამუშაოს მოძებნა ირანელი ემიგრანტებისთვის და კეთილი ურთიერთობების დამყარება ქალაქების ადმინისტრაციათა თანამშრომლებთან;
- ყველა მეთოდის გამოყენებით უსაფრთხოებისა და სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევა და ადგილობრივი მოქალაქეობის სტატუსის მოპოვება;
- მაქსიმალური მცდელობა ადგილობრივ სუნიტებსა და ხელისუფლებას შორის უთანხმოების ჩამოსაგდებად და მათი სახელით არეულობებისა და ექსცესების მოწყობა, რაც მიზნად ისახავს ხელისუფლების საპასუხო ზომებს სუნიტური თემის წინააღმდეგ;
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული კაპიტალის გადინება ირანში და ადგილობრივი ეკონომიკის მაქსიმალურად დაზარალების მცდელობა;
- საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების შეძენა, რითაც ადგილობრივ სუნიტურ თემს უკმაყოფილების გამოხატვის საბაბი მიეცემა შიიტების გავლენის ზრდის გამო.

ასევე აღსანიშნავია ირანის მცდელობები - საქართველოში დაფუძნდეს ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის ფილიალი. ალ-მუსტაფას საერთაშორისო უნივერსიტეტი ირანის მმართველი სისტემის დიპლომატიური აპარატის ნაწილია, რომელსაც ევალება უცხოელი სტუდენტების მიწვევა სასწავლებლად. მისი ბიუჯეტი 7-ჯერ აღემატება ირანის ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულების - თეირანის უნივერსიტეტის ბიუჯეტს. 2008 წლის გადაწყვეტილებით, მისი შემადგენელია „ისლამურ მეცნიერებათა საერთაშორისო ცენტრი“ და „საზღვარგარეთის რელიგიური სკოლების ორგანიზაცია“. ცენტრი მდებარეობს ქალაქ ყუმში. უნივერსიტეტი

[*10] შიიტური საერთაშორისო ორგანიზაცია „ალ ალ-ბაითის“ მიერ ირანის ქ. ყუმში 2013 წელს გამოიცა 600-გვერდიანი წიგნი „Исламская община кавказа по документам грузинских архивов 1800 – 1917гг“.“ წიგნს საქართველოში ავრცელებს „ალ ალ-ბაითის“ თბილისის ცენტრი.

მოიცავს 170 სასწავლო და კვლევით ქვედანაყოფს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ: თეირანში, მეშჰედში, ისფაჰანში, კეშმში. ასევე, სამხრეთ აფრიკაში, ალბანეთში, გერმანიაში, ავღანეთში, ინდონეზიაში, დიდ ბრიტანეთში, უგანდაში, ბრაზილიაში, ბულგარეთში, ბანგლადეშში, ბურკინა-ფასოში, ტაილანდში, ბოსნიაში, ტანზანიაში, პაკისტანში, თურქეთში, სირიაში, სიერა-ლეონეში, ერაყში, განაში, ფილიპინებში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, კამერუნში, კოსოვოში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გამბიაში, გაიანაში, გვინეაში, ლიბანში, მადაგასკარზე, მალავიში, მალაიზიაში, მალიში, ნორვეგიაში, ნიგერში, ნიგერიაში, ინდოეთში და ა.შ. მის შემადგენლობაშია ასევე, ვირტუალური „ალ-მუსტაფას ღია უნივერსიტეტი“, სადაც დისტანციური სწავლება მიმდინარეობს 15 ენაზე (სპარსული, ურდუ, ინგლისური, არაბული, აზერბაიჯანული, თურქული, ფრანგული, გერმანული, რუსული, ესპანური, ჩინური, პორტუგალიური და ა.შ.), 40 ათასმა უცხოელმა დაამთავრა ეს უნივერსიტეტი და დაბრუნდა თავის ქვეყანაში (საინტერესოა, რომ დათვლილია მათი ოჯახის წევრების რაოდენობაც - 300 ათასი ადამიანი). სპარსულ ენას სწავლობს ყველა სტუდენტი. მრავალი კურსდამთავრებული გაერთიანდა შიიტ მოხალისეთა ბრიგადებში „ფატიმიუნ“ და „ზაინაბიუნ“ ერაყსა და სირიაში საბრძოლველად. მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა, უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტმა 68 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტი შეადგინა. 2015 წლიდან, ყოველწლიურად, ბიუჯეტი 1 მლნ. აშშ დოლარით იზრდება. უნივერსიტეტი ერთ- ერთია იმ ათი დაწესებულებიდან, რომელსაც უშუალოდ აიათოლა ჰომენეი მართავს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან. გარდა ოფიციალურისა, უნივერსიტეტს აქვს არაოფიციალური შემოსავლები, რომელთა ოდენობა საიდუმლო ინფორმაციაა. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანია ირანული სისტემის ერთგული ადამიანების მოძიება საზღვარგარეთ, მათი ირანში გაგზავნა, სწავლის დაფინანსება და სამშობლოში ისეთი პიროვნებებად დაბრუნება, რომლებიც ჰომეინის რევოლუციის ლოზუნგების ერთგულნი იქნებიან (იემენელი ჰუსიტების სამივე ლიდერს რელიგიური, პოლიტიკური და სხვა სახის სპეცმომზადება ირანში, ქალაქ ყუმში აქვთ გავლილი.). კურსდამ-

თავრებულთა ასოციაციის მრავალრიცხოვანი წევრები კოორდინირებული ქსელით თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ ყოველწლიური შეხვედრების დროს ირანში ახალ-ახალ ამოცანებს უსახავენ.

ახლო აღმოსავლეთში უნივერსიტეტი ითვლება ექსტრემიზმის ინდუსტრიად, რადგან მას ირანის ხელისუფლება იყენებს ადამიანების ჩასართავად სადაზვერვო საქმიანობაში. გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად სექტანტური განსხვავებისა, ირანის ხელისუფლება უპრობლემოდ თანამშრომლობს რადიკალური ისლამის დაჯგუფებებთან და პარტიებთან, და ეს არ ეხება მხოლოდ „მუსლიმ ძმებს“. „ისლამი მუჯაჰიდების რელიგიაა“ - ეს ჰომეინის სიტყვებია. ჰომეინის მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა „პოლიტიკური ისლამის“ სუნიტურ ფრთასთან - ორგანიზაცია „მუსლიმ ძმებთან“. მან და მისმა მემკვიდრემ, ირანის დღევანდელმა მმართველმა აიათოლა ჰომენეიმ თარგმნეს და გამოსცეს საიდ კუტბის რამდენიმე წიგნი, რადგან გლობალური ჯიჰადის და კუტბისეული ისლამური სახელმწიფოს იდეები მისაღები აღმოჩნდა შიიტებისთვისაც. საიდ კუტბის თეორიები შეტანილია ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ სკოლების დოქტრინიორული მომზადების სასწავლო პროგრამაში, ხოლო ტერმინი „უმაღლესი ლიდერი“ საიდ კუტბის წიგნებიდან არის „ნასესხები“ (ტრადიცია გრძელდება - ირანს ოფიციალური ვიზიტებით ხშირად სტუმრობენ „მუსლიმი ძმების“ პალესტინური ფრთის, „ჰამასის“ ლიდერები.). ირანისა და „მუსლიმი ძმების“ ურთიერთობები ისლამური პრინციპით აიხსნება: „თანამშრომლობა, შეთანხმებულ და ურთიერთპატიება, შეუთანხმებელ საკითხებში“. მათ შორის საერთო და შეთანხმებული არის იდეოლოგია - ისლამის, როგორც მმართველობის სისტემის დამყარება. აღსანიშნავია, რომ ერაყსა და სირიაში განვითარებულ მოვლენებამდე, სადაც ირანი ახორციელებდა საკუთარი იდეოლოგიური და ტერიტორიული გაფართოების სტრატეგიულ გეგმას, ის არ მიიჩნევდა ტერორისტულ ორგანიზაციებად „ალ-კაიდას“ და „მუსლიმი ძმების“ ბაზაზე შექმნილ დაჯგუფებებს. უფრო მეტიც, თანამშრომლობდა და ხელს უწყობდა მათ. ავღანეთიდან გაქცეულმა „ალ-კაიდას“ პირველი

რიგის ლიდერებმა ირანს შეაფარეს თავი. მათ შორის იყო უსამა ბინ ლადენის ვაჟი - საადი. მას შემდეგ, რაც ინტერესები გადაიკვეთა, განსაკუთრებით სირიაში, სუნიტი ჯიჰადისტები ირანისთვის ტერორისტებად იქცნენ და მათი დაპირისპირება დღემდე არ შეწყვეტილა (ირანი თანამშრომლობას აგრძელებს ავღანეთში „ალ-კაიდასთან“ და „ტალიბანთან“, რადგან იქ ისინი არ შეხებიან ირანის ინტერესებს ჯერ არ შეხებიან). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია ირანისა და ისლამური სახელმწიფოს თანამშრომლობის შესახებ, ცნობილია, რომ ყოფილი ხალიფა, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი იმ მუსლიმურ რეჟიმებს შორის, რომელიც განადგურებას ექვემდებარებოდა, არასოდეს მოიხსენიებდა ირანს. მას არ გადაუკვეთია ერაყ-ირანის საზღვარი, არ მიახლოებია შიიტთა წმინდა ქალაქებს - ნაჯაფსა და ქარბალას და არ უცდია ბაღდადზე იერიში, რასაც შიიტთა შორის დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა.

რომელ ორგანიზაციებს მიაკუთვნებენ „პოლიტიკურ ისლამს“

რა არის სალაფიას საფუძვლები და მახასიათებლები, რა საფრთხეს წარმოადგენს სალაფია, რა არის ვაჰაბიას ძირითადი პრინციპები, რა დამოკიდებულება აქვთ მათ შიიტებთან, სუფიებთან და ქრისტიანებთან, სალაფიას მიმდევართა საქმიანობა საქართველოში და მისი დაპირისპირება სუფიასთან

თანამედროვე ისლამის პოლიტიკაში ჩართულობის შესახებ მსჯელობისას, ძირითადად, მოიხსენიებენ სალაფიას და ორგანიზაცია „მუსლიმ ძმებს“. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: „ჰიზბუ ლ-ლაჰი“, „ალ-კაიდა“, „ჰამასი“, „ისლამური სახელმწიფო“, „ტალიბანი“, „ისლამური ჯიჰადი“, „ჰიზბუ თ-თაჰრირი“ და ა.შ., რა თქმა უნდა, პოლიტიკური ორგანიზაციებია და ისინი სამართლიანად ითვლებიან ტერორისტულად, მაგრამ მათი იდეოლოგიური საფუძვლების გამოვლენას და შეფასებას მკვლევართა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი თავს არიდებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციათა იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბებასა და მოქმედების ტაქტიკის შემუშავებაში სალაფიასა და „მუსლიმი ძმების“ დამსახურება განუზომელია, გარდა რამდენიმე არაბული ქვეყნისა (ეგვიპტე, გაერთიანებული არაბული საამიროები, საუდის არაბეთი), მათ ტერორიზმთან არ აიგივებენ. პირიქით, „მუსლიმი ძმები“ ბევრგან „ზომიერი ისლამის“ მიმდევრად მიიჩნევა. ქვემოთ ვისაუბრებთ სალაფიასა და „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიასა და გეგმებზე, რაც მიზნად ისახავს არამუსლიმურ ქვეყნებში პარალელური საზოგადოებების შექმნას.

სალაფია

სალაფიას დახასიათებისას ხშირად შეიძლება წავიკითხოთ და მოვისმინოთ, რომ ეს არის ახალი დაჯგუფება, ორგანიზაცია ან მიმდინარეობა, რომელიც უპირისპირდება ძველ, ტრადიციულ,

ნამდვილ, მშვიდობიან ისლამს. მიიჩნევა, რომ სალაფიას მიმდევრები (მათ სალაფიტებად მოიხსენიებენ) ატარებენ გრძელ წვერს და „უცნაურ“ ჩაცმულობას - შარვალს, რომელიც არ ფარავს ტერფს და კოჭს, არ აღიარებენ მუსიკას და სხვა სახელოვნებო დარგებს და ა.შ. სინამდვილეში, დახასიათების პირველი ნაწილი (სიახლე ისლამში, დაპირისპირება ნამდვილ, ტრადიციულ ისლამთან) სრულიად არასწორია და რეალობა ასეთია: „სალაფ“ წინამორბედს ნიშნავს და მისი მიმდევრები - სალაფიტები - გულისხმობენ მუჰამადის თანამგზავრებსა და მიმდევრებს, მემკვიდრეებსა და მემკვიდრეების მიმდევრებს, ანუ პირველი თაობების მუსლიმებს, ვინც ყველაზე კარგად იცოდა ისლამი. სალაფია ნიშნავს ამ თაობების პატივისცემას და მიბაძვას ყველაფერში, მათი გზით სიარულს. ეს არის აზროვნების და დასკვნების გამოტანის, თაყვანისცემისა და ეთიკის იმავე მეთოდოლოგიის გაგრძელება. სალაფიასთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ტექსტებს - ყურანსა და სუნნას. ეს ტექსტები სახელმძღვანელოა პირდაპირი მნიშვნელობით და ყოველივე ნაგულისხმების ან წაკითხვის რაიმე სახით ინტერპრეტაცია მიუღებელია. სალაფიასთვის ისლამი უნივერსალურია აღმსარებლობითი, მორალური, ყველა სახის საქმიანობის კუთხით. აქ მოიაზრება ადამიანი და საზოგადოება, მმართველი, სააქაო და საიქიო, უახლოესი და მომავალი ინტერესები. ის მთლიანად უარყოფს მცირედით განსხვავებულ რწმენასაც კი და ასევე, ნებისმიერ გადახრას მუჰამადის უშუალო მიმდევრების რწმენისგან. სალაფია ებრძვის ნოვატორობას რწმენის გამოვლენისა და მოქმედებისას. ის, ვინც იზიარებს ყოველივე ამას და სხვასაც მოუწოდებს, რომ გაიზიაროს, ან ცდილობს ამის მიღწევას, ითვლება სალაფიას მიმდევრად, რომელ ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს ის. ამიტომ, სალაფია არ წარმოადგენს რაიმე დაჯგუფებას ან ორგანიზაციას. ეს არის ისლამის გაგების მეთოდი. სალაფიას მიმდევრები განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამენ რაიმე სახის კრიტიკას და შენიშვნებს, უფრო მეტად კი - არამუსლიმების მხრიდან, რადგან მიიჩნევენ, რომ კრიტიკა ან შენიშვნა მიმართულია, ზოგადად, ისლამისა და მისი საფუძვლებისკენ. სალაფიას მიმდევრებისთვის უცხოა რაიმე ფორმით თხოვნა და მიმართვა მოციქულისადმი (მუჰამადი), რადგან ის აღარ

არის ცოცხალი და მას არაფერი ძალუძს. მიუღებელია, ასევე, საფლავების მონახულება პატივისცემის ნიშნად და მუჰამადის დაბადების დღის აღნიშვნა. ეს ყოველივე სიახლედ მიიჩნევა. სალაფიას გამორჩეული ავტორიტეტები არიან: იბნ თაიმია (1263-1328), იბნ ალ-კაიმი (1292-1350), მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი (1703-1792). თანამედროვე სალაფიას დამსახურებაა ადრეულ ისლამში გავრცელებული ე.წ. თაქფირის (ადამიანის ან ჯგუფის ურწმუნოდ შერაცხვა) აღორძინება, რამაც თვით მუსლიმთა შორისაც კი დიდი სისხლისღვრა გამოიწვია. სალაფიას მიმდევართა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჰანბალიდური მაზჰაბი (იურიდიული სკოლა) და მისი თავკაცი აჰმად იბნ ჰანბალი (780-855), რომელსაც აღიარების ნიშნად იმამ აჰმადს უწოდებენ. ის აღიარებულია, როგორც რელიგიური ტექსტების გამორჩეულად ექსტრემისტული წაკითხვის მოთავე და მასვე ეკუთვნის ყურანის განმარტების საფუძვლად ჰადისების აღიარების ინიციატივა. აგრესიისკენ მოწოდება, ყოველგვარი განსხვავებულის მიუღებლობა და ჯიჰადისტური იდეების მუდმივი ქადაგება მისი პრიორიტეტებია. მოგვიანებით აჰმად იბნ ჰანბალის საქმის აღიარებული გამგრძელებელი გახდა იბნ თაიმია (მას უწოდებენ „შეიხუ ლ-ისლამს“), შემდეგ კი მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი (მისი იდეების ერთობლიობას ვაჰაბია, ვაჰაბიზმი ეწოდა). ამ იდეოლოგიურმა ტენდენციამ ჩრდილში მოაქცია და უარყო მრავალი მეცნიერის ნაშრომი, დარგი და ხელოვნების არაერთი მიმართულებისთვის გაუსაძლისი პირობები შექმნა. ეს ვითარება დღესაც გრძელდება და ვრცელდება. სალაფიას ქადაგება და გავრცელება განსაკუთრებით სახიფათოა იმ კუთხითაც, რომ ის ადრეულ ასაკში ახდენს ზემოქმედებას მუსლიმზე, რომელიც არა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, არამედ სალაფიური ლიტერატურით და სალაფიას მიმდევარი იმამის რეკომენდაციების მიხედვით აფასებს საზოგადოებას და სახელმწიფოს. სალაფიას მიმდევართა განცხადებით, განსაკუთრებით იმ გარემოში, სადაც უმცირესობაში იმყოფებიან, ისინი არ არიან დაინტერესებულები პოლიტიკით, არ ერევიან პოლიტიკურ პროცესებში და მათი ერთადერთი საქმიანობაა ქადაგება. რეალობა სრულიად განსხვავებულია, რადგან მათ თავიანთი შეხედულებები აქვთ სახელმწიფოზე, სეკულარიზმ-

ზე, მოქალაქეობაზე, ერზე, პოლიტიკურ თავისუფლებასა და უფლებებზე, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება დემოკრატიის და პლურალიზმის პრინციპებს. მათი მიზანი - სახალიფო - თავისი საფუძვლებით, სრულიად განსხვავდება ნებისმიერი სხვა პოლიტიკური სისტემისგან (2014 წლის ივნისში გამოცხადებული ისლამური სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ლიდერი, ადგილობრივ და უცხოეთიდან მობილიზებულ მომხრეთა დიდი უმრავლესობა, სალაფიას მიმდევრები არიან და მათ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ და ამოძრავებთ.). მიუხედავად იმისა, რომ სალაფიაში რამდენიმე თეორიული სკოლა იგულისხმება, ყოველ მათგანს აერთიანებს უმთავრესი: სალაფიას ყველა მიმდევარი უარყოფს დემოკრატიულ პრაქტიკას, რაც ადამიანებს ანიჭებს უფლებას, რომ გამოსცენ კანონები, რითაც მოიწყობენ ცხოვრებას, ისინი უპირისპირდებიან გონებას, რასაც სალაფიური აზროვნება მტრად განიხილავს. ასევე, დაპირისპირებულია საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესთან, რაც შეუთავსებელია სალაფიას მიზანთან - დაბრუნება და აღორძინება იმ კონცეფციებისა და პრინციპებისა, რაც ისლამის საწყის პერიოდს ახასიათებდა. სალაფიას შიგნით არსებობს ისლამური ხელისუფლების დამყარების სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ მიზანი ყველასთვის ერთია - სახალიფო (მიუხედავად იმისა, რომ სალაფიურ ლიტერატურაში არ ახსენებენ ტერმინ „ორგანიზაციას“, არაბულ სამყაროში არსებობს სალაფიური პოლიტიკური პარტიები. აგრეთვე, სალაფიას მიმდევრები თვლიან, რომ დასაშვებია მოქმედების საერთო სივრცე „მუსლიმ ძმებთან“ თანამშრომლობისთვის.). სალაფიას ცნობილმა განმაახლებელმა, ზემოხსენებულმა მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბმა, კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა სალაფიაში და გარდა იმისა, რომ დიდი წვლილი მიუძღვის საუდის არაბეთის სახელით ცნობილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, ის ითვლება თანამედროვე ე.წ. სალაფიტების დიდ ავტორიტეტად. ამიტომ, სალაფიას მიმდევარ, განსაკუთრებულად რადიკალ მუსლიმებს ვაჰაბიას მიმდევრებსაც (ვაჰაბიტებს) უწოდებენ, რასაც თვითონ კატეგორიულად არ ეთანხმებიან. არცერთი მათგანი არ იტყვის, რომ ის ვაჰაბიას მიმდევარია - ის ყოველთვის ამბობს, რომ არის მუსლიმი (ზოგადად, თვით

ტერმინი ვაჰაბია და ვაჰაბიზმი მუსლიმებისთვის ძალზე ხელოვნურია, რადგან ვაჰაბის“ მნიშვნელობაა „ყოვლის მიმნიჭებელი“ და ის ალაჰის 99-დან ერთ-ერთი ეპითეტია.). მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბმა კიდევ უფრო „დახვეწა“ მსოფლიოს ორად დაყოფის ისლამური თეორია: პირველი - რწმენის და ისლამის ნახევარი და მეორე - ურწმუნოების, ანუ ომის. ჩვენი ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით, აღსანიშნავია ვაჰაბიას დამოკიდებულება ქრისტიანებთან, სუფიებთან და შიიტებთან. მათი შეიხები გამორიცხავენ ახლო ურთიერთობებს ქრისტიანებთან, რადგან სჯერათ, რომ ქრისტიანი ურწმუნოა და ე.ი. - მტერი, თუნდაც ის იმავე ეროვნებისა იყოს. ყურანის მოშველიებით ისინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობა ურწმუნოება და გზააბნეულობაა, ხოლო ისლამის მიმდევრობა - განურჩევლად ყველა ადამიანის მოვალეობა. სალაფია - ვაჰაბიას ცალკეულ შეიხთა ქადაგებები და ფათვები მუსლიმებს უკრძალავს ქრისტიანებისთვის მათი დღესასწაულების მილოცვასაც კი. ისინი სუფიებს აცხადებენ „თაქფირად“ (ურწმუნოდ აღიარება), რადგან მიიჩნევენ, რომ სუფია (სუფიზმი) იყო სიახლის შეტანა ისლამში, ე.ი. ერეტიკოსობა. ის უნარი, რის მიღწევას და განვითარებასაც სუფიები ცდილობენ, ანუ დაფარული და საიდუმლო ცოდნა, მხოლოდ ალაჰისთვისაა შესაძლებელი და ამიტომ სუფიები ურწმუნონი არიან. ასევე ვაჰაბიასთვის სრულიად მიუღებელია სუფიების წეს-ჩვეულებები და მისტიკური რიტუალები. ასევე, გარდაცვალებულთა და მათი საფლავების პატივისცემა. ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების და სუფიების დევნა, მათი საკულტო ნაგებობების განადგურება, სალაფია-ვაჰაბიას დამსახურებაა. ასევე, ურწმუნოებად მიიჩნევიან შიიტები, რადგან მათი ნაწილი შიიტების იმამებს ანგელოზებსა და წინასწარმეტყველებზე წინ აყენებს, აგრეთვე, ხალიფა ალის უპირატესობის აღნიშვნისთვის, წინა სამ ხალიფასთან მიმართებაში. ვინც თაყვანს სცემს ჰუსაინს (ხალიფა ალის მოკლული ვაჟი) და ფატიმას (მუჰამადის ქალიშვილი, ხალიფა ალის მეუღლე და ჰუსაინის დედა), ის მუსლიმი არ არის.

ვაჰაბია

ვაჰაბია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთღმერთიანობის პრინციპს და თვლის, რომ სავალდებულოა:

1. თაყვანისცემა ალაჰისა, რომელსაც მოზიარე არ ჰყავს, სრული მიუღებლობა და ურწმუნოდ გამოცხადება მათი, ვინც სხვაგვარად ფიქრობს;
2. პოლითეისტების მტრობა, რადგან მათი არსებობა ხელს უშლის მონოთეიზმის საბოლოოდ დამკვიდრებას.

ასევე:

– ისლამი სრულად ვერ დამყარდება ტირანული რეჟიმების მოსპობამდე;

– ვინც არღვევს და არ იცავს ალაჰის ხელისუფლებას - ის ტირანია;

– ტირანის კანონები გასაუქმებელია;

– უკანონოა გარდა ყურანისა და ჰადისებისა, რაიმე სხვა სისტემით და კანონებით მმართველობის განხორციელება და შემქმნელისა და შექმნილის გათანაბრება;

– დაუშვებელია ალაჰის კანონების შეცვლა ადამიანის მიერ შექმნილი კანონებით;

– ვინც მტრად არ მიიჩნევს პოლითეისტებს, ის მუსლიმი არ არის;

– პოლითეისტების დახმარება ან მათი თანამშრომლობა მუსლიმებთან ისლამისთვის შეუსაბამოა;

– ვინც პოლითეისტებთან ერთად, ნებით თუ ძალდატანებით, იბრძვის მუსლიმების წინააღმდეგ საკუთარი ძალის ან ქონების გამოყენებით, ის ურწმუნოა;

– ალაჰის მოწოდებაა პოლითეისტებთან ბრძოლა მონოთეიზმის დასამყარებლად;

– მორწმუნეს ეკრძალება ურწმუნოსთან ურთიერთობა ალ-ვალა ვა ლ-ბარა-ს პრინციპის დაცვის გარეშე;

– ურწმუნოების მიმართ სავალდებულოა ზიზღისა და მტრობის გამოჩენა;
– ქალაქი, დასახლება, სადაც ურწმუნოებს არ ავლენენ და ისლამის კანონები არ მოქმედებს, ურწმუნო ქალაქია;
– ქალაქი, რომელიც იმართება ადამიანის მიერ შექმნილი კანონებით, ისლამური არ არის და იქიდან ემიგრაცია სავალდებულოა;
– სავალდებულოა ემიგრაცია ყველა ქალაქიდან, სადაც იმართება პოლითეისტური რიტუალები, აშკარად ვლინდებიან ურწმუნოები და იქ მცხოვრებ მუსლიმს არ შეუძლია თავისი რწმენის დემონსტრირება და პოლითეისტების მისამართით მტრობის გამოხატვა;
– ისლამის აღიარება მისი ყველა კანონის შესრულების გარეშე არასაკმარისია. ბრძოლა სავალდებულოა, სანამ სრულად არ დამყარდება ალაჰის რელიგია. ამისათვის აღიმართება ჯიჰადის დროშა.

ვაჰაბიას მოთხოვნები 4 ძირითად პრინციპს ემყარება:

1. მიუღებლობა ყოველივესი, რაც უკავშირდება ალაჰის გარდა სხვა ღმერთის თაყვანისცემას;
2. მმართველობა, რაც მხოლოდ ალაჰის კანონებს ნიშნავს;
3. ალ-ვალა ვა ლ-ბარა - ერთგულება მორწმუნეთა მიმართ და მტრობა ურწმუნოთა;
4. ჯიჰადი ურწმუნოთაგან დასაცავად, ალაჰის სამართლის აღსასრულებლად და მისი სიტყვით დედამიწის დასაფარად (უნდა აღინიშნოს, რომ პოლითეისტი (მუშრიქი), ურწმუნო (ქაფირი), გზასაცდენილი და ქრისტიანი სალაფია - ვაჰაბიასთვის იდენტური ცნებებია - ეს ყურანის სწავლებაა).

ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა, დიდწილად, სალაფიას მიმდევართა დამსახურებაა, რასაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ (ერაყი, სირია) დროული და სათანადო ყურადღება არ მიაქცია. ის მეთოდები, რასაც სირიელი სალაფიტები მიმარ-

თავდნენ ომის გაჩაღებამდე, უნივერსალურია და ჩვენს ქვეყანაში უკვე დანერგილია. მაგალითად: სალაფიას მიმდევართა მიერ მეჩეთების ტრიბუნების ხელში ჩაგდება და ამ გზით გავლენების მოპოვება მუსლიმურ თემში, სხვადასხვა სახის მოწოდებების გავრცელება სოციალურ ქსელებში (მაგ., „ყურანი ჩვენი კონსტიტუციაა“, „ჩვენი გზა ჯიჰადია“ და ა.შ.), ისლამის სპეციალური პრინციპის - „ალ-ვალა ვა ლ-ბარა-ს“ შესახებ მუდმივი საუბარი, ასევე მუდმივი ხაზგასმა, რომ მუსლიმებს დასაბრუნებელი აქვთ სახალიფოს დაკარგული ტერიტორიები (მაგ., ანდალუსია - ესპანეთში და მრავალი სხვა), და ამ კუთხით ისინი არ ივიწყებენ არაბების ოთხსაუკუნოვან მმართველობას თბილისში. შესაბამისი პირობების არარსებობის გამო (უმრავლესობაში ყოფნა) სალაფიას მიმდევრები ზოგჯერ ცდილობენ დაფარონ საკუთარი მიზნები, მაგრამ არ ერიდებიან გარეგნული მაიდენტიფიცირებელი ნიშნების წარმოჩენას, რითაც ხშირად ხაზს უსვამენ სალაფიას მიმდევრობას და მათი ამოცნობა ადვილად შეიძლება. მაგალითად, რამადანის (მარხვის) დროს საკვების მიღება, რაც მუჯაჰიდებისთვის (ჯიჰადში მონაწილენი) დასაშვებად მიაჩნიათ, მუჰამადის დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულების აღნიშვნით ურწმუნოებად აღიარება, წვერის პარსვის აკრძალვა (ამასთან, დაუშვებელია ულვაშის ტარება), ასევე, თამბაქოს მოწევისა და გაყიდვის აკრძალვა, ქალებისათვის ჰიჯაბისა და გრძელი შავი ტანსაცმლის, მამაკაცებისათვის კი გრძელი თმების და ავღანური სტილის ტანსაცმლის ტარება.

შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, სალაფია ძალზე მკაცრად არის დაპირისპირებული სუფიურ მიმართულებასთან - ეს ზოგადი ტენდენციაა და არაბული ქვეყნების მსგავსად, სალაფიას მიმდევრები ნებისმიერი მეთოდებით ეცდებიან საქართველოშიც გაიძლიერონ პოზიციები ჯერ სუფიების, შემდეგ კი სხვა მიმართულებების დასუსტების ხარჯზე. მათი „წარმატებები“ ამ კუთხით აშკარაა. საქართველოში სალაფიასთან წინააღმდეგობის გზაზე სუფიური ისლამი გაქრობისთვისაა განწირული და ეს მხოლოდ დროის საკითხია. ხელისუფლების მხრიდან ღია და ფარული მხარდაჭერის გარეშე სალაფია უბრძოლველად დაიკავებს დომინანტურ პოზიციებს.

სუფია - თასავვუფი (სუფიზმი)

ზოგადი დახასიათება, სალაფიას მხრიდან დაპირისპირების მიზეზები - საქართველოს მაგალითი, ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულების მიზეზები; სუფია - პოლიტიკური ისლამის ალტერნატივა

სუფია ითვლება სულიერი მიდგომების და ეზოტერიკული მეთოდების ერთიანობად ისლამში, რაც ასევე მოიცავს სპეციალურ რიტუალებს, სიმღერებს, ცეკვებს მაღალი სულიერი დონისა და, საბოლოო ჯამში, ალაჰთან მისაღწევად. განსაკუთრებულად აღინიშნება მუჰამადის დაბადება.

სუფია არ არის დოქტრინა. ის არის მეთოდი ისლამის აღსაქმელად და ალაჰთან მისაღწევად. სუფიები უარყოფენ ყურანის ტექსტის პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი წაკითხვის მეთოდს, რაც სრულად ეწინააღმდეგება ე. წ. ფუნდამენტალისტურ ისლამს. სუფია ადვილად ეგუება სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივ პირობებს და კულტურას, მას არ ახასიათებს სტატიკურობა. მისი მოწინააღმდეგენი (ძირითადად სალაფია-ვაჰაბია) სუფიას რელიგიურ პრაქტიკად თვლიან, რომელიც არ მოიხსენიება ყურანსა და ჰადისებში და ამიტომ წარმოადგენს სიახლეს ისლამში, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. სუფიას თანახმად, ალაჰის შეცნობაში წარმატებული ადამიანი მოიპოვებს სხვადასხვა ღირსებასა და უნარს, რასაც წინასწარმეტყველები ფლობდნენ: ავადმყოფთა განკურნებას, უხილავის შეცნობას და ა.შ. ისლამი არ ცნობს ასკეტიზმს, განდეგილობას და ინტენსიურ თაყვანისცემას, რაც მხოლოდ სუფიას მიმდევრებისთვის - სუფიებისთვის არის დამახასიათებელი.

სუფია მშვიდი, დაფარული და აპოლიტიკური მიმდინარეობაა, თუმცა ზოგიერთმა მსხვილმა ორდენმა (ტარიკათი) მისი პოლიტიზება განიცადა. სუფია უმეტესად ხასიათდება მშვიდობიან, შემწყნარებლურ და კულტურულ ვერსიად ისლამში, რაც სიმართლეს შეესაბამება და ამის გამო ხშირად ისმის მოწოდებები მისი ხელშეწყობისა და გაძლიერებისკენ. მიუხედავად ამისა, ამგვარი

დამოკიდებულება სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან სუფიას ერთმნიშვნელოვნად მშვიდობიან და მშვიდ ფერებში აღქმა არ იქნება მართებული (სიტუაციის უკიდურესი დაძაბვისა და რწმენის აღსრულების სრული დაბრკოლების დროს სუფიებს არაერთხელ და ბევრგან აუღიათ ხელში იარაღი. ერთ-ერთი მაგალითია მე-19 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის დაპირისპირება რუსეთთან - იმამი შამილი ნაკშბანდიას სკოლას წარმოადგენდა. ასევე, ცნობილია დაღესტნელი სუფიების შეიარაღებული დაპირისპირება გასაბჭოების საწყის ეტაპზე. ცნობილია, რომ ერაყული ნაკშბანდიას 1000-დან 5000-მდე შეიარაღებული წევრი ქვეყანაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა.). მრავალრიცხოვანი სუფიური ორდენებიდან აღსანიშნავია: ბადავია, ბაქდაშია, კადირია, ქუბრავია, მავლავია, ნაკშბანდია, რიფაია, სუჰრავარდია, შაზილია, იასავია და ა.შ. კავკასიაში, ძირითადად, გავრცელებულია: კადირია, ნაკშბანდია და შაზილია. ყველა სკოლა ერთმანეთისგან განსხვავებულია გარკვეული რიტუალური და სხვა სახის თავისებურებებით, მაგრამ მათ საერთო პრინციპები აერთიანებს. რატომ ავიწროებენ და ესხმიან თავს სუფიებს ჯიჰადისტები, სალაფია-ვაჰაბიას მიმდევრები? ისინი სუფიებს წარმართებად და პოლითეისტებად თვლიან, რადგან სუფიები თაყვანს სცემენ წმინდანებს, საკუთარ ლიდერებს. ასევე, მათ რიტუალებს ერეტიკულ სიახლეს უწოდებენ. სალაფია-ვაჰაბიას სუფიასთვის თაქფირი აქვს გამოცხადებული, ანუ ისინი სუფიებს მუსლიმებად არ აღიარებენ. ისლამური სახელმწიფოს ლიდერებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მათი პირველი სამიზნეა პოლითეიზმი, სუფია, ჯადოქრობა და ა.შ. სუფიასთან სასტიკი დაპირისპირების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ სუფიებისთვის მისაღებია პლურალიზმი და არ გამოირჩევიან განსხვავებული იდეოლოგიისა და რწმენის მიმართ დიდი აგრესიით (არაერთხელ ნახსენებ სალაფიას უდიდეს ავტორიტეტს, იბნ თაიმიას, თავის ფათვებში აღნიშნული აქვს, რომ შიიტები, ალავიტები, დრუზები, სუფიები, მუთაზილიტები და სხვები ურწმუნოები არიან.).

სუფიას ლოიალობა ხელისუფლების მიმართ მიუღებელია სალაფია-ვაჰაბიასთვის და ამიტომ ცდილობენ ყველგან დაიკავონ

მათი ადგილი და იქცნენ მუსლიმების ერთადერთ წარმომადგენლებად და ამით დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თავის მხრივ, სუფიები მიუთითებენ, რომ სალაფიასთვის მთავარია რწმენის გარეგანი გამოვლინებები (ჩაცმულობის სტილი - დამოკლებული შარვალი მამაკაცისთვის და თავსაბურავი ქალისთვის), რაც მხოლოდ ფორმაა სულის გარეშე და ის ორიენტირებულია კეთილდღეობაზე და არა სიყვარულზე. სუფია, სალაფიასგან განსხვავებით, არ ცდილობს ხელისუფლებას თავს მოახვიოს საკუთარი ნება. გარდა ამისა, სალაფიასგან განსხვავებით, სუფიას გააჩნია ფართო თვალსაწიერი რელიგიური ტექსტების წაკითხვის მიმართულებით. სალაფია (ასევე „მუსლიმი ძმები“) რელიგიურ ტექსტებს სტერეოტიპულ გამოთქმებად აღიქვამს და ჩაკეტილი იურისპრუდენციით ეწინააღმდეგება ხელოვნების ყველა დარგს. სუფია არ მიიჩნევს სხვას თავისზე ნაკლებ ადამიანად და უცილობელ მტრად, მაშინ როდესაც სალაფიას მიმდევარი უხეშია და გარშემო მყოფებში ბოროტებასა და საფრთხეს ხედავს. მიუხედავად იმისა, რომ სუფიების რაოდენობა მცირე არ არის (ითვლება, რომ მხოლოდ ეგვიპტეში რამდენიმე მილიონი სუფი ცხოვრობს), ისლამური რადიკალიზმის მიმდევრებთან შედარებით, მათი გავლენები მოკრძალებულია ფინანსების სიმწირისა და აშკარა კარჩაკეტილობის გამო. სუფია მიიჩნევა სალაფიას და, ზოგადად, „პოლიტიკური ისლამის“ ალტერნატივად და ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს ევროპის ქვეყნებშიც მსჯელობენ. ჩვენს ქვეყანას მომავალში მოუწევს ყურადღების მიქცევა სალაფიას მიმდევრებისადმი. სამწუხაროდ, ეს მაშინ მოხდება, როდესაც ამ მოძრაობაში უფრო მეტი წევრი გაერთიანდება, ფინანსურად გაძლიერდება და მოთხოვნებს წამოაყენებს. ეს მოთხოვნები მრავალფეროვანი იქნება და დროთა განმავლობაში მათი განეიტრალება მეტად გართულდება, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სალაფიას და სუფიას მიმდევრები ერთად ცხოვრობენ.

ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები“

შექმნა, პრინციპები, ტაქტიკა და სტრატეგია, თეორიული საფუძვლები, „სულიერი მამები და მათი ნაშრომები“, იდეები, დამოკიდებულება დასავლეთთან, სამიზნეები, მეთოდოლოგია წევრების მისაზიდად, ორგანიზაციის სპეციალური ტერმინოლოგია, სტრუქტურა, ძალადობრივი და ტერორისტული მეთოდები, მისი გავლენები თანამედროვე ჯიჰადიზმის ლიდერებსა და ორგანიზაციებზე

ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები“ 1928 წელს ეგვიპტეში დააარსა ჰასან ალ-ბანამ. მან შექმნა ორგანიზაციის დამფუძნებელი პრინციპები, ჩამოაყალიბა მოქმედების მეთოდოლოგია და განსაზღვრა მიზნები. ის ასე ახასიათებს ორგანიზაციას: ჩვენ არ ვართ პოლიტიკური პარტია, საქველმოქმედო ორგანიზაცია ან სპორტული გუნდი, რადგან ასეთი ფორმირებები ლოკალური მიზნებისა და დროის განსაზღვრული მონაკვეთისთვის იქმნება. ჩვენ გვაქვს იდეა, დოქტრინა და მეთოდი, რომელიც არ შემოიფარგლება ადგილმდებარეობით, არ გააჩნია გეოგრაფიული ბარიერი და არ ამთავრებს საქმიანობას, სანამ ალაჰის ძალაუფლება სრულად არ გავრცელდება დედამიწაზე. ყურანი - ეს არის ის, რაც მოიცავს რეფორმებს ყველა სფეროში და მიჰყავს მუსლიმური საზოგადოება უსაფრთხოებისაკენ, პროგრესისა და ლიდერობისკენ.

ორგანიზაციის მიზნებს ალ-ბანა ასე განსაზღვრავს: ჩვენ გვინდა მუსლიმი პიროვნება, მუსლიმური სახლი, მუსლიმი ხალხი, მუსლიმი მთავრობა, მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც გაუძღვება ისლამის ქვეყნებს, მათ შორის დიასპორებს, აღმართავს ალაჰის დროშას და ივლის ჯიჰადის გზით, რათა ისლამის მიღებით მსოფლიო გაბედნიერდეს.

შუალედურ მიზნად ის ასახელებს მუსლიმური ოჯახის ფორმირებას და მომავალი თაობების ისლამის პრინციპებით აღზრდას, რის შემდეგაც იქმნება მუსლიმური თემი და ის გავრცელდება ყველგან. მუსლიმური თემის გაფართოება გამოიწვევს მუსლიმუ-

რი მთავრობის არჩევას, რომელიც იხელმძღვანელებს ალაჰის კანონებით. ეს მთავრობა გამოიყენებს საზოგადოების არამუსლიმ წევრებს მუსლიმთა ინტერესებისთვის. მუსლიმური სახელმწიფო იზრუნებს მუსლიმებისათვის მოპარული მიწების დაბრუნებაზე. საბოლოო მიზანი ერთიანი ისლამური სახელმწიფოს, ანუ - ისლამური შეერთებული შტატების შექმნაა, რომელიც გაავრცელებს ისლამს მსოფლიოში - თავისი ღირებულებებით, იდეალებით და სიკეთით, დაამყარებს თავისუფლებას, სამართლიანობას და თანასწორობას.

ისლამის ყოვლისმომცველი როლის დახასიათებისას ის აღნიშნავს:

- მხოლოდ ისლამს შეუძლია გადაჭრას თემის შიდა და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები;
- ისლამი აძლევს ყველას სამუშაოს, სტუდენტს - ხელფასს, ფერმერს - მიწას, ყველა მოქალაქეს - საცხოვრებელს და მეუღლეს, ყველა ადამიანს შეუქმნის ცხოვრების შესაფერის დონეს;
- მიტაცებული მიწების დაბრუნება არ მოხდება ჯიჰადის გამოცხადების გარეშე; შეუძლებელია არაბული ერთიანობის, მუსლიმთა ერთიანობის მიღწევა ისლამის გარეშე. ისლამით მიიღწევა ბალანსის შეცვლა მუსლიმების სასარგებლოდ; ისლამური მთავრობის შექმნა ვალდებულებაა; ისლამური სახელმწიფოს შექმნა უფრო რეალურია, ვიდრე სხვა სახის.

ჰასან ალ-ბანა ხშირად ახსენებს ერს, ეროვნებას და ამასთან, მისთვის ერი მხოლოდ რელიგიური, მუსლიმური ერთობაა. ის უარყოფს სამშობლოს ცნებას და არ ცნობს გეოგრაფიულ საზღვრებს. მისი სამშობლოა ყველგან, სადაც ამბობენ: „არ არის ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამადი მისი მოციქულია“. მრავლისმეტყველია მის მიერ ჩამოყალიბებული ადამიანთა კლასიფიკაცია, რომელშიც 6 სახეობაა: მუსლიმი ჯიჰადისტი, უმოქმედო მუსლიმი, ცოდვილი მუსლიმი, ზიმმი (ებრაელი ან ქრისტიანი, რომელიც არ ებრძვის მუსლიმებს და იხდის გადასახადს - ჯიზიას, დამცირების ნიშნად), ნეიტრალური ადამიანი და მებრძოლი. ამ კლასიფიკაციამ განსაზღვრა ორგანიზაციის აგრესიის ობიექტები. ამასთანავე ჩამოაყალიბა სწავლება უმკაცრეს დისციპლინაზე და იერარქიულ

უსიტყვო მორჩილებაზე.

ორგანიზაციის სადამფუძნებლო პრინციპებიდან საყურადღებოა შემდეგი:

ისლამი - სრული სისტემაა, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა ასპექტს: სახელმწიფოს, მთავრობას, სამშობლოს, ერს, მორალს, მოწყალებას, სამართლიანობას, კულტურას, კანონებს, შემეცნებას, მსჯელობას, შემოსავალს, სიმდიდრეს. ის არის ჯიჰადი და მოწოდება;

ყურანი და სუნა ორიენტირებია ყველა მუსლიმისთვის, ისლამის არსის აღსაქმელად;

იმამისა და მისი მოადგილის აზრი, თუ ის არ ეწინააღმდეგება შარიათს, შესაძლოა იცვლებოდეს გარემოებების შესაბამისად.

„მუსლიმ ძმებზე“ და ზოგადად, ჯიჰადისტურ მოძრაობაზე ასევე დიდი გავლენა იქონია საიდ კუტბის (1906-1966) ხედვებმა, რაც ასახულია მის წიგნებში. ერთ-ერთი მათგანი, რელიგიური რადიკალიზმის აღიარებული სახელმძღვანელო - „ეტაპები ალაჰის გზაზე“ თარგმნილია ქართულ ენაზე[*11]

(მსოფლიოში ის ყველაზე საშიშ წიგნად მიიჩნევა თანამედროვე ისლამისტურ მოძრაობაში). აქ ჩამოყალიბებული იდეები უმეცრების (ჯაჰილია), მმართველობის, ემოციური იზოლაციის (მდგომარეობა, როდესაც ისლამური ორგანიზაციის წევრი გარეგნულად შეერევა საზოგადოებას, მაგრამ იმყოფება ემოციურ იზოლაციაში, ესაუბრება, უღიმის მას, მაგრამ ქედმაღლურად უყურებს და გრძნობს საკუთარ უპირატესობას უმეცარის წინაშე) შესახებ და ა.შ. და წარმოადგენს წყაროს რადიკალური ორგანიზაციების იდეოლოგიისა და კონსტიტუციებისათვის.

„მუსლიმმა ძმებმა“, როგორც სახალიფოს მემკვიდრემ, განაახლა ევროპაზე იერიშის მოწოდებები. ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განათლებისა და ახალი წევრების მიზიდვის საკითხებს. სასწავლო პროგრამების აუცილებელი შემადგენელია ჰასან ალ-ბანას „წერილები“, საიდ კუტბის „ეტაპები

[*11] https://dinislami.weebly.com/430843224304431843084305431 2-4304431443144304433643124321-4306431043044310430 8.html /იხილეთ: CD დისკი, ფაილი - ეტაპები ალლაჰის გზაზე - დინ ისლამი

ალაჰის გზაზე“, „ყურანის ჩრდილქვეშ“ და ა.შ. ეს ლიტერატურა აკავშირებს ადამიანებს ორგანიზაციის იდეალებთან, ხედვებთან და ამზადებს მათ იერარქიული სრული მორჩილების, ორგანიზაციის დაფინანსებაში მონაწილეობის და ჯგუფის ლიდერის მიერ გაცემული თუნდაც არაგონივრული განკარგულების შესასრულებლად. „მუსლიმი ძმების“ სასწავლო და სპეციალური ლიტერატურა შეიცავს საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან, სახელმწიფო აპარატთან, პოლიტიკურ ძალებთან, მათ ლიდერებთან და ოპონენტებთან, განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებს და მიზნებს.

ორგანიზაციის მესვეურთა მიერ გაუცნობიერებელი აუდიტორიისათვის გავრცელებული მოსაზრება, რომ „მუსლიმი ძმები“ მოწოდებულია მხოლოდ რელიგიური ქადაგებისათვის, წინასწარგანზრახული სიცრუეა, რადგან ის სპეციალური/საგანგებო ორგანიზაციაა, რომელიც ისლამს იყენებს ახალი წევრების მისაზიდად და მოქმედებს დასახული გეგმის მიხედვით. მისი ყურადღების ობიექტებია პოლიტიკური ოპოზიცია, საქველმოქმედო, საგამომცემლო, საგანმანათლებლო - კულტურული საქმიანობა და ზოგადად, ისლამის გავრცელება (იმ პირობებში, სადაც მუსლიმები უმცირესობაში არიან, მისი საქმიანობა შეფუთულია, როგორც მუსლიმთა უფლებების დაცვა, რის განხორციელებასაც ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით ცდილობს.). ორგანიზაციას გამოცდილი და დახვეწილი მეთოდოლოგია აქვს წევრების მისაზიდად. ამისთვის ის აარსებს ყურანის შემსწავლელ სემინარებსა და სკოლებს, ატარებს გაკვეთილებსა და ქადაგებებს. აქ მიმდინარეობს მსმენელებზე დაკვირვება, აგიტაცია, შერჩევა (ისეთ „სპეციფიკურ“ ქვეყანაშიც კი, როგორიც საუდის არაბეთია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რომ „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგია არ გავრცელდეს სასწავლო დაწესებულებებში. სამეფოს განათლების მინისტრმა ჰამად ბინ მუჰამად აშ-შაიხმა აღნიშნული იდეოლოგიის გავრცელებაში შემჩნეული სკოლების თანამშრომლები სასწავლო პროცესს ჩამოაშორა. ანალოგიური რამ ხდება გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა და ეგვიპტეში. ჯერ კიდევ 2015 წელს სა-

უდის არაბეთში სასწავლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს ის ციტატები, რომლებიც ეკუთვნოდა „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგებს - ჰასან ალ-ბანას, საიდ კუტბს, იუსუფ ალ-კარდავის და ა.შ.).

გასათვალისწინებელია, რომ არცერთი საქველმოქმედო ან სასწავლო დაწესებულების კარზე არ არის აბრა იმის მაუწყებლად, რომ ის შექმნილი და დაფინანსებულია „მუსლიმი ძმების“ მიერ და არც სასწავლო პროგრამებშია შეტანილი აშკარა მინიშნებები ამ ორგანიზაციაზე. დახურული და საიდუმლო ხასიათის გამო, ის ხშირად მიმართავს ე.წ. ფარული სასწავლო პროგრამების გამოყენების მეთოდს. ქვეყნის და საზოგადოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მეთოდი შესაძლოა უცნობი იყოს სკოლის ადმინისტრაციის ან საგანმანათლებლო უწყებისთვისაც კი. ამ მეთოდის გამოსავლენად ზოგიერთი არაბული ქვეყანა სასწავლო დაწესებულებებში სპეციალურად დამონტაჟებულ სისტემებს იყენებს (დიდი ალბათობით, საქართველოში განათლებაზე პასუხისმგებელ უწყებაში არ იციან - ვინ ასწავლის ან რას ასწავლიან ქვეყნის მოქალაქეებს ზოგიერთ „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ცენტრში. იქ წარმოდგენილ „სასწავლო“ ლიტერატურაზე კი ქვემოთ ვისაუბარებთ.).

განსაკუთრებით აღნიშნავია ორგანიზაციის სპეციალური ტერმინოლოგია, რასაც ის საკუთარი საქმიანობის შესანიღბად იყენებს. მაგალითად:

- საერთო კავშირი - ორგანიზაციის თანამგრძნობი;
- განსაკუთრებული კავშირი - გაწევრიანებასთან მიახლოებული;
- მოწოდება - „ძმების“ ქვედანაყოფი;
- მოწოდების წილი - ყოველთვიური საწევრო გადასახადი;
- ძმა - ორგანიზაციის წევრი;
- ბოკვრები - ბავშვები და მცირეწლოვნები;
- ოსტატი (მასწავლებელი) - ორგანიზაციის ლიდერი;
- იმამი - ჰასან ალ-ბანა;
- წერილები - ჰასან ალ-ბანას წერილები განკუთვნილი წევრებისთვის;

- ამაღლება - წევრის ან ჯგუფის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა;
- ნდობა - ორგანიზაციის ხელმძღვანელობისადმი აბსოლუტური, ბრმა ნდობა;
- ჩურჩული - ყოველგვარი კრიტიკული საუბარი ორგანიზაციის გარეთ;
- მოტივტივე - პიროვნება, რომელიც არ არის წევრი, თუნდაც ფლობდეს საამისო ცოდნას;
- ნარჩენები - ყველა ის, ვინც მიატოვა ორგანიზაცია ან ვერ მოახერხა გაწევრიანება;
- საზიანო მეჩეთი - ყველა ისლამური დაწესებულება, რომელიც არ იზიარებს ორგანიზაციის პრინციპებს ან ვერ მოხერხდა მასზე დომინირება;
- კაპიტანი - ოჯახზე პასუხისმგებელი, რომელიც უმეტესად „რეგულარულის“ სტატუსს ატარებს ან ორგანიზაციასთან თანამშრომლობს წლების განმავლობაში;
- კოლონა (რაზმი) - ერთ-ერთი აღმზრდელობითი მეთოდი - ყოველთვიური შეხვედრა სახლში ან მეჩეთში;
- ბანაკი - 2-3-დღიანი შეკრება, სადაც წევრები ეჩვევიან მოსმენას და მორჩილებას, ნდობას, გადიან ფიზიკურ მომზადებას ყოველგვარი კამათის გარეშე დევიზით: „ყველა კმაყოფილია, დაიძინე ისე, რომ გეღვიძოს“.
- კლასი (კურსი) - ორგანიზაცია, რომლის წევრები „მუსლიმ ძმებს“ არ მოიხსენიებენ ორგანიზაციად („დატოვა კლასი“ - ნიშნავს ორგანიზაციასთან კავშირი გაწყვიტა).

საინტერესოა „მუსლიმი ძმების“ მიერ ახალი წევრების მისაზიდად შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იხვეწებოდა და დიდად არ განსხვავდება ჯიჰადისტურ-ტერორისტული ორგანიზაციების მეთოდებისგან. მომავალი წევრების აღზრდა ბავშვობიდან იწყება და პირველი ეტაპია ალაჰის თაყვანისცემისა და მორჩილების საფუძვლების სწავლება (განბანვის წესები, ლოცვა, მარხვა), ასევე: მუჰამადის და მისი უახლოესი გარემოცვის ცხოვრება, წინასწარმეტყველების, ისლამის

გავრცელების და დაპყრობითი ომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სიმღერების შესწავლა, რომლებიც ჟღერს ორგანიზაციის ლოზუნგები. პარალელურად იმართება სპორტული ღონისძიებები. მეორე ეტაპი განკუთვნილია მოზარდებისთვის და წარმოადგენს წინასწარ საფეხურს ჯგუფთან შესაერთებლად და ორგანიზაციის წევრის სტატუსის მოსაპოვებლად. ამ დროს მიმდინარეობს წევრების სწავლება და ხარისხების მინიჭება (მხარდამჭერი, პარტნიორი, რეგულარული და აქტიური), ყურადღება ექცევა აღსაზრდელის მონაწილეობას ორგანიზაციის საქმიანობაში მისგან მაქსიმალური სარგებლობის მისაღებად. სასწავლო პროცესის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყურანსა და სუნას (კითხვა, განმარტებები და დაზეპირება), ჰასან ალ-ბანას „წერილებს“ და მის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ინდივიდუალურად ურჩევენ დამხმარე ლიტერატურას: საიდ კუტბის, იუსუფ ალ-კარდავის, ალი მუჰამად ას-სულაბის, მუნირ ალ-ღადბანის, ფაჰმი ჰუვაიდის და სხვა ავტორთა წიგნებს.

ორგანიზაციის სტრუქტურა ასეთია:

- **ოჯახი** - საწყისი და უმცირესი ერთეული იერარქიაში, 5-7 წევრით და საერთო საგანმანათლებლო დონით. იკრიბება კვირაში ერთხელ და მეთაურობს კაპიტანი;
- **ქვედანაყოფი** - უმცირესი გეოგრაფიული ერთეული, შედგება 40-60 წევრისგან და იმართება 6-7-კაციანი საბჭოს მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ქვედანაყოფის პასუხისმგებელი. ის ეკუთვნის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პირველ დონეს;
- **ოლქი** - შედგება 3-5 ქვედანაყოფისგან და იმართება საოლქო ადმინისტრაციული საბჭოს მიერ, სადაც არიან ქვედანაყოფის ხელმძღვანელები და განათლების საკითხებზე პასუხისმგებელი პირები. ამ ერთეულს შეუძლია წევრს გაუზარდოს სტატუსი;
- **სექტორ**ი - მოიცავს რამდენიმე ოლქს;
- **ადმინისტრაციული ბიურო** - ცალკე აღებულ ქვეყანაში რამდენიმე ბიუროა, რომლებიც მსხვილ პროვინციას მოიცავს. ჰყავს სათათბირო საბჭო.

იერარქიულად - ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა სათათბირო საბჭო და აღმასრულებელი - სამეთაურო ბიურო; უმაღლესი ლიდერი - ხელმძღვანელობს ორგანიზაციას მსოფლიო მასშტაბით და ჰყავს მოადგილე; გენერალური ზედამხედველი - აკონტროლებს ფილიალებს ქვეყნებში (ორგანიზაცია აცხადებს, რომ 80-მდე ქვეყანაში აქვს ფილიალი). ორგანიზაციის მნიშვნელოვან დასაყრდენად დღიდან მისი შექმნისა კონფიდენციალურობა ითვლება. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაბული და ისლამური სამყაროს გარეთ, სადაც მუსლიმი ძმები მოქმედებენ ე.წ. მიძინებული უჯრედების პრინციპით და გულდასმით მალავენ საკუთარ ცენტრებს, მათ წევრებს და სასწავლო პროგრამებს. „მუსლიმი ძმების“ სწავლების განმარტებისთვის აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია, რომ მათი ლიდერების მიერ გაჟღერებული პოზიციები მედიასაშუალებებში მკვეთრად განსხვავდება მათივე რეალური შეხედულებებისგან. ორგანიზაციის ფარული თუ აშკარა წევრები საუბრობენ ერის და სამშობლოს ინტერესების მნიშვნელობაზე, მაშინ როდესაც მათი სწავლების მიხედვით, პატრიოტიზმი „ჯაჰილიური“ იდეაა (ჯაჰილია - ისლამის მიხედვით ისლამამდელი პერიოდი, უმეცრების ხანა) და ტერიტორიული კუთვნილება უარყოფილია ისლამის ინტერნაციონალიზმის მიერ. ჯგუფების წევრები ეუფლებიან ორმაგი სტანდარტების და დისკურსის გამოყენების მეთოდებს. წევრებს უფლება აქვთ პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ინტერესების დაცვის მოტივით, დროებით მხარი დაუჭირონ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, უფრო ძლიერი ძალის წინააღმდეგ. მიზნის მიღწევისთანავე დროებით მოკავშირეს ისევ მტრის სტატუსი მიენიჭება. „ოჯახის“ ლიდერები ასწავლიან წევრებს, რომ ხელმძღვანელობის პოზიციები დემოკრატიასთან და პარტიებთან მიმართებაში დროებითია, გარემოებებით არის გამოწვეული და „მუსლიმი ძმებისთვის“ უცხოა სამშობლოსა და მოქალაქეობის იდეები. ორგანიზაციის ლიდერთა თეორიებში განსაკუთრებული ადგილი უკავია თაქფირის (ადამიანის ან ჯგუფის ურწმუნოდ შერაცხვა) თემას. გარდა დასავლური საზოგადოებისა და ცივილიზაციისა, ჰასან ალ-ბანას და განსაკუთრებით, საიდ კუტბის წიგნებში, დადანაშაულებულნი არიან ურწმუნოებაში ისლამური ორგანიზაციებისა და მოძრაობე-

ბის უმრავლესობა, რამაც, მოგვიანებით, „ალ-კაიდასა“ და ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტურ აქტივობებში დამატებითი როლი ითამაშა. ასევე, ორგანიზაციის იდეოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელია ძალადობა. ითვლება, რომ ისლამის მომავალი დამოკიდებულია სისხლიან დაპირისპირებაზე სიკეთესა და ბოროტებას შორის. კონცეფცია - „გადადებული ძალადობა“ გულისხმობს ისეთ ეტაპს მომავალში, როდესაც შესაძლებელი იქნება ძალის გამოყენება. ძალადობრივ და ტერორისტულ საქმიანობაში ორგანიზაციის ჩართულობაზე მეტყველებს არაერთი განხორციელებული ტერაქტი (ყველაზე გახმაურებული - ეგვიპტის პრეზიდენტის, ანვარ სადათის მკვლელობა 1981 წელს, სამხედრო აღლუმის მიმდინარეობისას) და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში აქტიური მონაწილეობა. ზემოთ ნახსენები მუნირ ალ-ღადბანის წიგნი - „მამოძრავებელი მიდგომა წინასწარმეტყველის ბიოგრაფიისადმი“ ძალადობის სახელმძღვანელოა ორგანიზაციის წევრებისთვის და ნიშანდობლივია, რომ მისი შესწავლისას აღნიშნავენ არა მხოლოდ მის აღიარებულ მიდგომას, არამედ იდეები და შედეგები მოტანილია მუჰამადის ცხოვრებიდან (ციტატა წიგნიდან: „ყველაფერი, რაც ხერხემალს გადაუმტვრევს მტერს და დათრგუნავს მის წინააღმდეგობას, რევოლუციონერის უფლებაა, მიუხედავად იმისა, სამიზნე სამხედროა, თუ სამოქალაქო“.). 1985 წელს მას გენერალური ზედამხედველის თანამდებობა ეკავა.

ისლამის სამყაროში „მუსლიმ ძმებს“ დიდი როლი და გავლენა აქვს. ორგანიზაციამ მოახერხა და მუსლიმთა არაერთი თაობა დააჯერა, რომ დასავლელი და აღმოსავლელი მეცნიერების აღმოჩენები სრულად არის მოხსენიებული ყურანში და სუნაში. ეს გულისხმობს ყალბი სიამაყის ჩასანერგვას - მრავალი მუსლიმი თვლის, რომ არ არის საჭირო ფიზიკის, ქიმიის, საინჟინრო საქმის და ა.შ. შესწავლა, რადგან მუსლიმები ამ ყოველივეს 14 საუკუნეა ფლობენ. ორგანიზაციის მცდელობა - დააბრუნოს მუსლიმები ისტორიულ წარსულში, ილუზიებისა და მითების გავრცელების გზით, უშედეგო როდია. აღსანიშნავია, რომ „მუსლიმი ძმების“ შექმნამ და მისმა საქმიანობამ არაბები, ბოლო 100 წლის განმავლობაში,

მნიშვნელოვანად დახია უკან - ორგანიზაცია ყოველმხრივ ეწინააღმდეგება პროგრესს. არაბული სამყაროს „უძრაობა“ ცალკეული ქვეყნების მმართველების და „მუსლიმი ძმების“ გავლენების ლოგიკური შედეგია. ამასთან, მისმა თეორიებმა არაერთი ცნობილი ადამიანის „ჩამოყალიბებაში“ ითამაშა როლი, მათ შორის უსამა ბინ ლადენის, აბდულა აზამის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის და ა.შ. და ა.შ. „მუსლიმი ძმების“ საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი ნეგატიური გავლენები გასცდა არაბულ სამყაროს და გავრცელდა ყველგან. ასევე, სხვადასხვა მიზეზთა გამო (ორგანიზაციის ძალისხმევა, ინფორმაციის ნაკლებობა მის შესახებ, სუბიექტური მიზეზები), დასავლეთის ქვეყნების ნაწილში მას განიხილავდნენ ე.წ. ზომიერი ისლამის წარმომადგენლად, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

„მუსლიმი ძმები“ და სალაფია, დასავლეთში „შეღწევა“

ევროპის ქვეყნებში დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, მეჩეთები, ისლამური ცენტრები და მედიაორგანიზაციები, მიზნები, პარალელური საზოგადოებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საფრთხეები. მისი როლი ჯიჰადისტთა მობილიზაციაში. „მუსლიმი ძმებისა“ და სალაფიას მიმდევართა საქმიანობა ქვეყნების მიხედვით (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ავსტრია, ესპანეთი).

50-იან წლებში, ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის მმართველობისას, ორგანიზაციის მრავალი წევრი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. მათ დაიწყეს კავშირების დამყარება ევროპაში მცხოვრებ მუსლიმებთან ისეთი პარალელური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც იმოქმედებდა „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიის მიხედვით. პირველი ფილიალი გერმანიაში გაიხსნა და ეწოდა „ისლამური კრება გერმანიაში“. ის დღესაც აქტიურად საქმიანობს კონტინენტის მასშტაბით. ასევე, „ისლამური ორგანიზაციების ფედერაცია“ (FIOE) თანამედროვე ევროპაში „ქოლგის“ როლს ასრულებს „მუსლიმი ძმების“ ასოციაციების და დაწესებულებების მფარველობისა და დაფინანსების თვალსაზრისით. მისი გავლენები ევროპის არაერთ ქვეყანაში ვრცელდება, მაგალითად: საფრანგეთში (UOIF – „ისლამური ორგანიზაციების კავშირი საფრანგეთში“), ირლანდიაში, იტალიაში (UCOII – „ისლამური ორგანიზაციების და თემთა ფედერაცია იტალიაში“ - აკონტროლებს იტალიაში არსებული 500 მეჩეთიდან 130-ს), ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში (MAB – „მუსლიმური ასოციაცია დიდ ბრიტანეთში“ 3 მილიონამდე მუსლიმს წარმატებით იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის), ბელგიაში („ბელგიის მუსლიმთა ასოციაცია“ – LMB, რომლის ისლამური ცენტრი ბრიუსელშია, აღიარებულია ძალზე სახიფათო ორგანიზაციად, ლობისტური საქმიანობის გამო „მუსლიმი ძმების“ სასარგებლოდ) და ა.შ. გარდა ამისა, ევ-

როპის ქვეყნებში ორგანიზაციას დაფუძნებული აქვს საქველმოქ-მედო და კომერციული სტრუქტურები მატერიალური რესურსების მოსაზიდად. მათგან ყველაზე ცნობილია 1996 წლიდან მოქმედი EUROPE TRUST, INTERPAL - პალესტინის დახმარების საფარქვეშ მოქმედი ფონდი, საქველმოქმედო კოალიცია UG (50 ფილია-ლით) და მრავალი სხვა (თავის დროზე, ჰასან ალ-ბანამ იზრუნა იმ მეთოდების დასახვეწად, რაც საშუალებას მისცემდა „მუსლიმი ძმების“ მიერ დაარსებულ კომერციულ და არაკომერციულ ორგა-ნიზაციებს გვერდი აევლოთ კანონისთვის და მიეზიდათ თანხები საქმიანობის გასაფართოებლად. როდესაც უკანასკნელ ხანს ეგ-ვიპტეში ორგანიზაციის აქტივები სანქციების ქვეშ მოექცა, გამოაშ-კარავდა, რომ „მუსლიმი ძმების“ მფლობელობაში იყო ფონდები, სოციალური ცენტრები, საავადმყოფოები, სკოლები, უძრავი ქო-ნება, მრავალრიცხოვანი საბანკო ანგარიშები, ტურისტული კომპა-ნიები, საწარმოები, გამომცემლობები და ა.შ. დასავლეთის სამყა-როში ორგანიზაცია პრაქტიკულად შეუზღუდავად მოქმედებს, რადგან „ადამიანის უფლებების“ დაცვა, რიგ შემთხვევებში, არ გულისხმობს ექსტრემისტული იდეების გავრცელების და ანტისა-ხელმწიფოებრივი ან ტერორისტული საქმიანობის აკრძალვას. „მუსლიმი ძმები“ მაქსიმალურად იყენებს ამ რეალობას). თავისი საქმიანობის დასაფარად „მუსლიმი ძმები“ აარსებს და მიმარ-თავს მედიასაშუალებებს. მათგან ყველაზე ცნობილი - AL JAZEERA არაერთ ენაზე მაუწყებლობს და ევროპასაც ფარავს. ამას ემატება ლონდონში დაფუძნებული თანამგზავრული არხი AL HIVAR, ვებგ-ვერდები და საინფორმაციო-ანალიტიკური ორგანიზაციები, კულ-ტურული ცენტრები. თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში არსე-ბობს ორგანიზაციის ქსელი, რაც გულისხმობს ფინანსურ, ორგანიზაციულ და პირად კავშირებს. ის აქტიურად მონაწილეობს იმამების შერჩევასა და დანიშვნაში ჯარში, პოლიციაში, ციხეებში და ცდილობს გააკონტროლოს მუსლიმური თემების სოციალური, საგანმანათლებლო, რელიგიური და სპორტული სფეროები. მოქ-ნილობა და ევროპის ქვეყნებში შეუზღუდავი მიმოსვლის საშუალე-ბა გაფართოებისა და მომხრეთა მიზიდვის დამატებითი ხელშემ-წყობი ფაქტორებია. გასათვალისწინებელია, რომ „მუსლიმი ძმების“ მიერ თავის წარმოჩენა „ზომიერი“ ისლამის წარმომად-

გენლად სხვა არაფერია, თუ არა მიზანმიმართული მცდელობა დასავლური საზოგადოებების დესტაბილიზაციის და შესუსტებისა. მისი მხრიდან დემოკრატიული ღირებულებების გაზიარება და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობა ტაქტიკური მიდგომაა მხოლოდ! ეს არის არჩევანის უქონლობის შედეგი, რაც ძალების მოკრებისთანავე დასრულდება. ორგანიზაციას და, ზოგადად, ისლამის წარმომადგენლებს კომუნიკაციის „დახვეწილი“ მეთოდი აქვთ - დასავლეთის ოფიციალურ პირებთან და მასმედიასთან ისინი აღნიშნავენ დემოკრატიისა და ინტეგრაციის მაღალ ღირებულებებს, მაგრამ არაბულად, თურქულად, ურდუზე და ა.შ. საუბრისას მუდმივად ისმის - „ჩვენ და ისინი“. მეჩეთებში მუდმივად ისმის ქადაგებები დასავლური საზოგადოების ნაკლსა და ურწმუნოებაზე, ხოლო როდესაც გმობენ ტერაქტებსა და მათ შემსრულებლებს, იმავდროულად აგროვებენ შემოწირულებებს შეიარაღებული ფორმირებებისთვის მსოფლიო მასშტაბით. (მაგ., „მუსლიმ ძმებთან“ დაკავშირებული „ისლამური დახმარების ორგანიზაცია“ (https://www.islamic-relief.me/ იხილეთ: CD დისკი, ფაილი Islamic Relief Worldwide is an international non-governmental charitable organization) რეგულარულად იღებდა ევროპელ გადასახადების გადამხდელთა ფონდებიდანაც კი მრავალმილიონიან თანხებს ჰუმანიტარული და საქველმოქმედო მიზნებისთვის. შემოწმების შედეგად გამოვლენილმა კავშირმა „მუსლიმ ძმებთან“, რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებას მიაღებინა გადაწყვეტილება - შეეწყვიტა მისი დაფინანსება. მიუხედავად ამისა, ევროპაში საქმიანობას აგრძელებს მრავალი მსგავსი ორგანიზაცია („მუსლიმი ძმების“ რეგიონულ ფილიალებს ხელმძღვანელობენ: ჩრდილოეთ ამერიკაში - მუჰამად ალ-იბიარი, საფრანგეთში - სამირ ფალაჰი, შვედეთში - ხალიდ ად-დაიბა, ირლანდიაში - ჰუსაინ ჰალავა, იტალიაში - ვუჯიჰ საადი, დიდ ბრიტანეთში - სალიმ შაიხი, შვეიცარიაში - უსამა ალ-ბანან.). „მუსლიმი ძმების“ კიდევ ერთი მახასიათებელი: უფლებადამცველ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების დამყარება და მათი დაფინანსება. რამდენიმე ცნობილი ორგანიზაცია: „ალ-ქარამა“ (შვეიცარია), Committee for justice (შვეიცარია) (https://www.cfjustice.org/ იხილეთ: CD დისკი, ფაილი Home - Committee for Justice),

„Salam international“ (ინგლისი), „აშ-შაჰაბ“ (ინგლისი) და ა.შ. მხოლოდ უკანასკნელ ხანს გააცნობიერეს ზოგიერთ ქვეყანაში, რომ „მუსლიმი ძმები“ და „პოლიტიკური ისლამი“ საფრთხეს უქმნის ევროპულ ღირებულებებს და სახელმწიფოებრივ სტაბილურობას (მაგ., დიდ ბრიტანეთში 2018 წელს აიკრძალა საიდ კუტბის წიგნების გამოყენება სასწავლო პროგრამებში), მაგრამ ორგანიზაცია ევროპის ქვეყნებში არ არის აკრძალული. მიუხედავად იმისა, რომ სალაფიას მიმდევრების გამორჩევა, უმეტესად მარტივია მათი გარეგნული მახასიათებლების გამო, გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებული რადიკალიზმით გამორჩეული მიმდევრები, კონსპირაციის მიზნით, თავს უფლებას აძლევენ, არ მიმართონ ტრადიციულ ისლამურ სტილს. მათი იდენტიფიკაცია მარტივია ქადაგებების მოსმენისას მეჩეთებში, რომელთა ხელში ჩაგდების მცდელობები დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებისთვის (საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ეს პროცესი დასრულებულია - მეჩეთების უმრავლესობას სალაფიას მიმდევრები აკონტროლებენ.). სალაფიას მქადაგებლები შედარებით ადვილად ახერხებენ მუსლიმთა ნდობის მოპოვებას. როგორც წესი, ისინი არაბები არიან ან „განათლება“ მიღებული აქვთ არაბულ ქვეყნებში, რაც არაარაბებისთვის ბევრს ნიშნავს, ხოლო არაბები მათგან ისმენენ „კლასიკურ სალაფიურ“ მოწოდებას, რომ ისლამის სწორი და ერთადერთი გაგება არის ის, რასაც მუჰამედის თანამებრძოლები და მიმდევრები აღიარებდნენ მომდევნო სამასი წლის განმავლობაში. ყველაფერი განსხვავებული კი ერეტიკოსობაა. შეუწყნარებლობის და აგრესიის ნებისმიერ გამოვლენას სალაფიას მიმდევარი მარტივად დაასაბუთებს ყურანისა და ჰადისების ტექსტებზე დაყრდნობით, მუსლიმი მსმენელისთვის უმეტესად ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე, ძირითადად სალაფიას მიმდევართა დამსახურებაა ევროპელ ჯიჰადისტთა მობილიზაცია, დაფინანსება და მივლინება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. ევროპაში განხორციელებულმა არაერთმა ტერაქტმა, ევროპელი ჯიჰადისტების მონაწილეობამ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში და მათი დაბრუნებით გამოწვეულმა საფრთხემ, ასევე ევროპის ქალაქებში შექმნილმა „მუსლიმურმა გეტოებმა“ და უკვე ჩამოყალიბე-

ბულმა პარალელურმა საზოგადოებებმა გამოააშკარავა ამ საქმიანობაში ისლამური ორგანიზაციების და მიმდინარეობების ჩართულობა, რის გამოც ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში იძულებულნი გახდნენ მიეღოთ რიგი საკანონმდებლო აქტები. „პოლიტიკური“ და „ფუნდამენტალისტური“ ისლამის გავლენები ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

საფრანგეთი

ქვეყანაში 8 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს, 2600-მდე მეჩეთია და 300-მდე იმამი ყოველწლიურად ჩადის უცხოეთიდან (თურქეთიდან, ალჟირიდან, მაროკოდან, ეგვიპტიდან და ა.შ.). „ისლამური ორგანიზაციების კავშირი საფრანგეთში“ (UOIF) - „მუსლიმი ძმების“ წარმომადგენელი ამ ქვეყანაში - 50 ათასამდე წევრს აერთიანებს. UOIF-მ დედაქალაქი პარიზი 8 სექტორად დაყო და 250 ასოციაციას მოიცავს. ის კურირებს ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სკოლებს, მეჩეთებს და საგანმანათლებლო ცენტრებს. 2020 წლის მონაცემებით, ქვეყანაში იმყოფება სალაფიას 40 ათასი მიმდევარი და მათგან 8200-მდე ექსტრემისტთა სიაშია. ხელისუფლებამ 2018 წლიდან მიიღო ზომები:

- მეჩეთების გარეთ მასობრივი ლოცვების აკრძალვა;
- მონიტორინგის გამკაცრება არაოფიციალური და ოჯახური ტიპის საგანმანათლებლო სექტორში;
- მოსწავლეთა დაცვა ტერორისტული და ექსტრემისტული პროპაგანდისგან;
- უსაფრთხოების სამსახურებიდან ექსტრემისტულ აზროვნებაში შემჩნეული თანამშრომლების ჩამოშორება და მათ გამოსავლენად განკუთვნილი სახელმძღვანელოს გავრცელება;
- აკადემიური კვლევების წახალისება და მკვლევართა უზრუნველყოფა ინფორმაციით ექსტრემისტთა შესახებ;
- ციხეებში ექსტრემიზმის მონიტორინგი და შეფასება, ექსტრემისტთა იზოლაცია სხვა პატიმრებისგან.

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონი „რესპუბლიკური ღი-

რებულებების“ შესახებ პირდაპირ მიმართულია ისლამური ექსტრემიზმის და იზოლაციონიზმის წინააღმდეგ. გარდა დამატებითი აკრძალვებისა, საგანმანათლებლო სფეროში (საიდუმლო და საოჯახო სკოლები) აიკრძალა მრავალცოლიანობა და ამგვარი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პირს არ ეძლევა ბინადრობის უფლება, დაკანონდა ფინანსური გამჭვირვალობის ახალი წესები ისლამური ასოციაციებისთვის, რომელთაც დაევალებათ რესპუბლიკის პრინციპებისა და ღირებულებების პატივისცემა.

ქვეყნის პრეზიდენტის მოთხოვნით, უცხოელ იმამთა ჩასვლა საფრანგეთში აიკრძალება და ქვეყანა თვითონ მოამზადებს იმამებს, რომლებსაც ეცოდინებათ ფრანგული ენა და არ გაავრცელებენ ექსტრემისტულ იდეებს. იზღუდება მეჩეთებისა და სხვა ისლამური დაწესებულებების დაფინანსება უცხო ქვეყნებიდან (ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო ფონდები კატარიდან). ქვეყანაში დამკვიდრდა მეჩეთების მონიტორინგი ექსტრემისტული იდეების გამოსავლენად, რის შემდეგაც ქვეყანაში დაიკეტა არაერთი მეჩეთი „ტერორიზმის გამართლების, დისკრიმინაციისა და სიძულვილის გავრცელების“ ბრალდებით.

გერმანია

ქვეყანაში, სადაც 5 მილიონამდე მუსლიმი ცხოვრობს, იზრდება უკმაყოფილება უცხოური დაფინანსების (განსაკუთრებით თურქეთიდან) გამო. გერმანიაში 900 მეჩეთი და 2000-მდე ისლამური ასოციაციაა, რომელთა საქმიანობასაც განაგებს „რელიგიის საკითხთა თურქული ისლამური კავშირი“ (DITIB). ამ ორგანიზაციას თურქეთის მთავრობა აკონტროლებს.

ტერმინი „სალაფია“ გერმანიაში ასოცირებულია რადიკალურ იდეებთან და ექსტრემისტ ახალგაზრდებთან. ამ ქვეყანაში აცნობიერებენ, რომ სახელმწიფო კონტროლის არარსებობამ ყურანის სწავლებისას ბერლინის მეჩეთებში სალაფიტების დომინირება გამოიწვია. ხელისუფლება დაინტერესდა მუსლიმური თემით დასახლებული ბერლინის ნოიკიოლნის რაიონში მდებარე „ან-

ნურის“ მეჩეთთან არსებული ახალგაზრდული და ოჯახური ცენტრით, რადგან ეჭვი გამოიწვია იქ გარკვეული იდეოლოგიის ქადაგებამ. რაიონის ხელმძღვანელობის აღიარებით, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ყურანისა და არაბული ენის გაკვეთილების მონიტორინგის საშუალება და ამიტომ ვარაუდობენ, რომ მეჩეთებში არასასურველი პროცესები ვითარდება. კონსტიტუციური დაცვის სამსახურის (კონტრდაზვერვა) განცხადებით, „ან-ნურის“ მეჩეთის საგანმანათლებლო დანაყოფი არ ფინანსდება სახელმწიფოსგან, თავის ფუნქციებს არაოფიციალურად ასრულებს და უცნობია, რას ასწავლიან ახალგაზრდებს. ბერლინის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სალაფიას იდეების ქადაგებას მეჩეთებში პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსები ყურადღებას უნდა აქცევდნენ, რადგან სალაფიას ქადაგება თავისუფალი დემოკრატიის, როგორც წყობის, საწინააღმდეგო ქმედებაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ ქალაქ ბერლინის მთავრობის შს მინისტრის განკარგულებით, დაიხურა „ან-ნურის“ მეჩეთთან არსებული „ისლამური საზოგადოება ბერლინში“ - გერმანიაში აცნობიერებენ, რომ ჯიჰადისტების რეკრუტირების ძირითადი წყარო არის სალაფია (გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში ტერაქტებმა გამოავლინა, რომ შემსრულებლების უმრავლესობა სალაფიას იზიარებდა.). ყოფილი დედაქალაქი ბონი იქცა სალაფიას უმსხვილეს ცენტრად, რადგან წარსულში უცხოელთა, მათ შორის არაბების, კონცენტრაციამ მეჩეთების დაარსება გამოიწვია და გერმანულის შემდეგ, არაბული ქალაქში მეორე ენად იქცა.

„მუსლიმი ძმები“ გერმანიაში. ქვეყანაში „თურქეთის ისლამური კავშირის“ მიერ დაარსებული მეჩეთები და სასწავლო ცენტრები 55 ათასი მოსწავლის „აღზრდას“ ემსახურება. გერმანიის სპეცსამსახურების მიერ დადგენილია, რომ „კავშირში“ გაერთიანებული მეჩეთების იმამები, რომლებიც, ძირითადად, მივლინებულნი არიან თურქეთიდან და იქიდანვე იღებენ ხელფასს, აქტიურად თანამშრომლობენ თურქეთის ადგილობრივ დიპლომატიურ მისიებთან და გადასცემენ მათ მოთხოვნილ ინფორმაციას. გასულ წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „კავშირის“ ხელმძღვანელს

მოსთხოვა გაეწყვიტა ურთიერთობა თურქეთის ხელისუფლებასთან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო ხშირად ისმის მოწოდება - აიკრძალოს „მუსლიმი ძმების“ საქმიანობა. გერმანიის ქალაქ კიოლნში დიდი ხნის განმავლობაში იყო „მუსლიმი ძმების“ შტაბ-ბინა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში გავლენების გაძლიერების და გაფართოების გამო, გერმანიის კონსტიტუციური დაცვის უწყებამ განაცხადა, რომ ეს ექსტრემისტული დაჯგუფება უფრო სახიფათო ხდება, ვიდრე „ალ-კაიდა“ და ისლამური სახელმწიფო. მრავალრიცხოვანი სასწავლო დაწესებულებებისა და ე.წ. ყურანის კურსების საშუალებით მიმდინარეობს ყურანის განსაკუთრებულად რადიკალური ინტერპრეტაცია. „მუსლიმი ძმების“ გერმანულ ფილიალს ოფიციალურად დეკლარირებული აქვს ისლამის ღია და შემწყნარებლური პრინციპებისადმი ერთგულება, მაგრამ დახურულ კარს მიღმა მისი ლიდერები საუბრობენ ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე საშუალოვადიან პერსპექტივაში. მიმდინარე საქმიანობიდან აღსანიშნავია, ასევე, მიწებისა და შენობების შესყიდვა, მათი მეჩეთებად გადაქცევის მიზნით და მუდმივი პრეტენზიები მეჩეთების სიმცირის თაობაზე („მუსლიმი ძმები“ არ არის აკრძალული გერმანიაში, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების ორგანოების მიერ კლასიფიცირებულია, როგორც გერმანული და ევროპული საზოგადოების ისლამიზაციისაკენ მიმართული ექსტრემისტული ჯგუფი.). გერმანიაში მოქმედი „მუსლიმი ძმების“ უმსხვილესი ცენტრები: საერთო გერმანული ორგანიზაცია „ხედვა“, ბონში მოქმედი „მუსლიმ ქალთა ორგანიზაცია“, „ისლამური საბჭო“ ბერლინში, „ისლამური ცენტრი“ მიუნხენში, „ისლამური საზოგადოება“ მიუნხენში, „მუსლიმ ახალგაზრდათა უმაღლესი საბჭო“ მიუნხენში, „კულტურის ცენტრი“ ბერლინში, „კულტურის ცენტრი“ დრეზდენში. ქვეყანაში შემუშავებული ანტიექსტრემისტული სტრატეგიის თანახმად: ორმაგი მოქალაქეობის მქონე ჯიჰადისტებს ჩამოერთვათ გერმანიის მოქალაქეობა და პასპორტები, სოციალური ქსელების პლატფორმებს, რომლებიც გაავრცელებენ უკანონობას, ძალადობისა და ტერაქტების შემცველ მოწოდებებს, ეკისრებათ ჯარიმა. დაგეგმილია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: Facebook, Twitter, Google და YouTube, ექსტრემისტული შინაარსის მასალების სწრაფი

ლიკვიდაციისათვის. გერმანიაში შემუშავებულია იმამების მომზადებისა და ექსტრემიზმთან ბრძოლის პროგრამები შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით და რამდენიმე ისლამური ორგანიზაციის მონაწილეობით. მათ შორისაა „გერმანიის მუსლიმთა ცენტრალური საბჭო“. ამოქმედებულია საპილოტო პროგრამები რამდენიმე მეჩეთისა და საექსპერტო საზოგადოების ჩართულობით, მიმართული მუსლიმთა ინტეგრაციისკენ. „მუსლიმი ძმები“, კონსპირაციის მიზნით, ხშირად მოქმედებს სხვა სახელით და გერმანიის მაგალითზე ეს არის „ისლამური საზოგადოება“, რომელსაც დეკლარირებული აქვს, რომ არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ ის ცდილობს ურთიერთობების დამყარებას პოლიტიკურ პარტიებთან. ეს ორგანიზაცია ყიდულობს შენობებს მეჩეთების გასახსნელად სხვადასხვა ქალაქში.

გერმანიაში შეიმუშავეს სტრატეგია, რათა წინ აღუდგნენ ექსტრემიზმისა და სალაფიას გავლენებს მეჩეთებთან არსებულ ისლამურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებსაც თურქეთში მოქმედი ასოციაციები აკონტროლებენ. სტრატეგია ასევე ითვალისწინებს იმამების შერჩევის კრიტერიუმების გაუმჯობესებას აუცილებელი პირობით - ისინი უნდა იყვნენ „ზომიერი“ მუსლიმები და არ უნდა განიცდიდნენ გარკვეული ჯგუფებისა და ქვეყნების მიერ აღიარებული ისლამის კონცეფციათა იდეოლოგიის გავლენას. მეჩეთების იმამების 90% დაკავშირებულია „რელიგიის საკითხთა თურქულ ისლამურ კავშირთან“ (DITIB), მთავრობის ინიციატივით დაწყებული იმამების მომზადების პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მუსლიმურ თემში კულტურული და პოლიტიკური ლოიალობის პრობლემების გადაჭრას. სახელმწიფო, კონსტიტუციის თანახმად, ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს, არ ერევა რელიგიურ თემთა საქმიანობაში და დამოუკიდებელი ასოციაციის შექმნის შედეგად სწავლების პროგრამაში ჩაერთო რამდენიმე ისლამური ორგანიზაცია, მათ შორის - „გერმანიის მუსლიმთა ცენტრალური საბჭო“. იმის გათვალისწინებით, რომ ისლამის შემსწავლელი აკადემიური ცენტრების მსმენელები ვერ შეძლებენ იმამის როლის შესრულებას, მიუნსტერის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული „ისლამური კვლევების ცენტრი“ გადაკეთდა იმამების მოსამზადებელ კოლე-

ჯად. შეიქმნა პროგრამა, რომელიც შორს იქნება „პოლიტიკური“ ისლამის ჯგუფების რიტორიკისგან. კოლეჯის მესვეურთა მიზანია „ამხილოს ისლამური პოლიტიკური ჯგუფების მიერ ტექსტებისა და ფათვების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება“.

ბელგია

ქვეყანაში 700 ათასზე მეტი მუსლიმია და მხოლოდ ბრიუსელში - 80-მდე მეჩეთი (ქვეყნის მასშტაბით - 320). ჯიჰადისტთა რაოდენობით ბელგია ლიდერთა შორისაა ევროპაში. პროცესები 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც „ბრიუსელის დიდი მეჩეთი“ აიგო და დაარსდა მასთან არსებული „ისლამური კულტურის ცენტრი“. ის მალევე გადაიქცა სალაფიას ქადაგების ცენტრად (მეჩეთის მშენებლობა დააფინანსა საუდის არაბეთმა, რისი უფლებაც ბელგიისათვის ნავთობპროდუქტებზე დაკავშირებული შეღავათების დაწესებით მიიღო. საუდიასვე დაეკისრა იმამების მომზადება ბელგიის მეჩეთებისათვის.). ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებს მიეცათ დამატებითი უფლებები: საერთაშორისო სატელეფონო ზარების კონტროლი, აგენტების მიერ ყალბი პირადობის მოწმობების გამოყენება მათივე დაცვის მიზნით, ექსტრემიზმში ეჭვმიტანილთა იზოლაცია საპატიმროებში, ეჭვმიტანილთა აქტივების დაბლოკვა, იმ ქიმიური ნივთიერებების გაყიდვის აკრძალვა, რასაც ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებლად იყენებენ, მაგ., აცეტონის პეროქსიდი (ისლამური სახელმწიფოში ხშირად გამოყენებადი ნივთიერება). სამართალდამცავ ორგანოებს მიენიჭათ უფლება სოციალურ ქსელებიდან სწრაფად წაშალონ ექსტრემისტული კონტენტის შემცველი ინფორმაცია (წინასწარ განისაზღვრა, რას ნიშნავს „ექსტრემისტულ-ტერორისტული კონტენტი“). ექსტრემიზმისა და ტერორიზმის მონიტორინგის ცენტრმა დაადგინა, რომ მქადაგებლების მოსამზადებლად, ძირითადად, იყენებენ ნაშრომებს, რომლებშიც განმარტებულია ისლამური კანონები. ქვეყანაში გამკაცრდა მეჩეთებში ექსტრემისტული დისკურსის მონიტორინგი და სამლოცველო სახლების ოფიციალური აღიარების და ისლამური სასწავლებლების ადმინისტრაციული გამჭვირვალობის ღონისძიებები. გარკვეულ რაიონებში აიკრძალა მეჩეთე-

ბის რეგისტრაცია უახლოესი წლების განმავლობაში. აიკრძალა მეჩეთებში საზღვარგარეთიდან საჩუქრების მიღება და დაწესდა პირობები, რაც ზღუდავს მათზე თურქეთის სამთავრობო ორგანიზაციების გავლენას. 2019 წელს ფლამანდიის მთავრობამ შექმნა უსაფრთხოების აპარატი, რომელიც ამოწმებს მეჩეთების გახსნის წესებს. ბელგიაში მეჩეთების კონტროლი სახელმწიფო უსაფრთხოების ამოცანად არის აღიარებული. მიუხედავად მეჩეთებში ექსტრემისტული დისკურსის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვებისა, ისინი საკმარისი არ აღმოჩნდა სასურველი შედეგის მისაღწევად. ქვეყნის მეჩეთების ნაწილი კვლავ ლოიალურია უცხო სახელმწიფოთა მიმართ, რის შედეგადაც ბელგიელ ჯიჰადისტთა რიცხვი ხშირად აღემატება მუსლიმური ქვეყნებიდან ჯიჰადისათვის შეკრებილთა რაოდენობას.

სპეციალისტები ხელისუფლებას ურჩევენ, რომ ვალდებულია გაუძლოს მუსლიმური თემების ზეწოლას ახალი მეჩეთების ასაშენებლად. 2017 წლიდან იმამობის მსურველმა უნდა გაიაროს სწავლების 5-წლიანი აუცილებელი კურსი, რომელიც მოამზადა „იმამების ჩამოყალიბების ინსტიტუტმა“. უცხოელი იმამები აბარებენ გამოცდას ეკვივალენტური სერტიფიკატის მისაღებად.

მიუხედავად ბელგიის ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიტიკური, უსაფრთხოების და სოციალური ზომებისა, რაც მიმართულია მეჩეთებში ექსტრემიზმის წინააღმდეგ და იმამების ექსტრემისტული რიტორიკის შესაზღუდად, ამგვარი ძალისხმევა საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა, რადგან მიზანი - მუსლიმური თემების ინტეგრაციისა ბელგიურ საზოგადოებაში მიუღწეველია, რაც ხელს უწყობს მრავალმხრივი პრობლემების წარმოქმნას. გარდა ამისა, ქვეყანაში აღიარებენ, რომ არსებულ ისლამურ ადმინისტრაციულ წარმონაქმნებს შორის კონფლიქტი მეჩეთებში მისაღები რიტორიკის თაობაზე, მრავალი მეჩეთის ლოიალობა უცხო ქვეყნების მიმართ, იწვევს ქაოსს, რის გამოც ხელისუფლება იძულებულია ჩაერიოს მათ საქმიანობაში და მიმართოს მეჩეთებიდან მომდინარე ტერორიზმის პრევენციას.

დიდი ბრიტანეთი

ქვეყანაში მოქმედი 2000 მეჩეთიდან 10%-ს სალაფიას მიმდევრები აკონტროლებენ. გარდა ამისა, ფუნქციონირებს 300-მდე ცენტრი და ასობით ისლამური საზოგადოება.

„მუსლიმმა ძმებმა“ მოახერხა დიდ ბრიტანეთში თავისი ფილიალი ინტერესების სამართავ მექანიზმად ექცია ევროპის მასშტაბით. ორგანიზაციამ აქ მრავალი ინვესტიცია განახორციელა, რამაც შესაძლებლობა მისცა თავისი იდეოლოგია გაევრცელებინა მასმედიასა და პოლიტიკოსებზე დაყრდნობით. ორგანიზაციას დაფუძნებული აქვს: „მუსლიმური ლიგა დიდ ბრიტანეთში“ - 11 ფილიალით ლონდონსა და უელსში, მანჩესტერში, ლივერპულში, შოტლანდიაში და ა.შ. „ბრიტანეთის ისლამური ინიციატივა“, „ისლამური საბჭო ბრიტანეთში, „მუსლიმ სტუდენტთა ასოციაცია“, „კულტურათა დიალოგის კორდოვას ფონდი“, არხი „დიალოგი“, „ისლამური სწავლების კვლევითი აკადემია“, ორგანიზაცია „Middle East Monitor“, სატელევიზიო არხების ქსელი, „ისლამური დახმარების ფონდი“, რომელიც 1984 წელს დაარსდა და „მუსლიმი ძმების“ დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროდ ითვლება, „პალესტინის დახმარების და განვითარების ფონდი“, ბანკი „არ-რაიანი“, რომელსაც კატარი იყენებდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დასაფინანსებლად. ორგანიზაციის გავლენების მასშტაბებზე მეტყველებს მისი კავშირები ბრიტანელ პოლიტიკოსებთან. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, ჯერემი კორბინის (Jeremy Corbyn) ლობირებამ „პალესტინის ფონდის“ სასარგებლოდ და მისმა გამოჩენამ აღმართული ოთხი თითით „ფინსბერი - პარკის“ მეჩეთში, საინფორმაციო სააგენტოების ყურადღება მიიქცია (ოთხი თითი „მუსლიმი ძმების“ სიმბოლოდ იქცა სოლიდარობის ნიშნად, ეგვიპტის მოვლენების შემდეგ. თურქეთის პრეზიდენტი რ. ტ. ერდოღანი ამ ნიშნით ესალმება ხალხმრავალ შეკრებებს.). პოლიტიკურ წრეებში უკვე სიფრთხილით ეკიდებიან „მუსლიმი ძმების“ შეჭრას ბრიტანულ საზოგადოებაში და ხშირია მოწოდებები - აიკრძალოს მისი საქმიანობა და დაიხუროს ინსტიტუტები, რადგან თურქეთისა და კატარის ხელისუფლებებისგან

მხარდაჭერილი პოლიტიზებული ორგანიზაციები სარგებლობენ გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლებით, რაც საფრთხეს უქმნის სრულიად ევროპის უსაფრთხოებას. ისლამური ორგანიზაციების ეკონომიკური და ჰუმანიტარული საქმიანობა განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა კოვიდპანდემიის პირობებში, რადგან შემოწირულებებისა და დაფინანსების ზრდამ შესაძლოა ექსტრემისტული ჯგუფების მხარდაჭერაზე იმოქმედოს.

დაწყებულია იმ მეჩეთების შესწავლა, რომელთაც ექსტრემისტული ისლამური ორგანიზაციები მართვენ. ბრიტანეთში არსებული ისლამური და არაბული ქსელები, რომლებიც ჩართულია ამ ორგანიზაციათა საქმიანობაში, კიდევ უფრო ართულებენ რეგულირების პროცესს. შესაბამისად, ხელისუფლება გრძნობს პასუხისმგებლობას - აკონტროლოს ეს რთული სიტუაცია, რომელიც გლობალურ პრობლემად მიიჩნევა. არსებული ინფორმაციით, ბრიტანეთში მოქმედ მეჩეთებში ქადაგებებისას გაისმის მოწოდებები, რაც პირდაპირი წაქეზებაა ქრისტიანთა და ებრაელთა, როგორც ურწმუნოთა წინააღმდეგ. მოწოდებები უკავშირდება ასევე ახლო აღმოსავლეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერას. მრავალ მიზეზთა გამო, ბრიტანეთში აღიარებულია, რომ ისლამური ექსტრემიზმის გავრცელების წყაროს ადგილობრივი მეჩეთები და იქ მქადაგებელი იმამები წარმოადგენენ, რომელთა ნაწილს არ აქვთ რელიგიური განათლება ან ისლამის სწავლება გაიარეს ახლო აღმოსავლეთში. ადგილობრივ ექსპერტთა რეკომენდაციები ისლამური ექსტრემიზმის წინააღმდეგ:

- მუსლიმური თემი კონტროლდება საზღვარგარეთიდან და ეს უნდა შეწყდეს;
- საჭიროა მოქალაქეთა მაქსიმალური ინტეგრაცია და ეს უნდა უკავშირდებოდეს მკაცრ განსაზღვრებას - ცალკეული მოქალაქე მუსლიმი ბრიტანელია თუ ბრიტანელი მუსლიმი?
- მუსლიმ მქადაგებელთა და იმამების „ნაციონალიზაცია“ ნაციონალური კრიტერიუმების და რელიგიური პროგრამების შესაბამისად, რომელიც ანგარიშს უწევს და პატივს სცემს სახელმწიფოს წესებს და მოქალაქეობას;
- სხვადასხვა უწყებათა და ინსტიტუტების თანამშრომლობამ ხე-

ლი უნდა შეუშალოს მათ, ვინც ფიქრობს ექსტრემიზმზე და ამ კუთხით მეჩეთის იმამს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს.

შვეიცარია

ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანაა, სადაც ორგანიზაცია „მუსლიმმა ძმებმა“ შეაღწია არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებაში. ეს მიზნად ისახავს ე.წ. ცივილიზაციური ჯიჰადის სტრატეგიის განხორციელებას. პირველი ნაბიჯი იყო „ჟენევის ისლამური ცენტრის“ დაარსება 60-იანი წლების დასაწყისში ჰასან ალ-ბანას („მუსლიმი ძმების“ დამფუძნებელი) პირადი მდივნის, საიდ რამადანის მიერ. ცენტრი დღესაც ემსახურება „მუსლიმ ძმებს“. ცალკე აღნიშვნის ღირსია ორგანიზაციის წევრთა ბიზნესაქტივობა შვეიცარიაში, რომლის ხელსაყრელი ბიზნესგარემო და პოლიტიკური სტაბილურობა ასევე ხელს უწყობდა ორგანიზაციის ფინანსურ წარმატებებს და საინვესტიციო საქმიანობას. ქვეყანაში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაციათა ქსელი პირდაპირ კავშირშია „მუსლიმი ძმების“ დაფინანსებასთან. 2006 წელს დაარსებული „შვეიცარიელ მუსლიმთა კავშირი“, „მასწავლებელთა ისლამური კავშირი“ და „ციურიხის ისლამურ ორგანიზაციათა ასოციაცია“ ასევე „მუსლიმი ძმების“ ადგილობრივი დანაყოფებია. ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებს ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: „ისლამური ჯამაათი“, „შვეიცარიის ისლამური სათათბიროს საბჭო“, „მუსლიმთა საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრი“, „საზოგადოებრივ-კულტურული გავლენის ორგანიზაცია“, „ისლამურ ორგანიზაციათა ასოციაცია“, „ისლამური ჯამაათის ორგანიზაცია“, იძულებული გახდა აემოქმედებინა შემდეგი ზომები:

- უსაფრთხოების სამსახურის მიერ კონტროლის დაწესება შვეიცარიის მოქალაქეთა საბანკო ანგარიშებსა და ტრანზაქციებზე;
- წინასწარი ნებართვის გარეშე უცხოეთის მოქალაქეების ქვეყნის შიგნით მიმოსვლის კონტროლი;
- ტერორიზმთან მებრძოლ ორგანოებში 86 ახალი თანამდებობის შემოღება;

- უცხოურ კომპიუტერულ სისტემებში შეღწევა;
- უსაფრთხოების პროცედურების გამარტივება, პოლიციისათვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭება, მათ შორის - პასპორტების ჩამორთმევის უფლება;
- საპოლიციო აპარატის შექმნა, რომელიც სპეციალიზებულია ინტერნეტისა და ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებში;
- გაიზარდა უსაფრთხოებისა და პოლიციის ატაშეთა რაოდენობა შვეიცარიის საელჩოებში;
- აერონავიგაციის ობიექტები ვალდებული არიან ავიარეისების განხორციელებამდე ხელისუფლებას მიაწოდონ ინფორმაცია მგზავრების შესახებ, - გამკაცრდა ქვეყნის სასაზღვრო კონტროლი და არალეგალურ მიგრაციას მეტი ყურადღება ეთმობა;
- შემუშავდა ნაციონალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდობის დაცვას ექსტრემიზმისაგან.

ქვეყნის შესაბამისი სამსახურებმა დაადგინეს, რომ „მუსლიმი ძმების“ საქმიანობა უკავშირდება ტერორისტულ ქსელებს და ორგანიზაცია შვეიცარიის რამდენიმე ქალაქში ცდილობს ახალი წევრების მოზიდვას.

ავსტრია

2017 წელს ავსტრიის ხელისუფლებამ აღმოაჩინა „მუსლიმი ძმების“ საეჭვო საქმიანობა ქვეყნის ტერიტორიაზე, ორგანიზაცია საბიუჯეტო სახსრებსაც კი იყენებდა ექსტრემიზმის გასავრცელებლად. დადგინდა ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბების ზრდა და მისი კავშირები ეგვიპტის, სირიისა და პალესტინის ფილიალებთან. ადგილობრივმა ექსპერტებმა აღიარეს, რომ ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს რელიგიური ექსტრემიზმის ინტელექტუალურ და საორგანიზაციო საფუძვლებს. „მუსლიმი ძმების“ ავსტრიაში მოქმედი ცენტრები და გაერთიანებები:

- „ისლამური რწმენის საზოგადოება“;
- „ისლამური კულტურული ასოციაცია“;
- ქალაქ გრაცის „ისლამური კულტურის ლიგა“;

- „ისლამური რელიგიური ორგანო“;
- „ავსტრიელ ახალგაზრდა მუსლიმთა, ორგანიზაცია“ და ა.შ.

ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა შესწორება „სიმბოლოების კანონში“, სადაც აიკრძალა ექსტრემისტული ორგანიზაციების, მათ შორის „მუსლიმი ძმების“, ლოზუნგების და სიმბოლოების გამოყენება. იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არსებულ მეჩეთებში მომრავლდნენ უცხოელი იმამები, მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ისლამურ დაწესებულებებში მსახურების უფლება აქვთ ავსტრიის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც რელიგიური განათლების კურსი ავსტრიაში გაიარეს. ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეიმუშაოს კომპლექსური ზომები პოლიტიკურ ისლამთან დასაპირისპირებლად და ამ მიზნით შეიქმნა „პოლიტიკური ისლამის დოკუმენტირების ცენტრი“. დასრულდა მისი სტრუქტურული ჩამოყალიბება და ცენტრთან ითანამშრომლებენ „მუსლიმი ძმების“ და ასევე სხვა ექსტრემისტულ ისლამურ მიმდინარეობებთან დაკავშირებული კვლევების ექსპერტები. ცენტრის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილია საწყისი ბიუჯეტი - 500 ათასი ევრო და მას ევალება ქვეყანაში „მუსლიმი ძმების“, თურქული და სხვა ისლამური ორგანიზაციების, მეჩეთების, ვებგვერდებისა და სოციალური მედიის მონიტორინგი, ასევე ექსტრემისტული ისლამის დოკუმენტირება და ანალიზი. ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, მისი მიზანია პოლიტიკური ისლამის იმ ორგანიზაციებთან დაპირისპირება, რომელთა საქმიანობა აღემატება ისლამური სახელმწიფოსა და „ალ-კაიდასგან“ მომდინარე საფრთხეებს. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური ისლამი იდეოლოგიაა, რომელიც ცდილობს მართოს ადამიანები ისლამის სახელით, რაც უფრო საშიშია, ვიდრე ჯიჰადიზმი და სალაფიზმი.

ესპანეთი

ესპანეთში „მუსლიმი ძმების“ ლოზუნგია: „ანდალუსიის განთავისუფლება ესპანელი ოკუპანტებისგან“. როდესაც ისლამური ჯგუფები საუბრობენ ევროპის შესახებ, ისინი ყოველთვის თვლიან ესპანეთს გლობალური სახალიფოს ნაწილად, რომელიც წარსულში დაკარგეს. ქვეყანაში 2,5 მილიონი მუსლიმია და 1300-მდე ისლამური ცენტრი. მხოლოდ კატალონიაში უნებართვოდ ფუნქ-

ციონირებს 800-ზე მეტი მეჩეთი. ხელისუფლებამ საშუალო სკოლებისათვის შეიმუშავა პროექტი „ტერორიზმთან ბრძოლა“, რაც ტერორიზმის გეოგრაფიასა და ისტორიას ეძღვნება. ცნობილ მიზეზთა გამო ქვეყანაში იზრდება ტერორისტულ ორგანიზაციათა მომხრეების რიცხვი. სალაფიას მიმდევრების რიცხვი აგრეთვე გაზრდილია კატალონიაში, ტარაგონაში, ლა-რიოხაში, არაგონში, ნავარასა და ბასკეთში. ხელისუფლება ყურადღებით აკვირდება კატარის საქმიანობას ქვეყანაში მეჩეთების გახსნისა და დაფინანსების კუთხით. ცნობილია, რომ კატალონიის 80 მეჩეთიდან უმეტესობა კატარიდან ფინანსდება, ხოლო ესპანეთის მასშტაბით ის 250-მდე მეჩეთს აფინანსებს და თანამშრომლობს „მუსლიმი ძმების“ ადგილობრივ წარმომადგენლებთან, რომლებიც, ძირითადად, მეჩეთების იმამები არიან. ხელისუფლება იძულებული გახდა ქვეყნიდან გაეძევებინა „იმამების ისლამური კავშირის“ ხელმძღვანელი ძალადობისა და სიძულვილის მოწოდებების გამო. ესპანეთი იქცა „მუსლიმი ძმების“ პრიორიტეტულ სამიზნედ და ამ ორგანიზაციის აქტივობებს კატარული ფონდები აფინანსებენ. მადრიდში მეჩეთის მშენებლობის საბაბით, კატარის ელჩი მუჰამად ბინ ჯაჰამ ალ-ქუვარი შემჩნეული იყო ადგილობრივ მუსლიმურ თემებთან თანამშრომლობაში, ექსტრემისტული ორგანიზაციების დაფინანსებისა და წაქეზებაში. ის უზარმაზარი თანხები, რასაც კატარი ევროპული ქვეყნების მეჩეთებისა და ისლამური ცენტრების დასაფინანსებლად იხდის, გამიზნულია ე.წ. ისლამური ძმობის იდეის განსამტკიცებლად, და რაც მთავარია - „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიის გავრცელებით ევროპაში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. საგამომცემლო კომპანია „ისლამური სახლი“ თარგმნის და გამოსცემს ჰასან ალ-ბანას და საიდ კუტბის წიგნებს. ესპანეთის ხელისუფლება გეგმავს მეჩეთებისა და იმამების კონტროლის გაძლიერებას ქვეყნის მასშტაბით.

„მუსლიმი ძმების“ გლობალური მიზნების წარმოსაჩენად უნდა ითქვას, რომ ის მოქმედებს არა მხოლოდ აზიის, ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ფონდები ფუნქციონირებს როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ამერიკაშიც.

„მუსლიმი ძმები“ აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში, იქ დაფუძნებული ორგანიზაციები და მათი მიზნები

აშშ-ში ხშირად ისმის მოწოდებები, რომ „მუსლიმი ძმები“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარონ და შეიზღუდოს მისი მრავალრიცხოვანი შვილობილი ჯგუფების მოქმედება („მუსლიმი ძმები“ აქტიურად მოქმედებდა კანადაში საქველმოქმედო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეგიდით. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო 1997 წელს დაარსებული „კანადის მუსლიმური ლიგა“. 2014 წელს კანადის ხელისუფლებამ „მუსლიმი ძმები“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა და აუკრძალა საქმიანობა.). მიუხედავად ამისა, აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვლავ გრძელდება მათი დაფინანსება. 2019 წლის ოქტომბერში ორგანიზაცია Islamic Relief-მა 400 ათასი აშშ დოლარი მიიღო USAID-ისგან (30 წელია ის 40-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს). თუმცა უკანასკნელ ხანს სამთავრობო დაფინანსება შეუწყვიტა დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა და შვედეთმა. ის ტერორისტულად აღიარეს გაერთიანებულ არაბულ საამიროებში, ეგვიპტეში „მუსლიმ ძმებთან“ მჭიდრო კავშირის გამო. ორგანიზაცია აშშ-ში მხარს უჭერს და მონაწილეობს საპროტესტო მოძრაობებში და ქუჩის აქციებში. აშშ-ში მრავალი ორგანიზაციაა დაკავშირებული „მუსლიმ ძმებთან“ - არაბული რეჟიმების დევნის შედეგად მისმა წევრებმა თავშესაფარი სხვა ქვეყნებთან ერთად აშშ-შიც იპოვეს. ერთ-ერთი მათგანია Cair (ამერიკულ-ისლამური ურთიერთობების საბჭო), ასევე MSA (მუსლიმ სტუდენტთა ასოციაცია), რომელმაც „მუსლიმი ძმების“ არაერთი ფილიალი დააარსა და შემჩნეული იყო „ალ-კაიდასთან“ კონტაქტებში, USMCO (ისლამური ორგანიზაციების ამერიკული საბჭო) და სხვ. „მუსლიმ ძმებთან“ დაკავშირებულ ამერიკულ ორგანიზაციათა არასრული სია ასეთია:

- ISNA - Islamic Society of North America
- MSA – Muslim Students Association
- MCA – The MuslimCommunities Association
- AMSS – The Association of Muslim Social Scientists
- AMSE – The Association of MuslimScentists and Engineers
- IMA - ITC – Islamic Teaching Center
- NAIT – North American Islamic Trust
- FID - Foundation for International Development
- IHC - Islamic Housing Cooperative
- ICD - Islamic Centers Division
- ATP - American Trust Publication
- AVC - Audio-visual Center
- IBS - Islamic Book Service
- MBA - Muslim Businessmen Association
- MYNA – Muslim Youth of Nord America
- IFC - ISNA Fiqh Committee
- IPAC – ISNA Political Awareness Committee
- IED - Islamic Education Department
- MAYA – Muslim Arab Youth Association
- MISC – Malasian Islamic Study Group
- IAP - Islamic Association for Palestine
- UASR – United Association for Studies and Research
- OLF - Occupied Land Fund
- MIA - Mercey International Association
- ICNA – Islamic Circle of North America
- BMI - Baitul Mal Inc
- IIC - Islamic Information Center

„მუსლიმი ძმების“ იმედები აშშ-ში ლეგალური საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ემყარება დემოკრატიული პარტიის ხედვებს რადიკალური ისლამური ორგანიზაციების ალტერნატივის შესახებ. ეს როლი ბარაკ ობამას დაეკისრა პრეზიდენტობის დროს (ამის შედეგი იყო ე.წ. არაბული გაზაფხული ტუნისში, ლიბიაში, ეგვიპტესა და სირიაში, სადაც „მუსლიმი ძმების“ წევრებმა ვერ წარმოაჩინეს თავი, როგორც პროგრესისა და დემოკრატიის დამცველებმა, რაც ლოგიკურია იმ ორგანიზაციისათვის, რომლის ლოზუნგებია: „ისლამი - ეს არის გამოსავალი“, „ალაჰი ჩვენი მიზანია“, „ყურანი ჩვენი კონსტიტუციაა“, „მუჰამადი ჩვენი ლიდერია“, „ჯიჰადი ჩვენი გზაა“, „სიკვდილი ალაჰისთვის - ჩვენი გზაა“). ორგანიზაციის საქმიანობა დიდწილად ემყარება ზემოაღნიშნულ საპროგრამო დოკუმენტს - „ჩრდილოეთ ამერიკაში ზოგადი სტრატეგიული მიზნების განმარტებითი ბარათი“. უკანასკნელ ხანს, როდესაც ევროპის ქვეყნებში გაისმის კრიტიკა თურქეთის ხელისუფლების და მასთან დაკავშირებული ისლამური ორგანიზაციების ჩარევის გამო ამ ქვეყნების მუსლიმური თემების გაკონტროლების მიზნით, ამ ორგანიზაციებმა მუშაობა სამხრეთ ამერიკაში გააააქტიურეს (2014 წელს სტამბოლში გაიმართა ლათინური ამერიკის ისლამური ორგანიზაციების ლიდერთა კონფერენცია 76 ხელმძღვანელის მონაწილეობით, რომელსაც რ. ტ. ერდოღანი და ა. დაუდოღლუ ესწრებოდნენ.). ამის მაგალითია თურქეთის რელიგიის საქმეთა სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებული აქციები არგენტინაში, სადაც ადგილობრივ მუსლიმებს გაეგზავნათ მრავალფეროვანი ისლამური ლიტერატურა: ყურანი, მისი კომენტარები ესპანურად და სხვა დამხმარე ლიტერატურა ისლამის შესასწავლად. ლიტერატურის გადაცემის ცერემონია გაიმართა ბუენოს-აირესში, ალ-აჰმადის მეჩეთში, თურქეთის ელჩისა და „არგენტინის ისლამური ცენტრის“ ხელმძღვანელების მონაწილეობით. ევროპის მსგავსად, თურქეთი გეგმავს ისლამური სისტემის „აწყობას“ ლათინურ ამერიკაში, მუსლიმთა უფლებების დაცვის და ისლამის სწავლების მოტივით, რაც „პოლიტიკური“ ისლამის ორგანიზაციების მხარდაჭერას გულისხმობს და მომავალში ექსტრემიზმის გავრცელებას შეუწყობს ხელს ანკარასა და „მუსლიმ ძმებს“ შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე (არაბულ სამყაროშიც კი ცნობილია გამოთქმა: „უფრთხილდით ისრაელს ერ-

თხელ და თურქეთს - ათასჯერ“). თურქული ხელწერა უცხო ქვეყნების მუსლიმურ თემებში შეღწევისა, ყველგან იდენტურია - პირველი ნაბიჯები უკავშირდება ისლამური ორგანიზაციების ლიდერებთან მუშაობას და ქვეყნების ოფიციალურ წრეებთან ურთიერთობების დამყარებას. იმის ფიქრი, რომ თურქული ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართულია ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მუსლიმურ თემებში შესაღწევად და საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, არ იქნება სწორი, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ცნობილია თურქეთის საქმიანობა ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეში. აქვე უნდა აღინიშნოს თურქეთის („მუსლიმი ძმების“) შედარებით ნაკლებად ცნობილი გავლენები უკრაინაში, სადაც საქმიანობს ამ დაჯგუფების ფილიალი „არ-რაიდი“. ის დაფუძნებულია 1997 წელს და შტაბ-ბინა კიევში აქვს (http://www.arraid.org /იხილეთ: CD დისკი ფაილი Конгресс мусульман Украины _ «Крепко держитесь за вервь Аллаха все вместе и не разделяйтесь!» (Коран, 3 103)). მას ხელმძღვანელობს სირან არიფოვი. მისი წარმომადგენლობები ფუნქციონირებს ვინიცაში, ოდესაში, ზაპოროჟიეში, დნეპროპეტროვსკში, სუმში, ლვოვში, ხარკოვში და ა.შ. ორგანიზაცია „არ-რაიდი“ სათავო ორგანიზაციაა ასობით ასოციაციისა უკრაინაში და ის ითვლება „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთ დასაყრდენად აღმოსავლეთ ევროპაში. „არ-რაიდთან“ დაკავშირებული ისლამური ცენტრები უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ფუნქციონირებს. ორგანიზაცია ფლობს საინფორმაციო რესურსებს, ასევე გამომცემლობას, რომელიც სხვადასხვა ასაკის მკითხველს აწვდის მრავალფეროვან ისლამურ ლიტერატურას. მათ შორისაა „მუსლიმი ძმების“ თანამედროვე სულიერი ლიდერის და ექსტრემიზმის თეორეტიკოსის, იუსუფ ალ-კარდავის რუსულად თარგმნილი წიგნი „Фикх приоритетов в свете Корана и Сунны“, რომელსაც რეკომენდაციას უწევენ ვებგვერდზე: (https://www.arraid.org/ru/node/3273 /იხილეთ: CD დისკი ფაილი Конгресс мусульман Украины «Крепко держитесь за вервь Аллаха все вместе и не разделяйтесь!» (Коран, 3 103)).

ირანული ორგანიზაციები დასავლეთში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია) „ალ-მუსტაფას“ უნივერსიტეტი

ირანი ყოველმხრივ ცდილობს გამაერთიანებელი ძალა იყოს სხვადასხვა ეროვნების შიიტებისთვის თავისი პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ღირებულებების გავრცელების გზით. ეს საქმიანობა, გარდა დიპლომატიური და ეკონომიკური მეთოდებისა, ხორციელდება შიიტური მეჩეთებისა და ცენტრების დაფუძნებით და მხარდაჭერით. ზოგიერთი მონაცემი ევროპის ქვეყნებში ირანული მეჩეთების და ცენტრების საქმიანობის შესახებ:

გერმანია

სათავო ორგანიზაციას ეწოდება „შიიტთა ისლამური ასოციაცია“ (IGS) და აერთიანებს მრავალ მეჩეთსა და ცენტრს. მის შემადგენლობაშია „ისლამური ცენტრი ჰამბურგში“ (IZH), სადაც მოლები ირანელ დიპლომატებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ცენტრი შემჩნეულია „ჰიზბუ ლ-ლაჰის“ დაფინანსებაში, გამოსცემს ჟურნალებს და ადგილობრივ შიიტებზე დიდი გავლენის გამო ითვლება, რომ აზიანებს გერმანულ საზოგადოებას. ასევე გავლენიანი ცენტრებია: „ფრანკფურტის ისლამური კულტურის ცენტრი“, „ბერლინის ასოციაცია ალ-ირშად“, „ცენტრი ალ-ჰასანიენ“ ბერლინში. იმის გამო, რომ „საგანმანათლებლო“ საქმიანობის გარდა, ეს ცენტრები მონაწილეობენ ახლო აღმოსავლეთის შიიტური სამხედრო დაჯგუფებების დაფინანსებაში, გერმანიის ხელისუფლებამ მათი არაერთი წევრი დააკავა.

დიდი ბრიტანეთი

„ისლამური ინსტიტუტი ლონდონში“ (მართავს „ალ-მუსტაფას“ უნივერსიტეტი) „ინგლისის ისლამურ ცენტრთან“ ერთად ყველაზე აქტიური ირანული ორგანიზაციაა დიდ ბრიტანეთში. კოორდინაციას უწევს მეჩეთებსა და ისლამურ ცენტრებს ევროპაში. სხვა ორგანიზაციებია: „მანჩესტერის ცენტრი“, „ნიუკასლის ისლამური ცენტრი“, „ბირმინგემის ისლამური ცენტრი“, „გლაზგოს ცენტრი“, „სამეცნიერო ცენტრი ლონდონში“, „აჰლუ ლ-ბაითი“, „ევროპის შიიტ სწავლულთა საბჭო“, „იმამ ალის ფონდი“, რომელიც მდებარეობს ლონდონში და ემორჩილება ცნობილ შიიტ ლიდერს, აიათოლა ალი ას-სისტანის. ის ატარებს სემინარებს, ლექციებს და მფარველობს სხვა ორგანიზაციებს კარდიფსა და ბირმინგემში. ამ ორგანიზაციებს, სხვა ქვეყნების მსგავსად, ირანის მიერ ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებზე ზეწოლისთვის იყენებენ. ასევე, მათი მიზანია ისლამის სხვა მიმდინარეობებთან კონტაქტების დამყარება და მათი მივლინება ირანის ქალაქებში.

საფრანგეთი

ქვეყნის ხელისუფლება ბოლო ხანს მკაცრ ზომებს ატარებს ირანული ცენტრების მიმართ. „აზ-ზაჰრას“ ცენტრის ბოლო 4 ხელმძღვანელი დაკავებულია. გაისმის მოთხოვნები „აჰლუ ლ-ბაითის“ დახურვაზე და ეს ყოველივე ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკასა და საქმიანობას უკავშირდება. შიიტური ცენტრებია: „იმამ ალ-ხოვის კულტურული ფონდი“ პარიზში, „საიდა ზეინაბის ცენტრი“ ტულუზაში, „საქველმოქმედო ფონდი ალ-ღადირ“ პარიზში მივლინებებს უზრუნველყოფს ირანსა და ერაყში, აქვს სასწავლო პროგრამები ირანული იდეოლოგიის გასავრცელებლად, „საფრანგეთის შიიტთა კავშირი“ და ა.შ.

ბელგია

ირანის გავლენებით გამორჩეული ქვეყანაა. „ევროპის დედაქალაქში“ ირანი ხშირად სარგებლობს კატარელი დიპლომატების დახმარებით. აქტიური ორგანიზაციებია: „იმამ რეზას ცენტრი ბრიუსელში“, „ცენტრი აზ-ზაჰრა ანტვერპენში“, „ცენტრი ალ-ღარი ანტვერპენში“.

ირანი დიდ ყურადღებას უთმობს ევროპულ ქვეყნებში „ალ-მუსტაფას“ უნივერსიტეტის ფილიალების გახსნას, რადგან სანქციების პირობებში სულ უფრო უჭირს საკუთარი სამხედრო ფორმირებებისთვის ახალი წევრების რეკრუტირება. ევროპის მოქალაქეებს, რომლებმაც მომზადება გაიარეს ამ უნივერსიტეტში, არ ეზღუდებათ თავისუფალი მიმოსვლა და კარგად იცნობენ ადგილობრივ სპეციფიკას. ასევე, ისინი სარგებლობენ საკუთარ ქვეყნებში შიიტური ცენტრების იდეოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით. უნივერსიტეტის მიმართ უკვე მოქმედებს ამერიკული სანქციები. აღსანიშნავია, რომ ირანული კულტურული ცენტრები და ზოგადად, ისლამური დაწესებულებები საზღვარგარეთ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ და სხვა ირანული სპეცსამსახურების ინსტრუქციებით მოქმედებენ.

„მუსლიმი ძმები“ და თურქეთი

გავლენები, ადგილობრივი ორგანიზაციები, თურქეთის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები (Diyanet, TIKA, MUSIAD, „იუნუს ემრეს“ ინსტიტუტი, „მაარეფის სკოლები“) ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში

ორგანიზაციის გავლენების გავრცელება თურქეთში 60-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც გერმანიიდან ქვეყანაში დაბრუნდა ნაჯმადდინ ერბაქანი. გერმანიაში ის გადაიბირა ჰასან ალ-ბანას პირადმა მდივანმა - საიდ რამადანმა და გააცნო მას საიდ კუტბის წიგნები. ის პრემიერის პოსტსაც იკავებდა და დიდწილად მისი გავლენით ჩამოყალიბდა პოლიტიკოსად რ. ტ. ერდოღანი, რომელმაც 2001 წელს აბდულა გიულთან ერთად ჩამოაყალიბა „სამართლიანობის და განვითარების პარტია“ (თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი იმამ-მქადაგებლების სკოლის კურსდამთავრებულია.). მრავლისმეტყველია პარტიისა და მისი ლიდერის კონტაქტები „მუსლიმი ძმების“ ლიდერებთან და მსგავსი იდეოლოგიის სხვა ორგანიზაციებთან. თურქეთ-ეგვიპტის ურთიერთობების „ოქროს ხანა ემთხვევა ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ ხანმოკლე მმართველობას. ამ ორგანიზაციის იდეოლოგია სრულ თანხვედრაშია პრეზიდენტ ერდოღანის მისწრაფებებთან - თავი დაიმკვიდროს სუნიტური სამყაროს ლიდერად მთელ მსოფლიოში. უკანასკნელ წლებში ხელისუფლების ნებართვით და ხელშეწყობით სტამბოლში, სადაც უამრავი არაბია თავმოყრილი, გაიხსნა „მუსლიმი ძმების“ რამდენიმე ორგანიზაცია და ეს ქალაქი გადაიქცა ახალგაზრდების რეკრუტირების, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრად ექსტრემიზმის მიმართულებით. აი ზოგიერთი ორგანიზაცია:

- „სოციალური საქველმოქმედო ასოციაცია“ - აწევრიანებს ახალგაზრდებს, ასწავლის მათ ჰასან ალ-ბანას და საიდ კუტბის წიგნებით. ხელმძღვანელი ნურედდინ ილდიზი, ცნობილი „ერდოღანის მუფტის“ სახელით, რეგულარულად მართავს კონფერენციებს უცხოელ კოლეგებთან ერთად სტამბოლში,

ლობირებს სახალიფოს და ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმების იდეას.

- „ასოციაცია ჰიქმა“ - მუშაობს, ძირითადად, ახალგაზრდების მისაზიდად, იყენებს შრომით ბაზარს, იწვევს ახალგაზრდებს თურქულის და არაბულის შესასწავლად. გაწევრიანებულია „მუსლიმი ძმების“ ფილიალის, „ევროპის ისლამურ ორგანიზაციათა კავშირში“, ასევე „საერთაშორისო სტუდენტურ კავშირში“ და „ისლამური სამყაროს არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირში“, რომლებსაც თურქეთის მმართველი პარტია აკონტროლებს.
- „ისლამურ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირი“ - შეიქმნა სტამბოლში და აერთიანებს „მუსლიმ ძმებთან“ დაკავშირებულ 350 ორგანიზაციას მსოფლიოში.
- „ეგვიპტურ ასოციაციათა კავშირი თურქეთში“ - დააარსეს ეგვიპტიდან გაქცეულმა წევრებმა და ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს, ორგანიზაციის აღორძინების მიზნით.

გავლენების გასავრცელებლად თურქეთი არა მხოლოდ ძალისმიერ მეთოდებს იყენებს (სირია, ერაყი, ლიბია), მის არსენალშია ე.წ. რბილი ძალა და მთავარი იარაღი - მეჩეთები. მეჩეთებს ისლამში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, სწორედ იქ მიმდინარეობს რელიგიური და პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბება (მეჩეთი ხალხის მასების შეკრების, შეგროვების ადგილია და მისი სინონიმი - „ჯამი“ ასე ითარგმანება: „შემკრები“). აქედან მომდინარეობს თურქეთის დაინტერესება დასავლეთში ახალი მეჩეთების გახსნის საკითხით, რასაც სეკულარიზმის პრინციპების დაცვად მოიხსენიებენ თურქული და ევროპული ისლამური ორგანიზაციები. ეს პრინციპები სრულიად მიუღებელია ისლამისთვის და მოგებიანია მუსლიმებისთვის დასავლეთში. „თურქეთის რელიგიის საქმეთა ისლამური კავშირი“ თავისი წარმომადგენლის, მოძრაობა „მილი გურუშის“ (ეროვნული ხედვა) საშუალებით საფრანგეთში 300-მდე, ბელგიაში 150-მდე და გერმანიაში 700-მდე მეჩეთს აკონტროლებს. ევროპაში ამ მოძრაობას 100 ათასი აქტიური წევრი ჰყავს. თურქეთის ხელისუფლება ასევე მონაწილეობს პოლიტიკური და ეკონომიკური ლობისტური ორგანიზაციების და

ჯგუფების შექმნასა და მხარდაჭერაში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ზოგიერთი თურქული ორგანიზაციის საქმიანობა ასეთია:

– „რელიგიის საქმეთა სამმართველო“ (Diyanet)ნე - დიდ ყურადღებას უთმობს საგარეო მიმართულებებს, ამზადებს მქადაგებლებს, უნიშნავს სტიპენდიებს უცხოელ სტუდენტებს, აწყობს შარიათის შემსწავლელ კურსებს თურქეთში და მსმენელებს უნერგავს „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ იდეოლოგიას. უწყების ბიუჯეტი 210%-ით აღემატება ქვეყნის კულტურისა და ტურიზმის და 171%-ით მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტროთა ფინანსებს. უწყება აფინანსებს მეჩეთებს 145 ქვეყანაში და აშენებული აქვს 100-ზე მეტი მეჩეთი 12 ქვეყანაში, თუმცა არაგამჭვირვალე საქმიანობის გამო ზოგიერთმა ქვეყანამ აკრძალა მეჩეთების დაფინანსება თურქეთიდან. რამდენიმე ქვეყანამ გამოავლინა, რომ „დიანეტის“ ორგანიზებულ საბავშვო ბანაკებში, სადაც მასწავლებლების როლს თურქეთიდან მივლენილი იმამები ასრულებდნენ, პროპაგანდას უწევდნენ ექსტრემისტულ იდეებს. არაბულენოვან წყაროებში საუბარია ასევე ამ უწყების გავლენებზე აჭარაში.

თურქი იმამების საქმიანობის გამოძიება მიმდინარეობდა გერმანიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, ბელგიასა და შვედეთში. უწყების თანამშრომლები ჩართული არიან დიპლომატიურ მისიებში ატაშეს რანგში. ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა რეგიონში იხსნება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, მიმდინარეობს რელიგიური შეკრებები, ხოლო ბეჭდვით გამოცემათა გავრცელების პარალელურად, განათლების მისაღებად ტარდება კონფერენციები, იქმნება და ითარგმნება ნაშრომები ისლამის შესახებ; „დაძმობილებული ქალაქების“ პროგრამების გათვალისწინებით, უცხოეთში რემონტდება და შენდება მეჩეთები, სკოლები, საგამომცემლო სახლები. საერთაშორისო მიმართულება 4 განყოფილებისგან შედგება: საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეთა საქმეების, ევრაზიის ქვეყნების, საზღვარგარეთზე ორიენტირებული განათლების საქმეთა და მუსლიმური ქვეყნებისა და საზოგადოებების განყოფილებები.

- „თანამშრომლობისა და კოორდინაციის თურქული სააგენტო“ (TIKA) წარმოადგენს თურქული რბილი ძალის ინსტრუმენტს სხვადასხვა ქვეყანაში შესაღწევად - გადაწყვეტილებების მიღებისას ზემოქმედებისათვის (წითელ ნახევარმთვარესთან ერთად). ის შეიქმნა 1992 წელს პოსტსაბჭოთა თურქულენოვან ქვეყნებში გავლენების გასავრცელებლად და თურქეთის ერთგული თაობების მხარდასაჭერად, თურქული იდეებისა და კულტურის პოპულარიზაციის გზით. შემდეგ კი ფილიალები და საკოორდინაციო ცენტრები გაიხსნა სხვა ქვეყნებშიც - (მათ შორის საქართველოში) სამხრეთ აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 3 მილიარდამდე აშშ დოლარით ფინანსდებიან. TIKA ზოგიერთ ქვეყანაში ხელს უწყობს თურქული ენის შესწავლას და ოსმალეთის იმპერიის პერიოდის ისლამური დაწესებულებების აღდგენას და ფუნქციონირებას. საყურადღებოა, რომ TIKA-ს ხელმძღვანელი (ჰაკან ფიდანი) ამ თანამდებობის დატოვების შემდეგ დაინიშნა თურქეთის საგარეო დაზვერვის მეთაურად.
- „დამოუკიდებელ თურქ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ (MUSIAD) შექმნილია თურქეთის პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად ეკონომიკური მეთოდების გზით. ფილიალები ფუნქციონირებს ათობით ქვეყანაში, სადაც თურქეთი საკუთარი გავლენების გაფართოებას ცდილობს. (თბილისისა და ბათუმის ოფისები ამის დასტურია).
- „იუნუს ემრეს ინსტიტუტი“ (https://tiflis.yee.org.tr/ იხილეთ: CD დისკი, ფაილი tiflis.yee.org.tr) კიდევ ერთი იარაღია თურქული ენის, ოსმალური კულტურისა და თურქეთის გავლენების გასავრცელებლად. ორგანიზაცია სხვა მეთოდებთან ერთად წარმატებით იყენებს თურქული კინოსა და ტელევიზიის შესაძლებლობებს იმ ქვეყნებში, სადაც თურქეთი და მისი ისტორია დიდი პატივისცემით არ სარგებლობს. მიზანი - კეთილგანწყობის მოპოვებაა (ყოველდღიური ჩვენება მრავალრიცხოვანი თურქული ტელესერიალებისა ქართულ ტელესივრცეში, ამ პროექტის წარმატებაზე მეტყველებს).
- „მაარეფის“ სკოლები ყოველწლიურად იხსნება სხვადასხ-

ვა ქვეყანაში. ეს არის ე.წ. ნეოოსმანიზმის, თურქული ნაციონალიზმის და რადიკალური ისლამის ნაზავის გავრცელების ერთ-ერთი მექანიზმი. პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო სისტემა დისტანციურ რეჟიმში მუშაობს და ქვეყნების ჩამონათვალში პირველად მოიხსენიება საქართველო, შემდეგ - კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, უნგრეთი, ბელგია, ავსტრია, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, რუმინეთი, პაკისტანი, ავღანეთი, მალი, განა, გვინეა, ბურუნდი, სენეგალი, კონგო, სომალი და ა.შ. (რიგმა ქვეყნებმა - ტუნისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ - აღარ დაუშვეს ამ სკოლების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, რადგან მოსწავლეთა მშობლები უჩიოდნენ „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიის გამოყენებას სასწავლო პროცესში.). სკოლების ქსელს პატრონაჟს უწევს პრეზიდენტ ერდოღანის ვაჟი.

ისლამური ორგანიზაციების აქტივობები ევროპაში, თურქეთისა და კატარის საქველმოქმედო ორგანიზაციების ხელშეწყობით

ევროპის ქვეყნებში გვიან გააცნობიერეს, რომ მუსლიმი მიგრანტები სულაც არ აპირებდნენ ადაპტაციას და ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების შეთვისებას. პირიქით - მათ დაიწყეს ისლამის გავრცელება და საკუთარი ტრადიციებისა და შარიათული დოგმების თავს მოხვევა ადგილობრივებისათვის. შეუწყნარებლობისა და ექსტრემიზმის გაღვივებაში, რა თქმა უნდა, უდიდესი დამსახურება მიუძღვით მქადაგებლებს და ზოგიერთ მათ ფათვას, საიდანაც „ირკვევა“, რომ რელიგია არის ერთადერთი და ისიც - ისლამი. ყოველკვირეული ქადაგება მეჩეთში გრძელდება იმით, რომ კერპთაყვანისმცემლებად ცხადდებიან იუდეველები და ქრისტიანები, და ის საყოველთაო უსამართლობა, რაც მსოფლიოშია გავრცელებული, ისლამის წინააღმდეგ აგორებული შეთქმულების დამსახურებაა. გარემოებების შესაბამისად, ამ პრობლემების მოსაგვარებლად სახელდება ჯიჰადი. ჯიჰადია სამხედრო ოპერაციები ახლო აღმოსავლეთშიც და უახლოესი ურწმუნო გარემოცვის გასანადგურებლადაც, ხალხის თავშეყრის ადგილას ბომბის აფეთქებით, სატრანსპორტო საშუალების, ცივი იარაღის გამოყენებით და ა.შ. კონკრეტული ორგანიზაციები სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ევროპის ქვეყნებში ქადაგებები, ძირითადად, არაბულად, თურქულად, ბოსნიურად მიმდინარეობს, რაც ხელისუფლებისათვის დამატებით პრობლემებს ქმნის სათანადო სპეციალისტთა ნაკლებობის გამო. მუსლიმური ორგანიზაციები ასევე დიდად ზრუნავენ უფლებადამცველი ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად და უკვე არსებულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დასამყარებლად. საკითხს დამატებით სირთულეს მატებს ის

ფაქტი, რომ მეჩეთები და სხვა ისლამური დაწესებულებები, ძირითადად, უცხოეთიდან ფინანსდება და კონტროლდება. გარდა თურქეთისა, ამ კუთხით აქტიურობს კატარის სახელმწიფოც. ამ ორი ქვეყნის მიერ ისლამური მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების და მეჩეთების დაფინანსებამ და ხელშეწყობამ აიძულა ევროპული ქვეყნები, მიეღოთ ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი ზომები, რადგან აშკარა გახდა რელიგიას ამოფარებული პოლიტიკური მიზნები. გასულ წლებში, ტერაქტების რაოდენობის ზრდის შემდეგ, ევროპის ქვეყნებში ისლამის ალტერნატივაზე - „ევროპულ ისლამზეც“ კი იყო საუბარი, რომელიც შორს იქნებოდა ისლამის ტრადიციული გაგებისა და სწავლებისგან. ევროკავშირი განიხილავს იმამების მომზადების ევროპული ინსტიტუტის შექმნის საკითხსაც, რაც მათი უცხოეთიდან ჩასვლას შეუშლიდა ხელს და მუსლიმურ თემებს მეტ ინტელექტუალურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა, რადგან დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გააცნობიერეს, რომ უცხოეთში მომზადებული იმამების და მუსლიმი თეორეტიკოსების ნაწილი ექსტრემისტულ იდეოლოგიას ავრცელებდა. ექსტრემისტული ქადაგებების ბრალდებით 2018 წელს მხოლოდ ავსტრიაში 7 მეჩეთი დაიხურა და ქვეყნიდან გააძევეს 60 იმამი. საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ ინიციირებულია ადგილობრივი იმამების მომზადების და სერტიფიცირების პროგრამის პროექტი. ასევე მომზადდება სასწავლო პროგრამები. საფრანგეთის მუსლიმთა ოფიციალურმა ორგანიზაციამ „საფრანგეთის ისლამურმა საბჭომ“ გასულ წლებში გამოაქვეყნა ე.წ. იმამის ქარტია, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს ქვეყანაში მოქმედ იმამებს რელიგიურ ექსტრემიზმთან ბრძოლაში და იმავდროულად, გაითვალისწინონ საფრანგეთში მოქმედი კანონები. „ქარტიამ“ არაბულ სამყაროში დიდი ყურადღება დაიმსახურა. ის შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- ისლამი საფრანგეთისათვის ახალი არ არის და ის არსებობს თანამედროვე რეალობების შესაბამისად;
- მუსლიმებს ევალებათ დისტანცირება ისეთი მიმდინარეობებისაგან, რომლებსაც არ აღიარებენ ქვეყნის ყველაზე ცნობილი სწავლულები და რასაც ზოგიერთი მქადაგებელი ტელევიზიის

საშუალებით ავრცელებს. ფრანგი მუსლიმი ვალდებულია სწავლულთა გადაწყვეტილებების შესაბამისად განეწყოს ამ მიმდინარეობებისადმი;

- მუსლიმებს ევალებათ არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული წვდომა რწმენის საკითხებში;
- მუსლიმი ვალდებულია პატივს სცემდეს სხვებს და ურთიერთობდეს მათთან ისე, როგორი ურთიერთობის სურვილიც აქვს მათი მხრიდან;
- ყოველი მუსლიმი ვალდებულია გამოხატოს სიკეთე და სათნოება სხვებთან ურთიერთობისას;
- მეცნიერებაზე და პროგრესზე უარის თქმა არ შეესაბამება ისლამს - ალაჰმა შექმნა კაცობრიობა და ჩაუნერგა ძმობა და თანამშრომლობა. ამიტომ, ყოველი მუსლიმის ვალია მშვიდობის გავრცელება და ომის შეჩერება. ის უნდა დაუპირისპირდეს რასიზმს და ძალადობის ქადაგებას;
- საფრანგეთი არ არის ისლამის მიწა, მაგრამ აქ ცხოვრობენ მუსლიმები, ასევე სხვა რელიგიების წარმომადგენლები და ათეისტებიც. ამიტომ, მუსლიმები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ საფრანგეთის რესპუბლიკის კანონებს. მაგალითად, სიწმინდეთა კარიკატურა და დაცინვა ითვლება გამოხატვის თავისუფლებად, რასაც იცავს კანონი. მუსლიმების პასუხი უნდა იყოს დაგმობა, მაგრამ არა მოთხოვნა, კანონში ცვლილების შეტანა და არა ძალადობა. ფრანგი მუსლიმები საკუთარი შეხედულებების საფუძველზე არ უნდა ითხოვდნენ საკანონმდებლო ცვლილებებს. ეს ვრცელდება ქრისტიანებზე, იუდეველებსა და ათეისტებზეც;
- მუჰამადისაგან ცნობილია, რომ მორწმუნე, რომელიც აღიარებს ერთღმერთიანობას, იქნება ის მუსლიმი, იუდეველი თუ სხვა კონფესიის წარმომადგენელი, არის „წიგნის ხალხი“ და აგრესია მათ წინააღმდეგ დანაშაულია. წინასწარმეტყველი (მუჰამადი) გამოხატავს შემწყნარებლობას, რადგან მხოლოდ ალაჰია თავისი მონების მსაჯული;
- მუსლიმს ეკრძალება ომი და ჯიჰადი დასაშვებია მხოლოდ თავ-

დაცვის მიზნით. თუ მოწინააღმდეგე მზად არის კონფლიქტი მოაგვაროს მშვიდობიანად, მუსლიმსაც ევალება მისი მშვიდობიანად მოგვარება. ამგვარად, დამნაშავენი, რომლებიც თავს ჯიჰადისტებს უწოდებენ, ვერ აცნობიერებენ ჯიჰადის ნამდვილ მნიშვნელობას - ისლამი შემწყნარებლობისა და მშვიდობის რელიგიაა;

- ჯიჰადი ნიშნავს თვითდისციპლინას მუსლიმთა საუკეთესო ღირებულებების გამოვლენის მიზნით.

ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიიღოს კომპლექსური ზომები პოლიტიკურ ისლამთან დასაპირისპირებლად და ამ მიზნით შეიქმნა „პოლიტიკური ისლამის დოკუმენტირების ცენტრი“. დასრულდა მისი სტრუქტურული ჩამოყალიბება და ცენტრთან ითანამშრომლებენ „მუსლიმი ძმების“ და სხვა ექსტრემისტულ ისლამურ მიმდინარეობებთან დაკავშირებული კვლევების ექსპერტები. ცენტრის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილია საწყისი ბიუჯეტი - 500 ათასი ევრო და მას ევალება ქვეყანაში „მუსლიმი ძმების“, თურქული და სხვა ისლამური ორგანიზაციების, მეჩეთების, ვებგვერდებისა და სოციალური მედიის მონიტორინგი, ასევე, ექსტრემისტული ისლამის დოკუმენტირება და ანალიზი. ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, მისი მიზანია პოლიტიკური ისლამის ორგანიზაციებთან დაპირისპირება, რომელთა საქმიანობა აღემატება ისლამური სახელმწიფოსა და „ალ-კაიდასგან“ გამომდინარე საფრთხეებს. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური ისლამი იდეოლოგიაა, რომელიც ცდილობს მართოს ადამიანები ისლამის სახელით, რაც უფრო საშიშია, ვიდრე ჯიჰადიზმი და სალაფიზმი. პოლიტიკური ისლამი დამკვიდრებულია ავსტრიაში და მისი სტრუქტურები ნაკლებადაა ცნობილი. ცენტრი მოწოდებულია მოიპოვოს ინფორმაცია მის შესახებ.

ცნობილია, რომ ევროპაში პოლიტიკური ისლამის ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელია კატარის სახელმწიფო და მისი სპეციალური „ჰუმანიტარული“ ფონდები (მაგ., Qatar Charity). ავსტრიაში მისი საქმიანობა, ძირითადად, ვრცელდება ვენასა და გრაცში არსებულ მეჩეთებსა და კულტურულ ცენტრებში.

გასათვალისწინებელია, რომ კატარის ფონდები დაფინანსების

გასავრცელებლად ხშირად იყენებენ თურქულ საბანკო სისტემას, კერძოდ, „ზირაათ ბანკს“, რომელსაც ფილიალები აქვს თბილისში, ბათუმსა და მარნეულში (ziraatbank.ge).

გერმანიაში გამოვლინდა, რომ ათასობით იმამს კვალიფიკაცია არ გააჩნია და მათ თურქული ორგანიზაციები აკონტროლებენ. გერმანიის ხელისუფლებამ ეს ფაქტორი ძალზე სახიფათოდ მიიჩნია, რადგან ამ ქვეყანაში თურქეთის აქტივობები სისტემატური პოლიტიკის შედეგია. ევროპის ქვეყნებში გააცნობიერეს, რომ აუცილებელია იმამების მომზადება ადგილზე, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროგრამებს, რომლებსაც კავშირში არ ექნება „მუსლიმ ძმებთან“, სალაფიასთან და სხვა ისლამურ ჯგუფებთან.

კატარის სახელმწიფო ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ისლამური დაწესებულებების გავრცელებას დასავლეთში, რისთვისაც მობილიზებულია სახელმწიფო და კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციები. გასათვალისწინებელია, რომ ევროპის ქვეყნებში გააცნობიერეს კატარის ხელშეწყობით აშენებული მრავალი მეჩეთის და საქველმოქმედო ორგანიზაციების საშუალებით ამ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესების გატარება და რაც ყველაზე სახიფათოა - ექსტრემისტული იდეოლოგიისა და ტერორიზმის მხარდაჭერა. კატარის დაფინანსებით აშენდა მეჩეთები იტალიაში (43 მეჩეთი), გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში (მხოლოდ 2018 წელს კატარმა 123 მლნ. ევროთი დააფინანსა დიდ ბრიტანეთში არსებული „მუსლიმ ძმებთან“ ასოცირებული ორგანიზაციები), საფრანგეთში, დანიაში, ესპანეთში (150 მეჩეთი) და ა.შ. საყურადღებოა, რომ კატარს თავს აფარებს ეგვიპტიდან დევნილი „მუსლიმი ძმების“ მრავალი ლიდერი. მათ შორისაა ამ ორგანიზაციის სულიერი ლიდერი და თეორეტიკოსი იუსუფ ალ-კარდავი. 90-იანი წლების ბოლოდან ცნობილია, რომ კატარის სახელმწიფოს მიერ დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციები (ფონდები) სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის ევროპაში, აფინანსებენ რადიკალურ და ჯიჰადისტურ ორგანიზაციებს. ამ საქველმოქმედო გაერთიანებას ეწოდება „საქველმოქმედო ორგანიზაციათა ორგანო“ და ის სახელმწიფო დაწესებულებაა (http://

www.raca.gov.qa /იხილეთ: CD დისკი, ფაილი www.raca.gov.qa). მათგან რამდენიმე პირდაპირ ორიენტირებულია დასავლეთში მცხოვრებ მუსლიმურ თემთა მხარდაჭერაზე: „ფონდი კატარი“ (https://www.qf.org.qa/ar / იხილეთ: CD დისკი, ფაილი www.qf.org.qaar) დასავლეთ ევროპაში აფინანსებს მეჩეთების მშენებლობას და მათ საქმიანობას (მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ფონდი აფინანსებს 58 უნივერსიტეტში 100-მდე სხვადასხვა სახის ისლამურ პროექტს.), ძირითად ყურადღებას უთმობს ორგანიზაცია „მუსლიმ ძმებს“. „საქველმოქმედო ასოციაცია იიდი“ ორიენტირებულია სალაფიურ-ვაჰაბიტური ტიპის ორგანიზაციებისა და თემების მხარდაჭერაზე. ეს არის მმართველი ოჯახის წევრის, შეიხ იიდ ბინ მუჰამად ალ თანის ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს 17 ქვეყანაში 335 მეჩეთის მშენებლობაში. მათ შორისაა ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში სალაფიური მეჩეთი და ისლამური სასწავლო ცენტრი. ამავე ორგანიზაციას უკავშირდება:

- ალბანეთის „ისლამური ასოციაცია“;
- გერმანიაში „არაბული კულტურული ცენტრი“ და ქალაქ ოფენბახში „ალ-ჰადის“ მეჩეთი;
- კოსოვოში „ისლამური ვაკუფი“;
- ჰოლანდიაში „ვაკუფის“ ფონდი;
- შვედეთში მეჩეთი „ურიბროს ვაკუფი“;
- დიდ ბრიტანეთში „ქველმოქმედების მოთხოვნილების მქონეთა ორგანიზაცია“.

განსაკუთრებული თემაა კატარის მიერ ევროპაში მეჩეთების და სასწავლო ცენტრების დაფინანსება და ამ საქმიანობას „მეჩეთების იმპერია“ ეწოდა. კატარის სტრატეგია ისლამის გავრცელებასთან ერთად ემყარება: დაფინანსების გზით მიაღწიოს საზოგადოების პოლარიზაციას და ცალკეული გადაწყვეტილებებისას გავლენის მოპოვებას, ასევე გარკვეული წრეების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას. კატარის მიერ საფრანგეთში დაფინანსებული ისლამური დაწესებულებების მოკლე სია ამგვარია: მეჩეთი „ას-სალამ“ ნანტში, მეჩეთი „არ-რაჰმა“ სტრასბურგში, მეჩეთი „დასუ“ არჯენტვილში, მეჩეთი „ან-ნურ“ მულჰაუზში, ასევე

მეჩეთები ქალაქებში - იუტცში, გალიაკში, სენ-დენიში, ვილნიოვ დასკში, რეიმსსა და პუატიეში. კატარი აფინანსებს „საფრანგეთის ისლამურ ორგანიზაციათა კავშირს“ და „ისლამური სპეციალური განათლების ეროვნული კავშირს“ (http://www.marsadlislam.fr / იხილეთ: CD დისკი, ფაილი The French Observatory of Islam Issues - the largest database in the Arabic language concerned with issues of Islam and Muslim affairs in France), რომელსაც ეკუთვნის მონპელიეს ისლამური სკოლა, ლილის იბნ რუშდის მედ-რესე და ა.შ. მრავალრიცხოვან კვლევით (პროპაგანდისტულ) ორ-განიზაციებთან ერთად ასევე ფინანსდება კატარის „ალ-ჯაზირას“ ფილიალი და ფრანგული სამაუწყებლო არხი - „AJ+“.

საპატიმროები - რადიკალიზმის გავრცელების ტერიტორია

ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ტერორისტთა 57%-ს გამოვლილი ჰქონდა ევროპული საპატიმროები, სადაც ძალზე მარტივად ხდება ჯიჰადისტური ჯგუფების შევსება, რადგან საპატიმრო, ჯიჰადისტთა და ექსტრემისტთა საუკეთესო ინკუბატორად ითვლება. საკითხი განსაკუთრებით აქტუალობა გახდა მას შემდეგ, რაც ევროპიდან ახლო აღმოსავლეთში ჯიჰადისთვის წასულმა მებრძოლების ნაწილმა დაიწყო დაბრუნება და საპატიმროში მოხვდა. მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

ბელგიაში მოქმედი პროგრამის თანახმად, რომელსაც Deradex ეწოდება, ექსტრემისტ-ჯიჰადისტები ციხეებში იზოლირებული არიან სხვა პატიმრებისგან. ამ ქვეყანაში თვლიან, რომ საპატიმროები არ არის დერადიკალიზაციის ადგილი, სადაც შესაძლებელია პატიმრის იდეოლოგიის შეცვლა. გერმანიაში უარყვეს ამგვარ პატიმართა სრული იზოლაცია სხვა მსჯავრდადებულთაგან და მიმდინარეობს ინტენსიური დაკვირვება და ჩარევა მათ მოქმედებებში. მონაცემების უკმარისობის გამო, ორივე ქვეყანაში უჭირთ საუბარი რომელიმე მეთოდის პრიორიტეტულობაზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდადებულები მალე დატოვებენ საპატიმროებს და თავიანთ საცხოვრებლებს დაუბრუნდებიან. ევროპის ქვეყნებში კიდევ არსებობს ილუზია იმის შესახებ, რომ ექსტრემისტების ადაპტაცია შესაძლოა დაჩქარდეს განათლებით და სათანადო ეკონომიკური პირობების შექმნით. თვით ევროპელებიც კი უარყოფითად აფასებენ ნორვეგიისა და დანიის მიერ მიღებულ „რბილ“ ზომებს, როდესაც დაბრუნებულ ჯიჰადისტებს სთავაზობენ შრომით მოწყობას და სოციალურ კავშირებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურებისათვის.

ამ ქვეყნებში დასახმარებლად მიმართეს ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს, რადგან თვლიან, რომ ჯიჰადში მონაწილე მებრძოლი ფსიქიკურად არის დაავადებული და მას რეაბილიტაცია სჭირდება.

ისლამური საგანმანათლებლო სისტემის სფეციფიკა

„ფარული სასწავლო პროგრამები“, რა საფრთხეს ქმნიან ისლამური სასწავლო დაწესებულებები ხელისუფლების კონტროლის გარეშე

ზოგადად, ისლამური საგანმანათლებლო სისტემა ემყარება რამდენიმე პრინციპს:

- საგანმანათლებლო პროგრამა აგებული უნდა იყოს ისლამის დოქტრინაზე და ყველა საგანი და სწავლების მეთოდი იქმნება მხოლოდ მის საფუძველზე;
- განათლების პოლიტიკა ისლამური მენტალიტეტის ჩამოყალიბებაა. სასწავლო პროგრამები და საგნები ეფუძნება ამ პოლიტიკას;
- განათლების მიზანია ისლამის მიმდევარი პიროვნების ფორმირება, რისთვისაც იქმნება სწავლების მეთოდები. გამორიცხულია სხვა მეთოდების გამოყენება ნებისმიერი განსხვავებული მიზნის მისაღწევად.

საყურადღებოა, რომ იგივე პრინციპებს იყენებენ ისეთი ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებში, როგორიცაა ეგვიპტე და იორდანია. მაგ., იორდანიის საშუალო სკოლის მოსწავლეებს „ზოგადი კულტურის“ კურსიდან ასწავლიან, რომ თანამედროვე მეცნიერება აშორებს ადამიანს რელიგიისგან, რწმენისა და ღირსებისგან და ავრცელებს მატერიალიზმს და სეკულარიზმს. ასევე, უნერგავენ, რომ მორწმუნეა ის, ვინც ჯიჰადში მონაწილეობს და მშობლებს პატივს სცემს. ეგვიპტელ სტუდენტებს საინჟინრო, ფარმაცევტულ და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზეც კი ასწავლიან, რომ ჯიჰადი აუცილებელია ყველასთვის ურწმუნოებთან საბრძოლველად, რომლებიც თავს იკავებენ ისლამის მიღებისგან და ჯიზიას გადახდისგან. დასაბუთება გამყარებულია ყურანით და ჰადისებით. ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის პოლიტიკური და

რელიგიური ჯგუფები სასწავლო დაწესებულებებში ე.წ. ფარულ სასწავლო პროგრამებს იყენებენ. ქვეყნებისა და საზოგადოებების სპეციფიკის მიხედვით, ასეთი პროგრამები შესაძლოა ფარული იყოს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის ან ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემისათვის. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რადიკალურ ისლამურ მოძრაობებთან და ორგანიზაციებთან დაკავშირებას მომავალი წევრები იწყებენ სკოლაში სწავლისას, განსაკუთრებით, საწყისი სტადიის ბოლოს. აქ მიმდინარეობს მასწავლებლის ან ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ მაქსიმალური რაოდენობის მომავალი მომხრეების შეკრება, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებიან. კანდიდატებს მეთვალყურეობას უწევენ. არსებული გეგმის მიხედვით მათ მიეწოდებათ შესაბამისი პუბლიკაციები, წიგნები, ვებგვერდების მისამართები (ცალკე უნდა აღინიშნოს ის მრავალფეროვანი ლიტერატურა, რითაც უხვად მარაგდებიან ისლამური სასწავლო დაწესებულებები საქართველოში. მათმა ავტორებმა, გამომცემლებმა და გამავრცელებლებმა დიდად იზრუნეს, რომ მკითხველში ჩაინერგოს ყველას და ნებისმიერი განსხვავებულის მიმართ აგრესია), პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები და მოსწავლეებს მუდმივად ესმით, რომ ამ ყველაფერს აფინანსებს რომელიმე მეჩეთი, საქველმოქმედო ორგანიზაცია ან სულაც მეგობარი სახელმწიფო („მეგობარ“ სახელმწიფოთა ჩამონათვალი კონკრეტულია და არ სცილდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონს: თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, კატარი და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთის არაერთ ქვეყანაში „ფარული სასწავლო პროგრამების“ პრევენციის მიზნით ფართოდ გამოიყენება ტექნიკური საშუალებები: ხმის ჩაწერა, ვიდეოკამერები და ა.შ. გააზრებული საფრთხეებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხს დიდი ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, ისეთი ორგანიზაციების და მიმდინარეობების წინააღმდეგ მუშაობა, როგორებიცაა „მუსლიმი ძმები“ და სალაფია, შესაბამისი სამსახურების კომპეტენციაა, მაგრამ რადიკალური იდეოლოგიის და აზროვნების დანერგვა სასწავლო დაწესებულებებში ყველა დაინტერესებული უწყებისთვის საყურადღებო უნდა იყოს, რადგან მიზანმიმართულად მიმდინარეობს ე.წ. პარალელური სა-

ზოგადოების ჩამოყალიბება, რომლისთვისაც სრულიად მიუღებელია არამხოლოდ ზოგადი დემოკრატიული პრინციპები და მისწრაფებები, ასევე სრულიად განსხვავებულად არის შეფასებული ქვეყნის ისტორიული, კულტურული და ყოფითი ღირებულებები. საკითხის აქტუალობას თუნდაც ეს რამდენიმე მაგალითიც ადასტურებს: გერმანიაში, ჰესენის მხარეში, „რელიგიის საქმეთა თურქულ ისლამურ კავშირს“ (DITIB) აეკრძალა სკოლებში ისლამის სწავლება „თურქეთის პრეზიდენტთან და ორგანიზაცია მუსლიმ ძმებთან კავშირის გამო“ (როგორც ითქვა, თურქეთის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ და მისი ლიდერი, პრეზიდენტი რ. ტ. ერდოღანი „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიას იზიარებენ.). ქვეყნის შესაბამისი სამსახურების აღიარებით, გერმანიისთვის „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგია „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ალ-კაიდაზე“ უმეტეს საფრთხეს წარმოადგენს.

თურქეთი ბევრგან ახერხებს ფ. გიულენის სახელთან დაკავშირებული სასწავლებლების ჩანაცვლებას „მაარეფის“ სისტემის სკოლებით, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის ვაჟი - ბილალ რ. ტ. ერდოღანი. 70 ქვეყანაში არსებულ „მაარეფის“ სასკოლო ქსელს იყენებენ „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ იდეოლოგიის და გავლენების გასავრცელებლად (შემთხვევითი არ უნდა იყოს თბილისში „მაარეფის“ სკოლის გახსნა იმ რაიონში, სადაც განსაკუთრებით ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს). ისეთ „სპეციფიკურ“ ქვეყანაშიც კი, როგორიც საუდის არაბეთია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგიის შეზღუდვას სასწავლო დაწესებულებებში. სამეფოს განათლების მინისტრმა აღნიშნული იდეოლოგიის გავრცელებაში შემჩნეული სკოლების თანამშრომლები სასწავლო პროცესს ჩამოაშორა (ანალოგიური რამ ხდება გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა და ეგვიპტეში). ჯერ კიდევ 2015 წელს საუდის არაბეთში სასწავლო სახელმძღვანელოებიდან ის ციტატები ამოიღეს, რომლებიც ეკუთვნის „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგებს - ჰასან ალ-ბანას, საიდ კუტბის, იუსუფ ალ-კარდავის და ა.შ.

აზერბაიჯანის ხელისუფლებას ქვეყნის მოქალაქეებისათვის აკრძალული აქვს რელიგიური განათლების მიღება ირანის, სირი-

ის, ეგვიპტის, მალაიზიის, პაკისტანის, თურქეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სასწავლებლებში, იმ მოტივით, რომ იქ ეუფლებიან „მავნე იდეოლოგიას“ და ხშირ შემთხვევაში - საბრძოლო ხელოვნებას სპეციალურ ბანაკებში. კურსდამთავრებულები ამ სპეციფიკურ ცოდნას შემდგომში სამშობლოში ავრცელებენ. აზერბაიჯანში მოქმედი კანონმდებლობით, მედრესეს გახსნისა და ფუნქციონირებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. სასწავლო პროგრამის შედგენა და მისი წარდგენა შესაბამის სტრუქტურებში დასამტკიცებლად. ყურანის გაკვეთილების გარდა, ყველა საგნის შესწავლა მიმდინარეობს აზერბაიჯანულ ენაზე.
2. სწავლება არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ რელიგიურ საგნებს. სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს აზერბაიჯანის ისტორია, აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა, აზერბაიჯანის გეოგრაფია და სხვა.
3. მედრესეს ხელმძღვანელები და პედაგოგები აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.
4. მედრესეში გამოფენილი უნდა იყოს აზერბაიჯანის რუკები და სახელმწიფო სიმბოლიკა. სწავლება უნდა ემყარებოდეს პატრიოტიზმის გრძნობას.

ავსტრიის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად:

- მეჩეთები, სადაც 300 ადამიანზე ნაკლები ესწრება მსახურებას, ერთი წლის განმავლობაში დაიხურება. ის მეჩეთები, სადაც 300-ზე მეტი მომლოცველია, დარეგისტრირდება ორგანიზაციის სახით;
- ქვეყანაში იკრძალება უცხოელი იმამების საქმიანობა. მათ აღარ მიეცემათ ავსტრიული ვიზები;
- ავსტრიული მუსლიმური ორგანიზაციები ვეღარ მიიღებენ დაფინანსებას უცხოეთიდან;

- ხელისუფლებას შეუძლია რელიგიური ორგანიზაციების ზოგიერთი ღონისძიების გაუქმება;
- მხოლოდ ვენის უნივერსიტეტის ისლამური ღვთისმეტყველების ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იმუშავებენ მეჩეთებში.

ისლამური სასწავლო დაწესებულებები საქართველოში

ასეთი სასწავლო დაწესებულებები არსებობს თბილისში, აჭარაში და ქვემო ქართლის რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ „სასწავლო-საგანმანათლებლო“ მუშაობას ეწევიან როგორც უშუალოდ მედრესეები, ასევე მრავალი ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლებიც პანსიონის ტიპის დაწესებულებებად ჩამოყალიბდნენ. აქ ცხოვრობენ და სწავლობენ საქართველოს და უცხოეთის, ძირითადად, თურქეთის მოქალაქენი. ამგვარი დაწესებულებების დაარსებასა და დაფინანსება-ფუნქციონირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რამდენიმე ქვეყანას: თურქეთს, ირანს, ერაყს, საუდის არაბეთსა და კატარს. სუნიტური დაწესებულებების კუთხით განსაკუთრებით აქტიურია თურქეთი, ასევე საუდის არაბეთი და კატარი, ხოლო შიიტურ ორგანიზაციებს უხვად აფინანსებენ ირანი და ერაყი. ორივე მიმართულების ისლამურ დაწესებულებებს თბილისსა და რეგიონში აქვს სასწავლო ბაზები, ფინანსები და თარგმნილი მრავალფეროვანი თეორიული ისლამური ლიტერატურა. დაინტერესებული უწყებებისა და უპირველეს ყოვლისა, განათლებაზე პასუხისმგებელი სამინისტროსთვის საინტერესო უნდა იყოს, ვინ, რას და რა მასალების გამოყენებით ასწავლის სხვადასხვა ტიპის სასწავლებელში, რაც ასე მრავლადაა თბილისსა და საქართველოს არაერთ რეგიონში. ზოგიერთ სასწავლებელში გავრცელებული სასწავლო ლიტერატურის გაცნობა ნათლად წარმოაჩენს ამ დაწესებულებათა მიზნებს. ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელსაც „ისლამის საფუძვლები“ ეწოდება, გვაუწყებს: „სახეშეცვლილია რელიგია, რომელიც უზენაესი ალაჰისგან ადამიანებს შუამავლების მეშვეობით გადაეცათ, შემდგომ ის ადამიანთა მიერ შეცვლილი და დამახინჯებული იქნა“ (საუბარია იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე); „ადამიდან იესომდე ყველა შუამავალი ალაჰის ერთადერთობას ავრცელებდა და ასწავლიდა, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ ღვთისმსახურება.

დროთა განმავლობაში შუამავლების მიერ ნაქადაგები რწმენის საფუძვლები და რელიგიური კანონები შეიცვალა და ორიგინალურობა დაიკარგა. ამიტომ, უზენაესმა ალაჰმა უკანასკნელ შუამავლად მუჰამედი წარმოგზავნა“ (გვ. 18); „ისლამის კანონები იმდენად სრულფასოვანია, რომ ადამიანის ყოველგვარ საჭიროებას უპირობოდ აკმაყოფილებს. გამომდინარე აქედან, სხვა რელიგიის მოთხოვნის საჭიროება აღარ არსებობს“ (გვ. 20); „წინამორბედი შუამავლების მიერ ნაქადაგებ კანონებს ძალა დაეკარგა“ (გვ. 20); „აუცილებელია, გავაცნობიეროთ, რომ შარიათის ყველა კანონი არის საუკეთესო და სრულყოფილი. რელიგიური დებულების რომელიმე საკითხის დაწუნება რწმენის დაკარგვის ტოლფასია“ (გვ. 27); (საინტერესოა, რომ გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორია 2010–2014 წლებში „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მუფტი, ხოლო მთავარი რედაქტორი - ადამ შანთაძე. 2019 წლიდან ასევე სრულიად საქართველოს მუფტი). მედრესეებისთვისაა განკუთვნილი ყველა რადიკალური ისლამური ორგანიზაციისათვის უპირობო ავტორიტეტის, იბნ თაიმიას წიგნები, რომლებიც ზოგიერთ არაბულ ქვეყანაშიც კი აკრძალულია, ხოლო ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად ხელმისაწვდომია ბეჭდვური სახით. ლიტერატურის სია ვრცელია და განათლებაზე პასუხისმგებელი უწყების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამგვარმა უყურადღებობამ არაერთ ევროპულ ქვეყანაში მძიმე შედეგები გამოიწვია. ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც თურქეთი და ირანი არ ესაზღვრებიან. დასაქმებული „პედაგოგების“ თემა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ხელისუფლების კონტროლი ამ სფეროში არ შეიმჩნევა. მისთვის სრულიად უცნობია, რა განათლებისა და მიზნების მქონე ადამიანები უძღვებიან სასწავლო პროცესს, რომელშიც ჩართულნი არიან სრულიად გარკვეული იდეოლოგიის მქონე თურქეთის, საუდის არაბეთის და სხვა ქვეყნების ისლამური სასწავლებლების კურსდამთავრებულები. ჩვენი ქვეყნის განათლების უწყებამ არ იცის, საკუთარ მოქალაქეებს ვინ, რას და რა ლიტერატურაზე დაყრდნობით ასწავლის (მაგალითისათვის: ეგვიპტის ხელისუფლების ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით არსებული მეჩეთების, მედრესეების და ისლამური ცენტრების ბიბლიოთეკებიდან ამოღებულია ექსტრემიზმის და შეუწყნარებლობის

შემცველი ლიტერატურა და მონიტორინგი მუდმივ ხასიათს ატარებს.).

მოსახლეობის „ინფორმირების“ კუთხით, ასევე საყურადღებოა ინტერნეტსივრცე, სადაც არაერთი „საგანმანათლებლო“ ვებგვერდი ფუნქციონირებს, მათ შორის - ქართულენოვანი. შესამჩნევი ტენდენცია ზოგიერთი გვერდის დაბლოკვისა, არასაკმარისია, რადგან გვერდების დაბლოკვა/გაუქმების ინიციატორებმა ეს საქმიანობა უნდა მიმართონ არა მხოლოდ დასურათებული, აშკარად ჯიჰადისტურ-ტერორისტული მასალების წინააღმდეგ, არამედ მუდმივად უნდა ხდებოდეს ინტერნეტსივრცის მონიტორინგი თეორიული, „უწყინარი“ გვერდების აღმოსაჩენად და დასაბლოკად. ასეთი გვერდები კი მრავლადაა და წლების განმავლობაში ფუნქციონირებს. ამგვარი გვერდების მკითხველი აღმოაჩენს, რომ შესაძლებელია ქართულ ენაზე წაიკითხოს ისეთი ლიტერატურა, რაც აკრძალულია მუსლიმურ ქვეყნებშიც კი (ეგვიპტე, საუდის არაბეთი და ა.შ.). ეს ნიშნავს, რომ არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ ამგვარი ლიტერატურის თარგმნას და გავრცელებას.

დასკვნა

ევროპის ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდნენ ზოგიერთ ორგანიზაციას სრულიად გაუცნობიერებლად, შესაბამისად, მათი სახით აძლიერებდნენ იარაღს თავიანთ წინააღმდეგ. ამ საქმიანობას ხელს უწყობდა ზედმეტად ლიბერალური კანონმდებლობა და ხშირად, ნებით თუ უნებლიეთ, არასამთავრობო, უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობა (პარალელები ჩვენს ქვეყანასთან აშკარაა). ასევე, სრულიად გაუცნობიერებლად ხდება მუსლიმური სამართლის, შარიათის, ერთი შეხედვით, უწყინარი ნორმების დანერგვა - კვების ობიექტებზე წარწერა „ჰალალ“ (ნებადართული) ამის თვალსაჩინო მაგალითია.

საყურადღებოა, რომ უცხო სახელმწიფოთა ზოგიერთი აქტივობები საქართველოში საგანმანათლებლო, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში რელიგიურთან ერთად, ბუნებრივია, პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურება (თურქული „იუნუს ემრეს უნივერსიტეტი“, „მაარეფის“ სკოლები, ორგანიზაციები - TIKA, MUSIAD, ასევე ირანული ორგანიზაციები), რადგან ისლამში, განსხვავებით ყველა სხვა კონფესიისგან, რელიგია და პოლიტიკა განუყოფელია.

ევროპის ქვეყნების მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გარკვეულ მიმდინარეობებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნან ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები. ისტორიული გამოცდილების, სამეზობლოს ფაქტორის და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქ მოხსენიებული პარალელური საზოგადოებები მეტ ყურადღებას იმსახურებენ. რაც მთავარია, ობიექტურად და დაუფარავად არის ასახსნელი და გასაცნობიერებელი, რა მისწრაფებები და მიზნები აქვთ ამ საზოგადოებებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კულტურული, ცივილიზებული, რელიგიური და ხშირად პოლიტიკური ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს.

სარჩევი

შესავალი	3
ისლამის წარმოშობა, ყურანის აგებულება და ზოგიერთი თავისებურება	6
სუნიტური და შიიტური მიმდინარეობები	10
ისლამის უმთავრესი მიზანი	13
ისლამური ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის	19
საქართველოში ისლამის გავრცელების პირველი მცდელობები	23
ისლამი და არამუსლიმები	27
„ალ-ვალა ვა ლ-ბარა“ და „თაკია“, მათი საფუძველი ყურანში, ჰადისებში	32
ისლამი და დასავლეთი	37
რას ნიშნავს ტერმინი - „პოლიტიკური ისლამი“	45
შიიტური „პოლიტიკური ისლამი“	51
რომელ ორგანიზაციებს მიაკუთვნებენ „პოლიტიკურ ისლამს“	57
სუფია - თასავვუფი (სუფიზმი)	65
ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები“	68
„მუსლიმი ძმები“ და სალაფია, დასავლეთში „შეღწევა“	78
„მუსლიმი ძმები“ აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში დაფუძნებული ორგანიზაციები და მათი მიზნები	95
ირანული ორგანიზაციები დასავლეთში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია) „ალ-მუსტაფას“ უნივერსიტეტი	99
„მუსლიმი ძმები“ და თურქეთი	102
ისლამური ორგანიზაციების აქტივობები ევროპაში, თურქეთისა და კატარის საქველმოქმედო ორგანიზაციების ხელშეწყობით	109
საპატიმროები - რადიკალიზმის გავრცელების ტერიტორია	114
ისლამური საგანმანათლებლო სისტემის სფეციფიკა	115
ისლამური სასწავლო დაწესებულებები საქართველოში	120
დასკვნა	123

9 789941 826658